საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

24 ივლისი სამშაბათი 2012 №173 (13779) ფასი 80 თეთრი

## ჩემპიონი გაფუჭებულის გამოსწორებას ეცდება

ზესტაფონი-ნეფთჩის წინათქმა

2



ზესტაფონის გუშინდელი ვარჯიში

დავით კოხრეიძის ფოტო



2

დინამო-ფენერბახჩე 0:0. დირკ კუიტს (მარცხნივ) კვარაცხელია მისდევს

## ვერ გაიტანა, არც გაუშვა

დინამო ფენერბახჩეს უგოლოდ ეთამაშა

## ფიცი დადებულია!

10





საქართველოს ოლიმპიელებს ქვეყნის პრეზიდენტი შეხვდა და წარმატებები უსურვა

**ხვალინდელ ლელოში შემოგთავაზებთ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების კალენდარს**

**ლონდონში ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 3 დღე**

# ქართული ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

"ზესტაფონი" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩის წინ რთულ ვითარებაში იმყოფება. პირველ შეხვედრაში "ნეფთჩისთან" 0:3 განადგურების შემდეგ დღეს იმერლებს მინიმუმ სამი უპასუხო გოლის გატანა მართებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ჩემპიონი ევროსარბიელს ნაადრევად დაემშვიდობება. მიუხედავად რთული ვითარებისა, ფეროელები უიმედოდ არ არიან და აზერბაიჯანელებთან რევანშის აღებას და შემდეგ ეტაპზე გასვლას გვპირდებიან. რას ეფუძნება მათი ამბიციები და რა სიურპრიზებს უმზადებენ იმერლები აზერბაიჯანელებს, ამას უშუალოდ დღევანდელი შეხვედრა დაგვანახებს.

ფეროელებმა გუშინ "დავით აბაშიძეზე" მატჩისწინა დასკვნითი ვარჯიში ჩაატარეს, რომელსაც გულშემატკივრებიც დაესწრნენ. ისინი სტადიონზე საყვარელი გუნდის გამოჩენას ოვაციებით შეხვდნენ და ფეხბურთელებს მთელი ვარჯიშის განმავლობაში ამხნევებდნენ. კლუბის წევრების მსგავსად, გულშემატკივრებშიც ოპტიმისტური განწყობაა და როგორც ამბობენ, ხვალ სავსე ტრიბუნების ფონზე აზერბაიჯანულ კლუბს ჯოჯოხეთს მოუწყობენ. ვარჯიშამდე ზესტაფონის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში პრესკონფერენცია მოეწყო, სადაც "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი გიორგი ჭიაბრიშვილი კლუბის პრესატაშე სერგო ფუტკარაძესა და გუნდის კაპიტან ზურაბ მამალაძესთან ერთად წარსდგა.

## გიორგი ჭიაბრიშვილი:

# უკეთესი გუნდი გვყავს და რაც გავაფუჭეთ, უნდა გამოვასწოროთ

24.07. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 21:00

ზესტაფონი (საქართველო) VS ნეფთჩი (აზერბაიჯანი)

პირველი მატჩი 0:3

- ხვალინდელი შეხვედრისთვის სრულ მზადყოფნაში ვართ. მინდა წინა მატჩი გავიხსენო და აღვნიშნო, რომ ბაქოში ძალიან ცუდი თამაში ვაჩვენეთ. ალბათ, რაც ამ გუნდში ვარ, ასეთი ცუდი მატჩი არ ჩაგვიტარებია. დიდი ხანი ვემზადებოდით ამ დაპირისპირებისთვის, ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ და იმედიანად ვიყავით განწყობილი, მაგრამ ფეხბურთია და ხდება ხოლმე ასეთი ჩავარდნები. სამწუხაროდ, დიდი ანგარიშით დავმარცხდით და საქმე ძალიან გავირთულეთ, მაგრამ ხომ შეიძლება საკუთარ მოედანზე სრულიად განსხვავებული თამაში ვაჩვენოთ და დიდი ანგარიშით გავიმარჯვოთ? ამის პოტენციალი ჩვენს გუნდს გააჩნია. ამ შეხვედრის მიმართ ოპტიმიზმით ვარ განწყობილი. ძალიან დიდი იმედი მაქვს გულშემატკივრების. ზესტაფონში რაც კი საპასუხისმგებლო თამაში გვქონია, ყოველთვის მიგვიღწევია მიზნისთვის და თუ ყველა ერთად დავდგებით, "ნეფთჩის" ბარიერის გადალახვაც შესაძლებლად მიმაჩნია. მადლობა მინდა ვუთხრა ჟურნალისტებს, აზერბაიჯანში განცდილი მარცხის შემდეგ თქვენს ადგილას შესაძლოა, მე ძალიან ცუდი რაღაცები დამეწერა, თქვენგან კი წნეხი არ გვიგრძვნია და ეს ყველაფერი გუნდზე კარგად იმოქმედებს. წინ გვაქვს თამაში, რომელიც აუცილებლად უნდა მოვიგოთ, თან ისეთი ანგარიშით, რომ შემდეგ ეტაპზე გავიდეთ.


გიორგი ჭიაბრიშვილი

**- თორნიკე აფციაურმა "ნეფთჩისთან" პირველ შეხვედრაში ტრავმა მიიღო, როგორია მისი მდგომარეობა და ითამაშებს თუ არა განმეორებით მატჩში?**

- აფციაურმა გუშინ განაახლა ვარჯიში, ისიც მხოლოდ ინდივიდუალურად. სამედიცინო თვალსზრისით, მას შეუძლია მოედანზე გამოსვლა. დანარჩენი, ვინც ემზადებოდა ამ თამაშისთვის, ყველა ჯანმრთელადაა. დაგვიბრუნდა ალექსი ბენაშვილი. მას შეუძლია თამაშში მონაწილეობა, რაც ჩემთვის ძალიან სასიხარულო ამბავია.

**- ალბათ, ბაქოში განცდილი ფიასკოს შემდეგ გუნდში გარკვეული ცვლილებები და გადაადგილებები იქნება.**

- ჩვენ ყოველთვის შეტევაზე ვართ ორიენტირებული.. ამ მოკლე პერიოდში ვერაფერს შევცვლით. მით უმეტეს ბაქოში ისეთი შედეგი მივიღეთ, რომ უკან დასახევი გზა მოჭრილი გვაქვს. უნდა ვიზრუნოთ იმისთვის, რომ დიდი ანგარიშით გავიმარჯვოთ. კარგად რომ ვითამაშოთ, ლამაზი გამარჯვება მოვიპოვოთ და შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდეთ, ჩვენი მუშაობა დადებითად ვერ შეფასდება. ჩვენთვის სასურველი შედეგი შემდეგ ეტაპზე გასვლაა და ამიტომ მხოლოდ პრესტიჟისთვის გამარჯვებაზე არ ვფიქრობთ. მიზნის მისაღწევად ვა-ბანკზე უნდა წავიდეთ, თავგანწირვით უნდა ვითამაშოთ. მართალია, ასეთი თამაში შესაძლოა, სხვა შემთხვევაში გამართლებული არ იყოს, მაგრამ პირველი მატჩი ისე ჩავატარეთ, რომ სხვა გზა აღარ არის, რაც გავაფუჭეთ, საპასუხო შეხვედრაში უნდა გამოვასწოროთ. ვიმედოვნებ, გამოგვივა კიდეც.

**- "ნეფთჩიზე" რას იტყვით?**

- ჩვენს მეტოქეს ძალიან კარგი შემსრულებლები ჰყავს, ძლიერი ლეგიონერებით დაკომპლექტებული გუნდია. ადგილობრივი ფეხბურთელებიც კარგი ჰყავს, მაგალითად იმამვერდიევი, რომელიც თავის გუნდში ერთ-ერთი გამორჩეულია. ძლიერი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ თამამად ვიტყვი, რომ ჩვენ უფრო ძლიერი გუნდი გვყავს. დიდი ხანია, "ზესტაფონს" ვაშენებთ, უფრო მეტად შეთამაშებული გუნდი გვყავს, ვიდრე "ნეფთჩია". სამწუხაროდ, პირველ მატჩში სულ სხვანაირად წარმოვჩნდით, მაგრამ ხვალ მოედანზე ნამდვილ "ზესტაფონს" იხილავთ!

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

## ტარლან ახმედოვი:

# ერთმანეთს კავკასიის ორი საუკეთესო გუნდი ვერკინებით!

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ჩვენებური "ზესტაფონის" 3:0 დამარცხებით ბაქოს "ნეფთჩიმ" შემდეგ ეტაპზე გასასვლელად სერიოზული განაცხადი გააკეთა. აზერბაიჯანელები მოდუნებასა და მოპოვებული უპირატესობის ხელიდან გაშვებას არ აპირებენ. ეგ კი არა, მათი მიზანი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა თუ არა, ევროპის ლიგის გათამაშებაში "შეძრომა" მაინც ყოფილა. აზერები საქართველოში ოპტიმალური შემადგენლობით ჩამოვიდნენ, მათ მხოლოდ უზბეკი ლეგიონერი ნასიმოვი აკლიათ, რომელსაც პირველ მატჩშიც არ უასპარეზია.

სტუმრები, „დავით აბაშიძეზე" დაგეგმილზე ადრე გამოცხადნენ. გულშემატკივრები მათ ისე აგრესიულად არ დახვედრიან, როგორც ეს აზერბაიჯანელებმა ბაქოში მოუწყვეს "ზესტაფონს". დასკვნითი წვრთნის დაწყებამდე "ნეფთჩის" ჯანმრთელობაშერყეული მთავარი მწვრთნელის, **ბუიუქალა გაჯიევის** შემცვლელმა **ტარლან ახმედოვმა** პრესკონფერენცია გამართა. იგი მასმედიის წინაშე ცნობილ მაკედონიელ ლეგიონერ **იგორ მიტრესკისთან** ერთად გამოცხადდა.

- საკუთარ მოედანზე დიდი ანგარიშით გავიმარჯვეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უკვე შემდეგ ეტაპზე ვართ გასული. გამარჯვებულის ბედი ორრაუნდიან ბრძოლაში წყდება და დარწმუნებული ვარ, ხვალ ძალიან რთული მატჩი გველის. ვეცდებით, რომ ზესტაფონშიც მოვიგოთ.

**- ტრავმირებულები თუ გყავთ?**

- საბედნიეროდ არა, ყველა ჯანმრთელადაა და ზესტაფონში ყველა სასურველი ფეხბურთელი ჩამოვიყვანეთ. მხოლოდ ნასიმოვი გვყავს დაშავებული, რომელიც პირველ მატჩშიც ვერ დაგვეხმარა.

**- გუნდის მთავარი მწვრთნელი ბუიუქალა გაჯიევი ავადმყოფობის გამო გუნდს საქართველოში ვერ ჩამოჰყვა. მისი არყოფნა გუნდზე ცუდად ხომ არ იმოქმედებს?**

- გაჯიევს მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებ, მასზე მთელი გუნდი ძალიან დარდობს. იგი პირველ მატჩშიც ვერ გაუძლვა გუნდს. შევეცდებით შემდეგ ეტაპზე გასვლით მას კარგი საჩუქარი გავუკეთოთ.

**- როგორ ფიქრობთ, "ნეფთჩი" რეალურად "ზესტაფონზე" ძლიერია?**

- ერთი მატჩით დასკვნების გაკეთება არ შეიძლება. შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ ხვალ ერთმანეთს კავკასიის ორი საუკეთესო გუნდი დაუპირისპირდება და გულშემატკივარი კარგ ფეხბურთს იხილავს.

### იგორ მიტრესკი:

- "ზესტაფონი" ძალიან კარგ ფეხბურთს თამაშობს, მასთან მოდუნება არ შეიძლება. პირველი შეხვედრა კარგად ჩავატარეთ და სასურველი ანგარიშით გავიმარჯვეთ, ახლაც კარგად ვართ მომზადებული და ზესტაფონურ მატჩს დიდი იმედებით ვხვდებით.

- აზერბაიჯანში ფეხბურთს ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა. შენდება ახალი სტადიონები, გუნდებს აქვთ შესაძლებლობები დაიმატონ გამოცდილი ლეგიონერები. ჩემპიონატის დონეც თანდათან მაღლა იწევს და ალბათ, რამდენიმე წელიწადში დონით უკრაინის ჩემპიონატს გაუთანაბრდება.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

დინამო



# საპატიო ფრე თურქულ გრანდთან

**დინამო–ფენერბახჩე 0:0**

23 ივლისი. გრაცი. UPC-არენა.

დინამო: ლორია – სეთურიძე, კვარაცხელია, ხიზანეიშვილი (62. გლიშიჩი), რეხვიაშვილი - ძარია, ხმალაძე, თექთურმანიძე, მერებაშვილი - ჩისკო, ვოსკობოინიკოვი

შეცვლაზე შევიდნენ: ტვილდიანი, გველესიანი, კოტო, პაპავა, ალვარო, რობერტინიო, იაგუე

ფენერბახჩე: დემირელი, ზამი, ირტეგუმი, ქორქმაზი, ქალდირიმი, მეჰმეთ ტოპალი, ბარონი, თოპუზი, ალექსი, შტოხი, კუიტი.

გუშინ თბილისის "დინამო" ავსტრიის ქალაქ გრაცში ამხანაგურად თურქულ გრანდ "ფენერბახჩეს" დაუპირისპირდა, რომელმაც მანამდე ინგლისურ "ნიუკასლთან" 1:1 ითამაშა. ცხადია, მატჩის არაოფიციალურობის მიუხედავად, თამაში მაინც მნიშვნელოვანი იყო.

...სლოვენიურ შეკრებაზე დინამოელთა მეკარეების მწვრთნელი **გელა ჭანტურია** ცუდად გახდა და ბრმა ნაწლავის ოპერაცია წარმატებით გაუკეთდა. ჭანტურია თავს კარგად გრძნობს და გუნდს რამდენიმე დღეში შეუერთდება. მაგრამ გუნდის პრესსამსახურის ცნობით, ჭანტურიას არყოფნაში მეკარეებს რუმინელი სპეციალისტი, **დრაგოშ პიკუ** ავარჯიშებს, რომელიც ტიმიშოარას "პოლიტეხნიკაში" უმცროსი **დუშან უჰრინის** ასისტენტი გახლდათ. თუმცა, ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან კავშირში არ უნდა იყოს.

...შეხვედრა კი თურქების მცირე უპირატესობით მიმდინარეობდა. უჰრინის გაწვრთნილები პრესინგით ხელის შეშლას ცდილობდნენ, თავად კი კონტრშეტევებს ახორციელებდნენ: 30-ე წუთზე **გიორგი თექთურმანიძემ** საჯარიმოსთან **ჩისკო** შენიშნა, რომელიც მცველს ჩინებული მოძრაობით ჩამოშორდა და მეკარესთან პირისპირ გადიოდა, მაგრამ მცველი ბოლო მომენტში ჩაუწვა და მომენტი განმუხტა. 44-ე წუთზე თავად თექთურმანიძემ დაარტყა, მაგრამ არაზუსტად.

"ფენერბახჩემ" გაცილებით მეტი მომენტი შექმნა: 35-ე, 39-ე და 42-წუთებზე **ალექსი** უტევდა, მაგრამ სამჯერვე კარს ააცილა.

მეორე ტაიმი უფრო მაღალ ტემპში წარიმართა და თურქებმა უფრო მწვავედ შეუტიეს: განსაკუთრებით სახიფათო 59-ე წუთზე ჰოლანდიელი **დირკ კუიტის** დარტყმა გამოდგა, რომელმაც საჯარიმოს ხაზიდან გაისროლა – მეკარე **გიორგი ლორია** ამ და სხვა შემთხვევებშიც საიმედოდ გამოიყურებოდა. 68-ე წუთზე კუიტის ჩაწოდების შემდეგ თბილისელთა კარს **კრისტიან ბარონი** დაემუქრა – ბურთს ლორია ისევ დროულად გადაეფარა.

"დინამოს" თამაში **კარლეს კოტომ** და ახალგაზდრა **არჩილ ტვილდიანმა** გამოწვავეს - მეტოქეს ფლანგზე დისკომფორტს განსაკუთრებით ეს უკანასკნელი უქმნიდა და აიძულებდა, შემცდარიყო.

"დინამომ" სამი საკმაოდ სახიფათო მომენტი შექმნა: 69-ე წუთზე **გიორგი მერებაშვილმა** მცველი ცრუ მოძრაობით ჩამოიშორა და კარის წინ მარტო დარჩენილმა დაარტყა - თურქები მეკარე **ვოლქან დემირელმა** გადაარჩინა.

85-ე წუთზე **გიორგი რეხვიაშვილი** საკუთარი საჯარიმოდან სწრაფად დაიძრა, გზად ხუთი მოწინააღმდეგე ჩამოიცილა და "ფენერბახჩეს" საჯარიმოში შესულმა კარში დაარტყა – მეკარემ ამჯერადაც კარგად ითამაშა.

თუმცა ყველაზე რეალური საგოლე მომენტი **მიკელ ალვაროს** ჰქონდა: 90-ე წუთზე კოტოს ფლანგური გადაცემის შემდეგ ბასკი ფეხბურთელი კარის წინ აბსოლუტურად მარტო დარჩა, მაგრამ ბურთი კარს მცირედით ააცილა და მსაჯმაც ჩასტვინა – 0:0.

თურქული ფეხბურთის გრანდთან ფრე ურიგო შედეგი არ არის. დაცვის ცენტრი (**გია კვარაცხელია-ოთარ ხიზანეიშვილი**) ძალიან კარგად გამოიყურებოდა, ტემპიც იგრძნობოდა, მაგრამ დასაფიქრებელიც ბევრია: მოწინააღმდეგე როგორც კი აუჩქარებდა, "დინამოს" დაცვას პრობლემები ექმნებოდა. თბილისელები ბურთს არ აყოვნებდნენ და ერთი შეხებით ცდილობდნენ შეტევის განვითარებას, მაგრამ სიმწვავე და დამაჯერებლობა აკლდათ და კონტრშეტევების სწრაფად განხორციელება უჭირდათ.

თუმცა, მეტოქის ძალის გათვალისწინებით, მთლიანობაში "დინამოს" ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია - გუნდს პროგრესი აშკარად ეტყობოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# გამარჯვებით დაიწყეს

რუსეთის პრემიერლიგის პირველი ტურის ბოლო მატჩში "კრასნოდარმა" "რუბინს" უმასპინძლა და 2:1 დაამარცხა. კრასნოდარელთა ორივე გოლი მათი სომეხი ლიდერის, **იურა მოვსისიანის** ანგარიშზეა. მასპინძელთა შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშეს **ნუკრი რევიშვილმა** და **ალექსანდრე ამისულაშვილმა**. რევიშვილმა 88-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო.

რუსეთის პირველ დივიზიონში ნალჩიკის "სპარტაკი" შინ 1:3 დამარცხდა "ნეფტეხიმიკთან". **დავით სირაძე** და **გუჯა რუხაია** მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ და შესვენებისას ორივე შეცვალეს, სტუმართა რიგებში კი სრულად ითამაშა **საბა კვირკველიამ**.

დანიის სუპერიგაში გორის "დილას" მეტოქემ, "ორჰუსმა" "ესბიერგს" უმასპინძლა და 0:0-ს დასჯერდა. **დავით დევდარიანი** "ორჰუსის" ძირითადში იყო და 53-ე წუთზე შეცვალეს, **დავით სხირტლაძე** კი მასპინძელთა 18-კაციან განაცხადშიც არ ყოფილა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U19

# მარცხი ბელარუსთან

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა (1994-95 წელს დაბადებულები) მინსკში ბელარუს თანატოლებთან ამხანაგურად ითამაშა და 0:1 წააგო.

**კახა კაჭარავას** მიერ გაწვრთნილი გუნდის კარში 75-ე წუთზე ბურთი **პაველ სავიცკიმ** გაიტანა.

დღეს ქართველი 19-წლამდელები ისრაელს შეხვდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი. ინტერვიუ ალექსანდრე გოგობერიშვილთან

# აზერბაიჯანული ფეხბურთის საბადო ნახჭევანშია

## ზესტაფონმა ნეფთჩი ვერ შეაფასა

მას შემდეგ, რაც საქართველოს ჩემპიონმა ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში აზერბაიჯანის ჩემპიონთან 0:3 წააგო, აზერბაიჯანული ფეხბურთის თემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა.

ალექსანდრე გოგობერიშვილს აზერბაიჯანის ჩემპიონატში არაერთი სეზონი უთამაშია, აზერბაიჯანის ჩემპიონიც კი გახდა, როცა "ბაქოს" ფეხბურთელი იყო. "ბაქოს" გარდა, გოგობერიშვილი ბაქოს "ოლიმპიკში", "ყარაბაღსა" და "თურანშიც" იყო. გოგობერიშვილს საქართველოს წამყვან გუნდებშიც უთამაშია, მათ შორის თბილისის "დინამოშიც", იყო საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი.

ერთი სიტყვით, გოგობერიშვილი საკმაოდ ბევრის მნახველი ფეხბურთელია, 35 წლის გახლავთ და კიდევ აპირებს თამაშს. მას მეტწილად აზერბაიჯანული ფეხბურთის ავანჩავანზე ვესაუბრეთ...



**- აზერბაიჯანულ ფეხბურთს კარგად უნდა იცნობდე – რა არის იქაური ფეხბურთის წინსვლის მთავარი მიზეზი?**

- განსაკუთრებული არაფერი, რაც ყველა საქმისთვის არის აუცილებელი, ის მოხდა აზერბაიჯანულ ფეხბურთშიც – დიდი ინვესტიცია ჩაიდო. მიიწვიეს უცხოელი მწვრთნელები და ფეხბურთელები, ამის ხარჯზე კი ამაღლდა აზერბაიჯანის ჩემპიონატის დონე.

**- დიდი ინვესტიცია მართლაც აუცილებელია, თუმცა ზოგი მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანულ ფეხბურთში ფული სწორად არ იხარჯება – ეთანხმები ასეთ შეხედულებას?**

- ასე ვიტყოდი – რაც აზერბაიჯანულ ფეხბურთში ფული იხარჯება, შედეგი გაცილებით უკეთესი უნდა იყოს. ფეხბურთში მხოლოდ ფულის ხარჯვა არ არის საკმარისი, სხვა ბევრი ნიუანსიც არსებობს.

**- მაგალითად, რა ნიუანსი?**

- სანყენად ნურავინ მიიღებსა და აზერბაიჯანელები ფეხბურთში ისეთივე ნიჭიერები არ არიან, როგორიც ქართველები. იმათაც ჰყავთ რამდენიმე კარგი ფეხბურთელი, მაგრამ იმდენი არა, რამდენიც ჩვენ. კიდევ ერთი ნიუანსი ისიცაა, რომ ბევრი მაღალი კლასის ლეგიონერი თავს იკავებს აზერბაიჯანში ნასვლაზე.

**- ჩვენს მეზობლებს კიდევ აქვთ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა – აზერბაიჯანის ჩემპიონატის მატჩებზე ბევრი გულშემატკივარი არ დადის.. ამას რას დააბრალებდი?**

- ცალსახად ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. პერიფერიებში, ლენქორანსა და გაბალაში აზერბაიჯანის ჩემპიონატის მატჩებზე საკმაოდ ბევრი ხალხი დადის, ბაქოში კი გულშემატკივართა დასწრება მცირეა. ბოლოს "თურანში" რომ ვთამაშობდი, ჩვენს საშინაო მატჩებზე საშუალოდ სამი ათასი ქომაგი დადიოდა, რაც ცოტა ნამდვილად არ არის. საერთო ჯამში, აზერბაიჯანის ჩემპიონატს ბევრი გულშემატკივარი არ ჰყავს, ალბათ იმიტომაც, რომ აზერბაიჯანში ფეხბურთი ძალიან პოპულარული ჯერ არ არის.

**- აზერბაიჯანში საფეხბურთო კლუბები მეტწილად სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ფინანსდებიან? როგორც ვიცით, შენს ყოფილ კლუბ "ბაქის" შინაგან საქმეთა სამინისტრო კურირებს...**

- ამ კლუბს ადრე ბაქოს "დინამო" ერქვა და შესაძლოა, რაღაც კავშირი ახლაც ჰქონდეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. ოფიციალურად კი "ბაქი" ბიზნესმენის არის. აზერბაიჯანული კლუბები მეტწილად ნახჭევანელი ბიზნესმენების მფლობელობაში არიან.

**- და რა ინტერესი ამოძრავებთ ამ ბიზნესმენებს? ფაქტია, რომ ფეხბურთიდან უკუგება ჯერ არ აქვთ...**

- ინტერესს რაც შეეხება, აზერბაიჯანში ფეხბურთის წინსვლით პირველ რიგში ქვეყნის პრეზიდენტი ილხამ ალიევია დაინტერესებული. მხოლოდ ფეხბურთის კი არა, მთლიანად სპორტის განვითარებაზე ზრუნავს – ჭიდაობა, კრივი... სერიოზული წინსვლა აქვს აზერბაიჯანს ქალთა ფრენბურთში, ბოლო დროს ქალთა ფეხბურთსაც დიდი ყურადღება ექცევა. დედაქალაქი ბაქოც უფრო თანამედროვე და უფრო ლამაზი ხდება, ყველაფერი ეს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკაშია მოქცეული, ამაში შედის ისიც, რომ ფეხბურთში მოსაქმე ბიზნესმენებს საგადასახადო შეღავათები აქვთ.

**- დაახლოებით რამდენია მოწინავე აზერბაიჯანული კლუბების წლიური ბიუჯეტი?**

- ზუსტად ვერ გეტყვით, ყველაზე მდიდარი კი ეს ოთხი კლუბია: "ხაზარი", "გაბალა", "ბაქი" და "ნეფთჩი". გაბალა პატარა რეგიონია, მაგრამ იქაურმა კლუბმა ისეთი სპორტული კომპლექსი ააშენა, ყველას გააოცებს. გაბალადან მიწა ინგლისში გაგზავნეს გამოსაკვლევად, ამის მიხედვით შეარჩიეს ჩამოტანილი მინდორი და ისიც, თუ როგორ უნდა მოუარონ მას. გაბალას კომპლექსში მართლაც ხალიჩასავით მოედნებია დაგებული.

**- "ნეფთჩი"-"ზესტაფონის" მატჩს ალბათ უყურე და როგორ ფიქრობ, 3:0 ზუსტად ასახავს ძალთა თანაფარდობას?**

- ეს შედეგი უფრო იმან გამოიწვია, რომ "ზესტაფონმა" ვერ ითამაშა რიგიანად ან ზედმეტად თავდაჯერებული გავიდა მოედანზე. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. გასაგებია, რა შეცდომებსაც მოჰყვა გოლები, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თვითონ "ზესტაფონმაც" ვერაფრის შექმნა ვერ მოახერხა. უფრო მაინც მოწინაალმდეგის ვერშეუფასებლობას ვაბრალებ ამ შედეგს.

**- წინა სეზონი "თურანში" გაატარე –საკუთარი თამაშით რამდენად კმაყოფილი დარჩი?**

- თითქმის მთელი სეზონი დეცვის ცენტრში მომინია თამაშმა. ამ პოზიციაზე ადრეც მითამაშია და "თურანშიც" იმავეს გაკეთება არ გამჭირვებია, ოთხი გოლიც გავიტანე 11-მეტრიანით. საყრდენი ნახევამცველის და ცენტრალური მცველის ამპლუა ერთმანეთს ჰგავს და ამ ფაქტორმაც შემიწყო ხელი.

**- მომავალი სეზონის დაწყებამდე დიდი დრო აღარ დარჩა. სად აპირებ კარიერის გაგრძელებას?**

- "თურანთან" კონტრაქტი დამისრულდა, თუმცა მოლოდინი არის. კლუბის პრეზიდენტის დირექტივით, "თურანს" 28 წელზე უფროსი ფეხბურთელები აღარ სჭირდება, თუმცა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ასკერ აბდულაევმა მითხრა, ვეცდები, შენი სახით ერთი გამონაკლისი დავაშვებინო პრეზიდენტსო.

**- თუ "თურანის" ვარიანტი გამოირიცხა, საქართველოში თამაშზე უარს იტყვი?**

- თუ ნორმალური შემოთავაზება იქნება, გამორიცხული არაფერია. კიდევ მაქვს იმის ძალა და ენერგია, რომ რიგიანად ვითამაშო. მთავარია, რომ ფეხბურთის თამაშის მოტივაცია კვლავ გქონდეს. ვგრძნობ, რომ ისევ მაქვს ეს ყველაფერი.

**დავით თავართქილაძე**

ტრანსფერი

# ტყეშელაშვილი კოლხეთში



გიორგი ტყეშელაშვილი

"გაგრას" ვებგვერდის ცნობით, გუნდი ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა, ბოლო წლების უცვლელმა კაპიტანმა **გიორგი ტყეშელაშვილმა** დატოვა.

ტყეშელაშვილმა "გაგრაში" შემადგენლობა 221 ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა, მათ შორის - ორი ევროპის ლიგაზეც, და 30 გოლი გაიტანა, მათ შორის, ფამაგუსტას "ანორთოსისთან" განმეორებით შეხვედრაშიც, მაგრამ სერიოზული ტრავმაც მიიღო.

აღსანიშნავია, რომ ტყეშელაშვილი "გაგრაში" მისი დაარსების დღიდან ირიცხებოდა, გუნდის კაპიტანი კი გუნდში **ანატოლი პისკოვეცის** მოსვლის შემდეგ გახდა. 26 წლის ცენტრალურმა მცველმა სხვა კლუბში მხოლოდ ორი სეზონი ითამაშა – იჯარის პერიოდში თბილისის „მერანისა" და ცხინვალის „სპარტაკის" ფორმები მოირგო.

გიორგი ტყეშელაშვილი 2011 წლის საქართველოს **დავით ყიფიანის** სახელობის თასის მფლობელია.

"გაგრას" ვებგვერდის ცნობით, ტყეშელაშვილს საქართველოს პრემიერლიგის ერთ-ერთ გუნდი იწვევს, მაგრამ სახელი დაკონკრეტებული არ იყო.

დავინტერესდით და გვითხრეს, რომ გიორგი ფოთის "კოლხეთში" გადავიდა. ინფორმაცია თავად ფეხბურთელმა დაგვიდასტურა: *"ფოთში დღეს ჩამოვედი და გუნდთან ერთად ვივარჯიშე. წესით, კონტრაქტის გაფორმება გადაწყვეტილი უნდა იყოს, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობასთან ჯერ არ მილაპარაკია და არც ხელშეკრულებაზე მომიწერია ხელი".*

**მერაბ მამულაშვილი**

მერანი

# ახალი სეზონი ახალი იმედებით

**სამტრედია–მერანი 2:2**

სამტრედია: **კეკელიძე, რუხაძე, გოგია, ჩხიკვაძე, ჟვანია, კერკვაძე, მელქაძე, რუხაია, გედენიძე, ბოხუა, ხაჭიპერაძე.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ბანძავა, კუპრეიშვილი, დვალიშვილი, ნინუა, კილაძე, იაგო დეისაძე, იაკობ დეისაძე, ახობაძე, კიკაბიძე, თელია.**

მერანი: **შეროზია, მელიავა, ტყებუჩავა, ქარქუზაშვილი, ხაჭიპერაძე, ბუკია, გოდერიძე, ჩიკვაიძე, ამბროლაძე, ნოზაძე, ლომია**

შეცვლაზე შევიდნენ: **ბერია, ჩხეტიანი, გაბისონია, დათუნაიშვილი, მონიავა, დარჯანია, აშორდია, შანგუა.**

სამტრედიამ დიდ ჯიხაიში მდებარე საკუთარ ბაზაზე მარტვილის "მერანს" უმასპინძლა, ამხანაგური შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა. მასპინძლებმა სტუმრებს 55-ე წუთამდე სათანადო წინაალმდეგობა გაუწიეს. თავი ერთმანეთის მიყოლებით **გიორგი მელქაძემ** და **აკაკი დვალიშვილმა** გამოიჩინეს. თუმცა, შესვენების შემდეგ მოედანზე მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა: ჯერ ახლად შემოსულმა **ბექა ჩხეტიანმა** შეამცირა სხვაობა, მოგვიანებით კი **ნიკა დარჯანიამ** გაიტანა ეფექტური გოლი. ვთქვათ ისიც, რომ "მერანი" გადახალისებული შემადგენლობით თამაშობდა, გაისინჯა რამდენიმე ფეხბურთელიც. სხვათა შორის, სამიოდე დღის წინ "მერანმა" შინ კიდევ ერთი პირველლიგელი, ხობის კოლხეთი მიიღო და 2:1 დაამარცხა.

გუნდი შეკრებაზე დღეს მიემგზავრება, სადაც 2-3 ტესტმატჩს გამართავს. რაც შეეხება მარტვილელთა ახალწვეულებს, ისინი დღე-დღეზე გააფორმებენ კონტრაქტს.

მერანელთა მთავარმა მწვრთნელმა **მალხაზ ჟვანიამ** ურეკში 10-დღიან შეკრებაზე შემდეგი ფეხბურთელები წაიყვანა: **ჯონი შეროზია, დავით ხარძეიშვილი, გიორგი ბერია, გიგა ჟვანია, გიორგი ქარქუზაშვილი, გიორგი მჭედლიშვილი, ლევან გეგეჭკორი, რომა კიკალიშვილი, კიჭი მელიავა, თედო ლუსმანაშვილი, გივი დიდავა, ნოდარ ნოზაძე, ცოტნე ბუკია, პაპუნა ფონიავა, გიორგი ჩიკვაიძე, გიორგი გაბისონია, ბექა ჩხეტიანი, მამუკა ტორონჯაძე, გიგა ამბროლაძე, გიგა ხარაბაძე, საბა ლომია, ლაშა კუჭუხიძე.**

**ბესიკ გვაზავა**

ლეგიონერი



სანდრო კობახიძე

# ვინ თქვა, რომ ქართველებს გამძლეობა არ გვაქვს?

## სანდრო კობახიძემ ვიდეოპრესკონფერენცია ჩაატარა

"ფუტბოლ.უა"-მ რედაქციაში სანდრო კობახიძე მიიწვია – 24 წლის ქართველმა ნახევარმცველმა უკრაინულმა ინტერნეტგამოცემის ორგანიზებულ ვიდეოპრესკონფერენციაზე მკითხველთა შეკითხვებს უპასუხა.

მასაც მოუხდა უკვე ტრადიციად ქცეულ კითხვაზე პასუხის გაცემა - საქართველოს ნაკრებში ბევრი კარგი მოთამაშეა, მაგრამ შედეგი რატომ არ აქვს? ცხადია, იყო სხვა შეკითხვებიც.

*...დიდი ხანია, ეს საკითხი მთელ საქართველოს აწუხებს, მაგრამ მიჭირს ზუსტი პასუხის გაცემა. ამჟამად ახალი ნაკრები შენდება. ესპანეთისა და საფრანგეთის უმძიმეს ჯგუფში მოვხვდით, გუნდის შენებას კი დრო სჭირდება. ურთულესი მატჩები გველის, მაგრამ ვარსკვლავების წინააღმდეგ თამაში საინტერესოც იქნება. ბრძოლას მაინც შევეცდებით.*

*...საქართველოს ბევრი ვარსკვლავი ჰყავდა. თასების თასის მოპოვების დროს ყველა ვარსკვლავი იყო - ყიფიანი, დარასელია... ბოლო წლების მოთამაშებიდან კი გიორგი ქინქლაძეს გამოვარჩევ. ის ძალიან მაღალ დონეზე თამაშობდა და მიმაჩნია, რომ ეს კიდევ დიდხანს შეეძლო.*

*...სამწუხაროდ, დნეპროპეტროვსკის "დნიპროში" ყველაფერი კარგად ვერ ამეწყო, ისე ვერ ვთამაშობდი, მე რომ მსურდა და შემეძლო. მაშინდელი მთავარი მწვრთნელი ოლეგ პროტასოვი ძირითადში ჩემს დაყენებას ნაადრევად მიიჩნევდა, არ მათამაშებდა და "კრივბასში" გადავედი, მერე – "არსენალში".*

*...საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ აქ განსაკუთრებით თვალში საცემი იყო მეტი ძალისმიერი ბრძოლა, სისწრაფე. თუმცა, საქართველოს ჩემპიონატშიც ბევრი დაძაბული და საინტერესო თამაშია. ნაკრებშიც ბევრი სწრაფი მოთამაშე გვყავს, მაგალითად, თარგამაძე.*

*...არასწორი წარმოდგენაა, თითქოს ქართველი ფეხბურთელები ტექნიკურები არიან, მაგრამ გამძლეობა არ აქვთ. თარგამაძეს უკრაინაში სადაცა წავიდა, ყველგან ლამის საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდა. პირადად მე არასოდეს მირბენია კუპერის ტესტი და არც ვიცი, 100 მეტრს რა დროში გავრბივარ. მაგრამ კონდიციებით არავის ჩამოუვარდები.*

*..."დნიპროსთან" კონტრაქტი წელიწად-ნახევარში მიმთავრდება, მიმდინარეობს კლუბთან მოლაპარაკება ჩემი ტრანსფერის გამოსყიდვაზე, მაგრამ ჯერ "არსენალში" ვრჩები... "დნიპროში" დაბრუნებასა და ხუანდე რამოსთან მუშაობაზე არ ვფიქრობ. "არსენალში" ყველაფერი მომწონს.*

*...ამბობენ, იჯარით გაშვებული მოთამაშეები თავს არ იკლავენო. არ ვიცი, სხვა როგორ იქცევა, მაგრამ პირადად მე "არსენალში" მოტივაცია არ მაკლია. მწვრთნელებიდან ყველაზე მეტად ლეონიდ კუჩუკს ვემადლიერები. ტომპიოლერი ძალიან მაღალი დონის მწვრთნელია, მაგრამ კუჩუკმა უფრო მეტი მასწავლა და მიმაჩნია, რომ მასზე არაფრითაა ნაკლები. კიდევ ნოდარ აკობიას დავასახელებდი, საქართველოში ის ცნობილი და პატივსაცემი სპეციალისტია.*

*...რატომ არიან გერმანიაში ქართველები მრავლად? ეტყობა, კობიაშვილმა, იაშვილმა და ცქიტიშვილმა კარგი კვალი დატოვეს და სხვებსაც ენდობოდნენ. ახლა უკვე ქართველები მრავლად უკრაინაში ვართ, გერმანიაში კი იმდენი აღარც დარჩა.*

*..."მილანს" კალაძის გამო არ ვგულშემატკივრობდი. კახას კი დიდ პატივს ვცემ, რადგან უბრალო და გულიანი ბიჭია... დემეტრაძესაც ნაკრებიდან ვიცნობ და გამიხარდება, თავისუფალს თუ ვიხილავ. კარგი და მხიარული ბიჭია. ცხოვრება ისეთია, წინასწარ ვერ გაიგებ, რა გელის".*

**მერაბ მამულაშვილი**

# ქართული ფეხბურთი

● საკონტროლო მატჩი

## გია გეგუჩაძე ახალწვეულს აქვირდება

გუშინ ქუთაისის "ტორპედომ" საკუთარ სტადიონზე ამხანაგურად ითამაშა ლოკბატანის "ყარადახთან", რომელმაც წელს პირველად მოიპოვა აზერბაიჯანის პრემიერლიგის საგზური.

"ტორპედოს" პრესსამსახურის ცნობით, მასპინძლებმა ანგარიში 38-ე წუთზე გახსნეს: საჯარიმოში **ვალერი ბოლქვაძემ** რამდენიმე მცველი ჩამოიცილა და ზუსტადაც დაარტყა - 1:0.

პირველი ტაიმის ბოლოს, ქუთაისელთა კარიდან ხუთი მეტრის მოშორებით დანიშნული თავისუფალი დარტყმის შემდეგ ბურთი **სამირ კულიევმა** კარში გაგზავნა - 1:1.

მეორე ტაიმში ქუთაისელთა რიგებში პირველად ითამაშეს ცენტრალურმა მცველმა **გიორგი გაგნიძემ** და დუბლებიდან დაწინაურებულმა თავდამსხმელმა **გია ლვიტიძემ**. "ტორპედოს" შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია – 1:1.

აზერბაიჯანელები მოედანზე ყოველგვარ ზღვარს გადადიოდნენ, ერთ-ერთი ასეთი უხეშობის შედეგად **გიორგი კუხიანიძე** დაშავდა.

**ტორპედო-ყარადახი 1:1**

**ტორპედო:** ქვილითაია (71. კუპატაძე) - რიგვავა (46. იოსელიანი), კვახაძე (73 ტაბატაძე), ჭელიძე, გურული (46. შერგელაშვილი) - დოლიძე (46. კუხიანიძე), ფირცხალავა, ბოლქვაძე (58. ლვიტიძე), გრიგალაშვილი დათუნაიშვილი (46. გიგაური) - საბანაძე (71. გაგნიძე).

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერები

## ვოლგას მარცვალაძე გულში ჩარჩა



საქართველოს ეროვნული ნაკრების გარემარბი **ოთარ მარცვალაძე,** შესაძლოა, ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში" დაბრუნდეს – ამის შესახებ რუსული მედია იუწყება.

მარცვალაძე "ვოლგაში" 2010-11 წლებში თამაშობდა, შემდეგ უფრო ფულიან და ამბიციურ "კრასნოდარში" გადავიდა, სადაც დიდხანს არ გაჩერებულა – ორმხრივი შეთანხმებით კლუბისა და ფეხბურთელის გზები გაიყარა.

მარცვალაძე 28 წლის გახლავთ და ჩვენი ნაკრებისთვის მნიშვნელოვან მოთამაშედ მიიჩნევა. 19 კეპი და 2 გოლი – ასეთია მისი სანაკრებო მონაგარი.

რუსული პრემიერლიგა ახლახან დაიწყო და "ვოლგამ" პირველ ტურში შინ მოსკოვის "დინამოს" 1:0 მოუგო. "ვოლგაში" მარცვალაძეს კარგად იცნობენ, სწორედ ამ გუნდში თამაშის დროს გახდა მარცვალაძე რუსეთის პირველი დივიზიონის საუკეთესო მეგოლე.

**დავით თავართქილაძე**

## კანკავა სიმბოლურში

უკრაინულის პრემიერლიგის მეორე ტურში კრივოი როგის "კრივბასმა" ოდესის "ჩერნომორეცს" 1:0 მოუგო. ამ ერთადერთი გოლის ავტორი საქართველოს ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი **ჯაბა კანკავა** გახდა, რომელიც თავად წამოიწყო შეტევა, ფლანგზე **მლადენ ბარტულოვიჩს** გაუგრძელა, შემდეგ კი მის გადაცემას საჯარიმოში თავდამსხმელივით გამოეხმაურა და ახლო მანძილიდან ზუსტად დაარტყა.

უკრაინულმა ინტერნეტგამოცემა "ფუტბოლ.უა"-მ 26 წლის ქართველ ლეგიონერს კარგი თამაში დაუფასა და უკრაინის ჩემპიონატის მეორე ტურის სიმბოლური ნაკრებში ადგილი მისთვის ჩვეულ პოზიციაზე, საყრდენ ნახევარმცველად მიუჩინა.

*„პარტნიორებთან ერთად, ჯაბა კანკავამ მოედნის ცენტრში უდიდესი სამუშაო ჩაატარა და მეტოქის ნახევარდაცვა მთლიანად დაჯაბნა. ამავე დროს, სწორედ კანკავა გახდა "კრივბასის" გამარჯვების გოლის ავტორი"*, - ვკითხულობთ უკრაინულ გამოცემაში.

იგივე გამოცემის მეორე წერილში ტურის ხუთი მოვლენა განიხილეს და აღნიშნეს, რომ კრივოიროგელთა ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ვიტალი კვარციანი** გაშვებას უპირებდა, ან აკრიტიკებდა მოთამაშეთა საკმაოდ დიდ ჯგუფს. თურმე, ამ უკანასკნელთა კატეგორიაში **უჩა ლობჟანიძე** და ჯაბა კანკავაც ხვდებოდნენ.

*"ოლეგ შარანის ხელმძღვანელობით "ჩერნომორეცთან" ყველა ამ მოთამაშემ ჩინებულად ითამაშა – მეკარე შტანკომ, ლობჟანიძემ, ფედორივმა, კანკავამ და სამოდინმა"*, – წერს "ფუტბოლ.უა"-ს ჟურნალისტი.

**მერაბ მამულაშვილი**



მარცხნივ - ჯაბა კანკავა

● ქართველი ფეხბურთელები ოლიმპიადაზე



1988 წლის სეულის ოლიმპიადის ფინალური მატჩი. სსრკ-ბრაზილია 2:1. მარცხნიდან: რომარიო, იგორ დობროვოლსკი და გელა კეტაშვილი

## ადრე აქაც ვყოჩაღობდით...

**...ამ ცოტა ხნის წინათ „ლელოს" რედაქციაში სტუმრობისას, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა ერთობ დამაიმედებელი პროგნოზით „დაგვამშვიდა": ის დღე შორს არ არის, საქართველოს ნაკრები ოლიმპიადაზე სათამაშო სახეობებში რომ მიიღებს მონაწილეობასო!**

**სეოკ-ის პრეზიდენტმა, უპირველეს ყოვლისა, წყალბურთი და კალათბურთი ახსენა, აი, ფეხბურთთან დაკავშირებით კი რეალობის შეგრძნება არავის დაგვკარგვია - არც გია ნაცვლიშვილსა და არც „ლელოს" ჟურნალისტებს...**

**ასეა და რა ვქნათ: ცრუილუზიებს ხომ არ ავყვებით? ან, ახალი რა უნდა ვთქვათ - დღესდღეობით ქართულ ფეხბურთში ნამდვილად არ არის ისეთი სიტუაცია, ჩვენს ნაკრებს ოლიმპიადის საგზურის მოპოვება რომ „მოვთხოვოთ"; თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ ოლიმპიადაზე მოსახვედრად საქართველოს ახალგაზრდულმა (21-წლამდე) ნაკრებმა ჯერ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უნდა გააღწიოს (ანუ რვა საუკეთესოს შორის უნდა მოხვდეს), მერე კი, სულ მცირე, ნახევარფინალამდე უნდა მივიდეს და მედლებისათვის იბრძოლოს!.. ყოველივე ეს, ცოტა არ იყოს, დაუჯერებლად მოჩანს, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ საქართველოს 17 და 19-წლამდე ნაკრებებში ერთიმეორეზე პერსპექტიული ბიჭები თამაშობენ და თუკი ბელარუსის ნაკრებს შეუძლია ოლიმპიადის საგზურის მოპოვება, ხომ შეიძლება ასეთივე წარმატებას ქართველმა ახალგაზრდებმაც მიაღწიონ?..**

### ასე იწყებოდა...

...იყო დრო, როცა ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირებზე ქართველებიც მონაწილეობდნენ და წარმატებულადაც! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ფეხბურთში ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონიც გვყავს (**გელა კეტაშვილი**) და რამდენიმე პრიზიორიც; თუმცა, ისე როგორც სპორტის სხვა სახეობებში, ქართველი ფეხბურთელებიც ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ასპარეზობდნენ და ახლა სწორედ ისინი გვინდა წარმოგიდგინოთ.

საბჭოთა სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე პირველად 1952 წელს გამოჩნდნენ. ჰელსინკის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად სსრკ-ის ნაკრები მიიჩნეოდა, რომელიც, ძირითადად, მოსკოვის გუნდების (ცსკა, „დინამო", „სპარტაკი") ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. თუმცა, საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ბორის არკადიევმა** ოლიმპიადაზე ოთხი ქართველი ფეხბურთელიც იახლა: **ავთანდილ ღოღობერიძე, ავთანდილ ჭკუასელი, ვლადიმერ მარღანია და გიორგი ანთაძე**. თბილისის „დინამოს" ლეგენდარულმა კაპიტანმა ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძემ პირველი მატჩი (ბულგარეთთან) ითამაშა, თუმცა მომდევნო შეხვედრაში მის ნაცვლად ძირითადში **კონსტანტინ ბესკოვი** გამოჩნდა. ის მატჩი (იუგოსლავიასთან) მართლაც უჩვეულო ანგარიშით (5:5) დამთავრდა და ორი დღის მერე გადათამაშებაც დაინიშნა, სადაც იუგოსლავიამ გაიმარჯვა. ჰოდა, ის მარცხი... ქართველ ფეხბურთელს, ავთანდილ ჭკუასელს „დააჰბრალდა", — ძირითად შემადგენლობაში ბესკოვის ნაცვლად რომ გამოჩნდა და როგორც რუსული პრესა წერდა, თურმე, პარტნიორებთან საერთო ენა ვერ გამონახაო... ოთხი წლის მერე, მელბურნის ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ოქროს მედლები მოიპოვა, მაგრამ შემადგენლობაში არც ერთი ქართველი არ ყოფილა.

სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ 1960, 1964 და 1968 წლის ოლიმპიადები საბჭოთა კავშირის ნაკრებმა „გამოტოვა", არადა, საპირისპირო შემთხვევაში რამდენ ქართველს ვიხილავდით!..

### მედლებიც გამოჩნდა!

1972 წელს, მიუნხენის ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის ნაკრები, ფაქტობრივად, უძლიერესი შემადგენლობით გაემგზავრა — სწორედ ეს გუნდი იყო, ოლიმპიადამდე ცოტა ხნით ადრე ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედლები რომ მოიპოვა. თუმცა, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ფავორიტის სტატუსი ვერ გაამართლა და მხოლოდ ბრინჯაოს მედლებს დასჯერდა — ნახევარფინალში პოლონეთთან წააგო. იმდროინდელი საბჭოთა კავშირის ნაკრების შეუცვლელი ფეხბურთელები კი **მურთაზ ხურცილავა** და **რევაზ ძოძუაშვილი** იყვნენ, რომლებიც დროის მცირე მონაკვეთში ჯერ ევროპის ვიცე-ჩემპიონები გახდნენ, მერე კი - ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორები. სხვათა შორის, მესამე ადგილისათვის მატჩში მურთაზ ხურცილავამ გდრ-ის ნაკრების კარში შორეული და უძლიერესი დარტყმით ეფექტური გოლიც გაიტანა!

საბჭოთა კავშირის ნაკრები მომდევნო ოლიმპიადაზეც გამოკვეთილი ფავორიტის რანგში ჩავიდა; ფაქტობრივად ეს იყო წინა წელს (1975), თასების მფლობელთა თასისა და ევროპის სუპერთასის მომგები კიევის „დინამოს" ბაზაზე ჩამოყალიბებული გუნდი პლუს სამი-ოთხი სხვა ფეხბურთელი - ანუ მონრეალის ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვალერი ლობანოვსკიმ** 17 ფეხბურთელი წაიყვანა და მათგან მხოლოდ ორს არ მიუღია მონაწილეობა: სათადარიგო მეკარესა და... **დავით ყიფიანს**. არადა, ეს ფაქტი ყველასათვის (მათ შორის, იმდროინდელი საბჭოური პრესისთვისაც) მოულოდნელი იყო: ყიფიანი ჩინებულ ფორმაში იმყოფებოდა, მაგრამ ლობანოვსკიმ თავის გამოჩენის შანსი არ მისცა...

საბჭოთა კავშირის ნაკრებმა 1976 წლის ოლიმპიადაზეც ბრინჯაოს მედლები მოიპოვა და აი, მომდევნო გათამაშების წინ ამ გუნდისგან მხოლოდ ჩემპიონობას ელოდნენ. სხვანაირად ვერც იქნებოდა: 1980 წლის ოლიმპიადა ხომ მოსკოვში ტარდებოდა და მასპინძლის სტატუსის გარდა საბჭოთა კავშირს ნაკრების შემადგენლობაც გასათვალისწინებელი იყო. ნაკრების იმდროინდელმა მწვრთნელმა კონსტანტინ ბესკოვმა მართლაც ჩინებული შემადგენლობა შეკრიბა: **რენატ დასაევი, ვაგიზ ხიდიატულინი, ფიოდორ ჩერენკოვი, იური გავრილოვი, ვლადიმირ ბესონოვი, სერგეი ანდრეევი, ვალერი გაზაევი, ხორენ ოგანესიანი**; აღარაფერს ვამბობთ იმდროინდელი საბჭოთა კავშირის ნაკრების ორ წამყვან და შეუცვლელ ფეხბურთელზე: **ალექსანდრე ჩივაძესა** და **თენგიზ სულაქველიძეზე**. სულ ბოლო მომენტში განაცხადში კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი მოხვდა — **რევაზ ჩელებაძე**, თუმცა ქართული „ტრიო" მხოლოდ და მხოლოდ ბრინჯაოს მედლებს დასჯერდა...

1984 წლის ოლიმპიადას საბჭოთა კავშირმა ბოიკოტი გამოუცხადა; სამაგიეროდ, ოთხი წლის შემდეგ ჩატარებული ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირი საბჭოთა კავშირის ნაკრების ტრიუმფით დასრულდა! არადა, ტურნირის დაწყებამდე საბჭოთა კავშირის ნაკრებს ფავორიტთა შორის არავინ მოიხსენიებდა, რადგან სხვა გუნდებში ერთიმეორეზე უკეთესი ფეხბურთელები თამაშობდნენ: **რომარიო, ბებეტო, ჟორჟინიო, ტაფარელი** (ყველა — ბრაზილია), **ჩირო ფერარა, რუჯერიო რიციტელი, ანდრეა კარნევალე, მაურო ტასოტი, ალბერიგო ევანი** (ყველა — იტალია), **იურგენ კლინსმანი** (გფრ) და სხვები. თუმცა, საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ანატოლი ბიშოვეცმა** 11 (!) გუნდის მოთამაშეებისაგან ჩინებული კოლექტივი შეკრიბა და ჯგუფური ეტაპი (სამხრეთ კორეასთან, არგენტინასთან, აშშ-თან) და მეოთხედფინალური ბარიერი (ავსტრალიასთან) უპრობლემოდ დასძლია. საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდურ ფეხბურთს ანიჭებდა უპირატესობას, თუმცა გამოკვეთილი ლიდერ-ინდივიდუალისტებიც ჰყავდა: **დმიტრი ხარინი, ალექსეი მიხაილიჩენკო, იგორ დობროვოლსკი, ვლადიმირ ტატარჩუკი** და... **გელა კეტაშვილი**! ეს უკანასკნელი საბჭოთა კავშირის ნაკრების შეუცვლელი ფეხბურთელი და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთი ლიდერიც გახლდათ. კეტაშვილმა ჩინებულად ითამაშა ნახევარფინალშიც (იტალიის წინააღმდეგ), ხოლო ფინალში **რომარიოსა** და **ბებეტოს** მეურვეობდა! ქართველმა ფეხბურთელმა ეს ურთულესი დავალება პირნათლად ხომ შეასრულა, დამატებით დროში საგოლე კომბინაციაც წამოიწყო, ბრაზილიელთა კარში **იური სავიჩევის** ზუსტი დარტყმით რომ დამთავრდა! აი, ასე გახდა პირველად (და, ჯერჯერობით — უკანასკნელად) ქართველი ფეხბურთელი ოლიმპიური ჩემპიონი!..

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „თბილისის ლუდის ფესტივალი" - გრანდიოზული დღესასწაული „ნატახტართან" ერთად



21 და 22 ივლისს, „ვარდების რევოლუციის" მოედანზე, კომპანია „ნატახტარმა", რიგით მესამე „თბილისის ლუდის ფესტივალს" უმასპინძლა. ორი დღის განმავლობაში ლუდის მოყვარულებს, შესაძლებლობა ჰქონდათ ლუდსახარში „ნატახტარის" ოთხი ბრენდის ლუდი დაეგემოვნებინათ, კარგი მუსიკა მოესმინათ და სახალისო ღონისძიებებში მიეღოთ მონაწილეობა. ორი დღის განმავლობაში „ვარდების რევოლუციის" მოედანზე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, მათ შორის იყვნენ, როგორც ადგილობრივი ლუდის მოყვარულები, ასევე უცხოელი სტუმრები. ასე რომ, ევროპის სხვადასხვა ქვეყნების მსგავსად, ლუდის ფესტივალის მოწყობა საქართველოში უკვე ტრადიციად იქცა და შეიძლება თამამად ითქვას, რომ წლევანდელი ღონისძიება ყველაზე ხალხმრავალი და გრანდიოზული იყო მთელს სამხრეთ კავკასიაში.

„თბილისის ლუდის ფესტივალი" საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრების წევრებმა საზეიმოდ გახსნეს – ლამაზ კოსტიუმებში გამოწყობილი მომსახურე გოგონების კორიდორის გაიარეს და ხის უროს დარტყმით ლუდის კასრი გახსნეს, საიდანაც სტუმრებმა პირველი ლუდი დააგემოვნეს. აღსანიშნავია, რომ თბილისის ლუდის ფესტივალზე დასწრება ყველა მსურველს უფასოდ შეეძლო. წლევანდელი ფესტივალი გამორჩეული იყო უამრავი გასართობი, საინტერესო და სახალისო ღონისძიებით. ვარდების რევოლუციის მოედანზე დამონტაჟებულ სპეციალურ სცენაზე, ცოცხალი შესრულებით, ცნობილი ქართული ჯგუფები და მომღერლები ასრულებდნენ პოპულარულ კომპოზიციებს. „მგზავრები", „ბანდეროლი", კორკოტა, Loudspeaker, დავით ილურიძის ბენდი, „ზარები", „ნალი" და „ზურგი" – ფესტივალზე მოსულ სტუმრებს სწორედ ამ შემსრულებლების მოსმენა შეეძლოთ. ფესტივალის პირველი დღე „მგზავრებმა" მეორე დღე კი სალომე კორკოტაშვილმა დახურა.

„თბილისის ლუდის ფესტივალის" ერთ-ერთი ღირშესანიშნაობა 30 მეტრიანი ბარი იყო, სადაც ვიზიტორებს შესაძლებლობა ჰქონდათ ცივი ლუდი დაეგემოვნებინათ. ლუდის ფესტივალზე სტუმრებს საინტერესო და სახასიათო აქსესუარების შეძენა შეეძლოთ. აღსანიშნავია, რომ „თბილისის ლუდის ფესტივალს" საერთო ჯამში 100-მდე პროფესიონალი მომსახურე პერსონალი ემსახურებოდა. კათხა ლუდის შეძენა სტუმრებს მხოლოდ ერთი ლარად შეეძლოთ.

პატარებისთვის ფესტივალზე „ნატახტარის" ლიმონათის კუთხე მოეწყო, სადაც მიმების თეატრი და ჯამბაზები ბავშვების გუნება-განწყობილებაზე ზრუნავდნენ.

ნინო სურმავა, კომპანია ლუდსახარში „ნატახტარის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი: „სწორედ მაშინ, როცა თბილისში ლუდის ფესტივალი იმართებოდა, მსოფლიოს მასშტაბით, სხვადასხვა ქვეყანაში 33 ლუდის ფესტივალი მიმდინარეობდა. ერთი კვირის წინ კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 40-მდე ასეთი ფესტივალი გაიმართა. ამით იმის თქმა მინდა, რომ მსოფლიოში არსებობს ე.წ. ლუდის ფესტივალების კალენდარი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურისტთა შორის და ხშირად თავის მოგზაურობას სხვადასხვა ქვეყანაში სწორედ ამ ფესტივალს ამთხვევენ. სამი წლის წინ, როცა პირველად დავიწყეთ ლუდის ფესტივალის ჩატარება, ჩვენი მიზანიც სწორედ ეს იყო, რომ დროთა განმავლობაში მსოფლიოს ლუდის ფესტივალების კალენდარში „თბილისის ლუდის ფესტივალიც" მოხვდეს.

გვახარებს ის, რომ სტუმრების რიცხვი ფესტივალზე წლიდან-წლამდე იზრდება და მათ შორის უცხოელი სტუმრებიც არიან. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მომავალში ეს ფესტივალი ტურისტების ინტერესის სფეროში მოხვდება.

წლევანდელ ფესტივალზე ძალიან ბევრი საინტერესო და გამორჩეული ღონისძიება შევთავაზეთ სტუმრებს. მათ შორის იყო, 30 მეტრიანი ბარი, სადაც ლუდის მოყვარულებს სპეციფიკურ სამოსში გამოწყობილი უამრავი ლამაზი გოგონა ემსახურებოდათ და ამიტომ ლუდის დასალევად სტუმრებს ხალხმრავალ რიგში ჩადგომა არ უხდებოდათ. რაც ძალიან მოეწონათ სტუმრებს ცივი და უქაფო ლუდი იყო.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ მადლობა ვუთხრა თბილისის მერიას მხარდაჭერისთვის."

სანდრო კაკულია, თბილისის ლუდის ფესტივალის ორგანიზატორი: „ყოველ წელს ვცდილობთ, რომ „თბილისის ლუდის ფესტივალი" უფრო მეტად იყოს დატვირთული საკონცერტო პროგრამებით. წლევანდელ ფესტივალზე დაახლოებით ათამდე გამომსვლელი გვყავდა და სცენიდან ფაქტობრივად უწყვეტ რეჟიმში ისმოდა მუსიკა. ფესტივალზე მოსულ სტუმრებს სასიამოვნო და საზეიმო განწყობას უქმნიდნენ არა მხოლო მუსიკოსები, არამედ მსახიობები და ანიმატორები. ისევე, როგორც გასული ორი ფესტივალის ფარგლებში, ახლაც გვქონდა მოწყობილი საბავშვო კუთხე, სადაც პატარებს შეეძლოთ დაეგემოვნებინათ „ნატახტარის" შუშხუნა ლიმონათი და სხვადასხვა სახალისო თამაშებში მიეღოთ მონაწილეობა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რითაც წლევანდელი ლუდის ფესტივალი იყო გამორჩეული ოთხი, 10 კაცზე გათვლილი მაგიდა იყო, სადაც სრულიად უცხო ადამიანებს, შესაძლებლობა ჰქონდათ ერთად მოელხინათ კათხა ლუდზე. ეს არის გამოცდილება, რომელიც დასავლურ ლუდის ფესტივალებს აქვთ და გვინდა დავამკვიდროთ საქართველოშიც. ლუდის ფესტივალი სახალხო ზეიმია, სადაც შეიძლება სრულიად უცხო ადამიანი გაიცნო და მასთან ერთად გაატარო ლუდის საღამო. ეს არის ლუდის სმის კულტურა არა თრობისთვის, არამედ გართობისთვის და სიამოვნებისთვის. მაგალითად გასულ წელს ფესტივალის ფარგლებში 25 ათასი ლიტრი ლუდი დალიეს სტუმრება, წელს კი თითქმის ორჯერ მეტი, რადგან სტუმრების რაოდენობაც გაორმაგებული იყო.

გაიმართა შეჯიბრი ლუდის სმაში და ჭამაში, ბლოგერების შეჯიბრი ჩექმის ფორმის ჭიქებიდან და შეჯიბრი ლუდის სმაში. ამ კონკურსებში გამარჯვებულებს ლუდის სიმბოლიკის სუვენირები გადაეცათ.

გვიხარია რომ თბილისის ლუდის ფესტივალმა უკვე მოიპოვა სახელი ამიერკავკასიაში და ჩვენთან გამოცდილების მისაღებადაც ჩამოდიან მეზობელი ქვეყნებიდან. მაგალითად ამ ლუდის ფესტივალს ესწრებოდა ერევნის ლუდის ფესტივალის ორგანიზატორი, რათა ჩვენი გამოცდილება გაეზიარებინა."

გიორგი ლაბაძე, თბილისის ლუდის ფესტივალის სტუმარი: „ძალიან მიყვარს ლუდი და რა თქმა უნდა ყოველთვის ვესწრები ამ ფესტივალს თბილისში. „ნატახტარის" ბრენდის თითქმის ყველა ლუდი მომწონს, განსაკუთრებით კი „მთიელი", ამიტომ არ გავუშვი შანსი ხელიდან და მეგობრებთან ერთად მოვედი ამ ფესტივალზე. მომწონს ისიც, რომ ყოველ წელს ფესტივალი შინაარსობრივად სულ უფრო საინტერესო და სანახაობის თვალსაზრისი დატვირთულია. დასანანია, რომ ასეთი კარგი დღესასწაული თბილისში მხოლოდ ორი დღე გაგრძელდა და არა მთელი კვირა."



ინტერვიუ. ლუუკ დე იონგი

# ჰოლანდიაში გოლის გატანას რა უნდა?!

## ჩემი შესაძლებლობები ახლა ბუნდესლიგაში უნდა დავამტკიცო!

**გერმანიაში** ახლა ყველა მასზე ლაპარაკობს: ჰოლანდიელი თავდამსხმელი ლუუკ დე იონგი ყურადღების ცენტრშია, რადგან მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" „ტვენტეს" მის სანაცვლოდ იმდენი ფული გადაუხადა, რამდენიც მანამდე, არსებობის უდიდეს ისტორიაში არც ერთ ფეხბურთელში არ გადაუხდია: „გლადბახს" 21 წლის გოლეადორი, რომელმაც გასული სეზონის 31 მატჩში 25 გოლი გაიტანა, 15 მილიონი ევრო დაუჯდა. კვირას, გაზეთმა „ბილდ ამ ზონთაგმა" მიონხენგლადბახელთა ახალწვეულის პირველი ინტერვიუ გამოაქვეყნა.



ლუუკ დე იონგი გლადბახის ყველა დროის ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენია

**- ლუუკ, ახალ გარემოს უკვე შეეჩვიეთ?**

- ყველაფერი შესანიშნავადაა, აქ ძალიან კარგად მიმიღეს. განსაკუთრებით ჩემი თანამემამულე როელ ბრუვერსი მეხმარება, რომელიც პირველივე დღიდან ჩემი ოთახის მეგობარი გახდა. ყველას როელმა გააცნო ჩემი თავი. ერთი სიტყვით, აქაურობის გაცნობა-შეგუებაში მეხმარება.

**- გავიგეთ, ბრუვერსი დე იონგს დაძინებაში ხელს უშლისო... მართლა ხვრინავს?**

- ჟურნალისტებს, როგორც ყოველთვის, გადაჭარბება გიყვართ. როელის ხვრინვამ ერთხელ მართლაც გამაღვიძა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ არ მაძინებს და ხელს მიშლის. სამაგიეროდ, ბევრ რამეში მეხმარება - გერმანულსაც კი მასწავლის.

**- მასწავლებელი არ აიყვანეთ?**

- რად მინდა? ბრუვერსი მშვენიერი პედაგოგია (იცინის). თანაც, ტელევიზორში სულ გერმანულ არხებს ვუყურებ და ესეც მეხმარება. სხვათა შორის, ინგლისური ენაც ტელევიზორიდან მაქვს ნასწავლი – ნიჭიერი ვარ.

**- თქვენი გადაბირება არაერთ სერიოზულ კლუბს სურდა. რატომ მაინცდამაინც „გლადბახი"?**

- მამაჩემი მიონხენგლადბახში იყო და აღფრთოვანებული დაბრუნდა – „ბორუსიაში" იდეალური პირობები და შესანიშნავი ატმოსფერო დაგხვდებაო. ესეც რომ არ ყოფილიყო, „გლადბახი" მეც ძალიან მესიმპათიურებოდა, რადგან ბუნდესლიგის მიმოხილვებს ვუყურებ ხოლმე და ვიცი, როგორი ფანები ჰყავს ამ გუნდს. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ ფაქტმაც, რომ მიონხენგლადბახიდან ჩემს მშობლიურ დოეტინხემამდე ავტომობილით საათ-ნახევარში ჩავალ ხოლმე. ოჯახის კაცი ვარ და ჩემი ბავშვობის მეგობრების ხშირად მონახულება მიყვარს. მიუხედავად იმისა, რომ კლუბის ხელმძღვანელებმა მითხრეს, შეგიძლია დოეტინხემიდან იაროო, მიონხენგლადბახში სახლი მაინც უნდა ვიქირაო. დაბოლოს: გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ „გლადბახი" ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.

**- პირდაპირ გკითხავთ: მიგაჩნიათ, თუ არა, რომ არაფრით ჩამოუვარდებით, ან სულაც, ჯობიხართ მარკო როისს, რომელიც მიონხენგლადბახური პუბლიკის უსაყვარლესი ფეხბურთელი იყო და რომელიც ახლახან დორტმუნდის „ბორუსიაში" გადავიდა?**

- მარკომ გასულ სეზონში 18 გოლის გატანა შეძლო და თან არც ის უნდა დავავიწყდეს, რომ როისი არ არის ცენტრფორვარდი. ბუნდესლიგაში 18 გოლის გატანა ძალიან ძნელია! თუმცა ცხადია, რომ აქ მეც გოლების გასატანად ჩამოვედი. ზუსტი ციფრის დასახელება გამიჭირდება, მაგრამ მაქსიმალურად ბევრის გატანას შევეცდები.

**- ჰოლანდიის ჩემპიონატში 25 გოლი გაიტანეთ...**

- ჰოლანდიაში გოლების გატანა გაცილებით ადვილია. ჩვენთან დონე არ არის ისეთი მაღალი, როგორც გერმანიაშია. ბუნდესლიგაში ყველა შეხვედრა ტოპმატჩია!

**- თქვენმა თანამემამულემ, კლაას-იან ჰუნტელაარმა გერმანიის ჩემპიონატს ალლო აულო და გასულ სეზონში საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მიონხენგლადბახში თქვენგანაც ამას ელიან – გახდებით ბუნდესლიგის „ახალი ჰუნტელაარი"?**

- ბოროტი კითხვაა! ჰუნტელაარი ჩემთვის მისაბაძი მაგალითი და ბრწყინვალე გოლეადორია. რა თქმა უნდა, ძალიან მინდა, რომ მეც შევძლო ბუნდესლიგის ბომბარდირობა, მაგრამ ჯერ მხოლოდ 21 წლის ვარ, რაც იმას ნიშნავს, რომ რაც უნდა იყოს, ჰუნტელაარამდე ჯერ ძალიან ბევრი მიკლია.

**- გერმანიის ჩემპიონობა გირჩევნიათ თუ საუკეთესო ბომბარდირის სტატუსი?**

- ჩემპიონობა? ხუმრობთ? „გლადბახი" შესანიშნავი გუნდია, მაგრამ არა მგონია, რომ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლოთ. ყოველ შემთხვევაში, კითხვი არსი სხვა იყო და თამამად გიპასუხებთ, რომ ცხადია, ბომბარდირობას ჩემპიონობა მირჩევნია.

**- მაგრამ გასული სეზონის შემდეგ ვერავინ იტყვის, რომ „გლადბახს" ჩემპიონობის შანსი არ აქვს...**

- ორი აზრი არ არსებობს: გუნდი საკმაოდ გაძლიერდა, მაგრამ ცაში არ უნდა ვიფრინოთ. ვფიქრობ, გერმანიის ჩემპიონობა 2-3 წლის შემდეგ იქნება რეალური და სხვათა შორის, 5-წლიანი კონტრაქტი ტყუილად არ გამიფორმებია – იმედია, „გლადბახის" ფეხბურთელის რანგში გერმანიის ჩემპიონობასაც ვიზეიმებ.

**- ჰოლანდიის ნაკრები?**

- 2014 წლის მუნდიალამდე ჯერ დიდი დროა და ჩემი მიზანი სწორედ ის არის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰოლანდიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდე. სხვათა შორის, ძალიან გამიხარდა, როცა შევიტყვე, რომ ნაკრების მწვრთნელად ლუის ვან გაალი დაინიშნა, რადგან ცნობილია, რომ მას ახალგაზრდა ფეხბურთელები უყვარს. ლუისმა პირველივე პრესკონფერენციაზე თქვა, აქცენტს ახალგაზრდებზე გავაკეთებო.

**- დაბოლოს: გერმანელი ჟურნალისტის ტრადიციული კითხვა ჰოლანდიელს: რითი სჯობია გერმანია ჰოლანდიას?**

- პირველ რიგში ავტობანებით: აქ შეგიძლია მანქანით იფრინო. ახლა „ფოლკსვაგენი" მყავს, მაგრამ უახლოეს მომავალში ახალი ავტომობილის ყიდვას ვაპირებ. ჯერ არ ვიცი, რომელ მარკას და მოდელს ავირჩევ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ახალი ამჟამინდელზე სწრაფი უნდა იყოს.

შტუტგარტი

# 55 000 ფანი ღია კარის დღეზე

## შვაბებმა სეზონი გახსნილად გამოაცხადეს

**გუშინწინ** შტუტგარტში სტადიონის ღია კარის დღე იყო – სეზონის გახსნის ცერემონია 5 საათს გაგრძელდა და მას 55 000 ფანი დაესწრო. უდიდესი ინტერესის გამო ორგანიზატორები იძულებულები გახდნენ, „მერსედეს ბენც არენას" ყველა კარი დაგეგმილზე ერთი საათით ადრე გაეღოთ.

წვეულების უმთავრესი მოვლენა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გუნდის წარდგენა გახლდათ – „შტუტგარტის" ფეხბურთელები თავიანთ ქომაგებს სპეციალური სცენიდან მიესალმნენ. იყო სახალისო შოუ-პროგრამა და მისასალმებელი სიტყვებიც. „მერსედეს ბენც არენას" გამომცხადებლის კითხვაზე, როდიდან შეიძლება შენობით მოგმართოთო, შვაბენლანდური კლუბის მენეჯერმა **ფრედი ბობიჩმა** ასე უპასუხა: *„მე მხოლოდ 40 წლის ვარ და აქ თითქმის ყველას იმ დროიდან ვიცნობ, როცა ჯერ კიდევ ფეხბურთს ვთამაშობდი. მაშინ ყველა შენობით მომმართავდა და უმეტესობა ახლაც ასე მომმართავს. ასე რომ, ამიერიდან თქვენც შენობით მელაპარაკეთ."*

ფანებს „შტუტგარტის" თავკაცი **ბრუნო ლაბადიაც** მიესალმა: *„იშვიათად მინახავს ქალაქი, სადაც საღამოობით იმდენი რამ ხდება, რამდენიც შტუტგარტში. ამის მერე კიდევ იტყვის ვინმე, რომ შვაბებს ზეიმი არ ეხერხებათ?"*

იმისათვის, რომ ასეთი ზეიმები სრულყოფილი იყოს, შვაბებს ტიტულები სჭირდებათ და რამდენად შეუძლია „შტუტგარტს" რომელიმე ტიტულისთვის ბრძოლა, ამას მალე შევიტყობთ – გერმანიის ჩემპიონატი 25 აგვისტოს იწყება, თასის გათამაშება კი ერთი კვირით ადრე...



ფანებს პირველები ვილიამ კვისტი და კრისტიან გენტნერი მიესალმნენ

ამბები



### ჰამბურგი რაფაელს უმიზნებს

„ჰამბურგი" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული ბერლინის „ჰერტას" ბრაზილიელ შემტევ ნახევარმცველ **რაფაელს** მიუბრუნდა. ჰამბურგელთა მენეჯერ **ფრანკ არნესენს** ახალი გამთამაშებლის შეძენა უნდა და მიზანი სწორედ რაფაელისკენ მიმართა. ბრაზილიელს კიევის „დინამოც" ეპატიჟება და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, უკრაინული გრანდი მზადაა, „ჰერტას" 10 მილიონი ევრო გადაუხადოს. თუ რაფაელი კიევში გადასვლას დათანხმდება, ჰამბურგელებს ხელი მოეცარებათ, რადგან HSV-ს 10 მილიონის გადახდა არ შეუძლია.

### ვერდერს ლაკიჩი არ აინტერესებს

„ვერდერი" კიდევ ერთი ცენტრფორვარდის ძებნას აგრძელებს. ამ დღეებში ვრცელდებოდა ცნობები იმის შესახებ, რომ ბრემენელებს შეიძლებოდა **სრდიან ლაკიჩი** ეყიდათ, მაგრამ გუშინ „მუსიკოსების" სპორტულმა დირექტორმა **კლაუს ალოფსმა** ეს ინფორმაცია უარყო – ლაკიჩზე სერიოზულად არ ვფიქრობ.

ჰოფენჰაიმი

# ბაბელმა ბაბელი დაიწუნა

## სოფლელები შეკრებაზე რიგითი რაიანის გარეშე წავიდნენ

„ჰოფენჰაიმის" მთავარ მწვრთნელ **მარკუს ბაბელს** ჰოლანდიელი გარემარბი **რაიან ბაბელი** აღარ სჭირდება: 39 წლის სპეციალისტმა 25 წლის შეგირდები შეკრებაზე არ წაიყვანა და მოყვარულთა გუნდში გადაისროლა. მარკუსმა რაიანს ჯერ კიდევ გასული სეზონის მიწურულს უთხრა, სასწაული უნდა მოხდეს, ძალიან უნდა გამოსწორდე, გუნდში რომ დაგტოვოო, და როგორც ჩანს, ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა „ჰოფეს" თავკაცი თავის შესაძლებლობებში ვერც შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ დაარწმუნა.

აღსანიშნავია, რომ ჰოფენჰაიმელები რაიან ბაბელზე ყოველთვის დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ მან ერთხელაც ვერ შეძლო ამ იმედების გამართლება. ხოლო მას მერე, რაც „ჰოფენჰაიმის" თავკაცად მარკუს ბაბელი დაინიშნა, რაიან ბაბელის მომავალი უფრო ბუნდოვანი გახდა, რადგან მარკუსი ძალიან მომთხოვნი და მკაცრი მწვრთნელია.

არადა, „სოფლელებს" რაიან ბაბელში 7 მილიონი ევრო აქვთ გადახდილი, ხელფასი კი წელიწადში სამი მილიონი აქვს. თუკი სხვა მწვრთნელები, **მარკო პეცაიუოლი** ან **ჰოლგერ სტანისლავსკი** მეტ-ნაკლებად მაინც სწყალობდნენ, მარკუს ბაბელმა რაიანი საბოლოოდ ჩამოწერა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



რაიან ბაბელი მარკუს ბაბელის ჰოფენჰაიმში აღარ ითამაშებს

დორტმუნდის ბორუსია


იურგენ კლოპი კარგ ხასიათზეა

# ყველა კლოპის განკარგულებაშია

## დორტმუნდელები მზადებას შვეიცარიაში განაგრძობენ

დორტმუნდის „ბორუსია" შვეიცარიაში გაემგზავრა და ბად რაგაცში დასცა ბანაკი, სადაც გერმანიის მოქმედი ჩემპიონი ახალი სეზონისთვის მორიგ შეკრებას 29 ივლისამდე გაივლის. კვირას „ბორუსიას"-ის ფეხბურთელებიც შეუერთდნენ, რომლებსაც ევროპის ჩემპიონატის გამო გახანგრძლივებული შვებულება ჰქონდათ. მიუხედავად ბოლო ორი ტესტ-მატჩის წაგებისა, დორტმუნდელთა მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** თავისი შეგირდებით კმაყოფილია, ყველაზე მეტად კი **მარსელ შმელცერმა** გააოცა.

ამრიგად, ახლა ყველა, 25-ივე ფეხბურთელი კლოპის განკარგულებაშია. შვებულებიდან ყველაზე ბოლოს გერმანიის ნაკრების წევრები, **მარიო გიოტცე, მატს ჰუმელსი, მარკო როისი** და **მარსელ შმელცერი** დაბრუნდნენ. ევროპის ჩემპიონატზე იმყოფებოდა, მაგრამ გუნდს სხვებზე ადრე შეუერთდა **ილქაი გიუნდოგანი**, რომელიც „ნიურნბერგთან", **მარეკ მინტალის** გამოსათხოვარი ტესტ-მატჩის (2:4 ფრანკების სასარგებლოდ) განაცხადშიც იყო, თუმცა ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ თამაშმა არ მოუწია.

*„შვებულება საკმარისად ხანგრძლივი იყო, ძალიან კარგად დავისვენე და ახლა ნებისმიერი სახის დატვირთვისთვის მზად ვარ"*, - უთხრა გიუნდოგანმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

*„მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს ყველა ჩემს განკარგულებაშია და შევძლია, სრულყოფილად მოვემზადოთ. ბიჭები დასვენებულები ჩანან და კარგია, რომ ყველანი ჯანმრთელები არიან"*, - ეს კი კლოპის სიტყვებია, რომელმაც მარსელ შმელცერი ვერ იცნო: *„წარმოდგენა არ მქონდა, რომ მარსელს წვერი ჰქონდა მოშვებული და თავიდან მართლა ვერ ვიცანი. ჩემთვის წვერი ნაცნობი რამაა, მაგრამ შმელცერისგან ამას ყველაზე ნაკლებად ველოდი. 4 წელია დორტმუნდში ვმუშაობ და მარსელი წვერში პირველად ვნახე."*

### როისის დებიუტი სენტ გალენთან

სამაგიეროდ, კლოპი ოდნავადაც არ არის შეკირებული იმით, რომ მისმა გუნდმა ბოლო ორი ტესტ-მატჩი წააგო (1:3 „ბრიუგესთან", 2:4 „ნიურნბერგთან"): *„ცხადია, კარგი იქნებოდა, ბიჭებს უკეთ რომ ეთამაშათ და მოეგოთ, მაგრამ ეს მზადების პროცესია და მირჩევნია, ახლა შეგვექმნას პრობლემები, ვიდრე მაშინ, როცა სეზონი დაიწყება. მე სპეციალურად შევარჩიე ისეთი მეტოქეები, რომლების წინააღმდეგობას გაგვიწევენ და არა ისეთები, ვისაც 17-18 გოლს გავუტანდით."*

„ბორუსიას" მომდევნო სპარინგ-პარტნიორი შვეიცარიული „სენტ გალენია" - ეს მატჩი ხვალ გაიმართება და „ბორუსიას" ქომაგები თავიანთ საყვარელ გუნდში „გლადბახიდან" 17 მილიონ ევროდ შეძენილი **მარკო როისის** დებიუტს ელიან.

ინტერვიუ. მარკო როისი

# იურგენს მწარე ხელი ჰქონია...

**შეუერთდა თუ არა 23 წლის შემტევი ნახევარმცველი გერმანიის ჩემპიონს, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა მაშინვე ინტერვიუები სთხოვეს – როგორც ყოველთვის, პირველი ამჯერადაც გაზეთი „ბილდი" აღმოჩნდა. ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელ მარკო როისზე დორტმუნდში უდიდეს იმედებს ამყარებენ. რას ფიქრობს თავად მარკო, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**


მარკო როისმა დორტმუნდის ფორმა მოირგო

**- ჰერ როის, იურგენ კლოპის ალიყურების ატანა რომ მოგიწევთ, იცით?**

- (იცინის) ჰო, ვიცი, რომ იურგენს მწარე ხელი აქვს. ბიჭებმა თავიდანვე მითხრეს, ისეთ დროს და ისეთ მომენტში შემოგარტყამს, ყველაზე ნაკლებად რომ ელოდებიო. ერთ-ორჯერ უკვე მითავაზა. ალიყურების არ მეშინია, მაგრამ დამატებითი მოტივაცია არ მჭირდება – ისედაც ყოველთვის მაქსიმალურად მონდომებული ვარ. მინდა, ყველას დავუმტკიცო, რომ უკვე მაღალი კლასის ფეხბურთელი ვარ და რომ „დორტმუნდში" გადმოსვლას ვიმსახურებდი. მინდა, „ბორუსიამ" გერმანიაში ტიტული შეინარჩუნოს და ჩემპიონთა ლიგაშიც ღირსეულად ითამაშოს. დორტმუნდი ჩემთვის დიდი გამოწვევაა და თავს ნამდვილად არ დავზოგავ.

**- თქვენი აზრით, „ბორუსია" „ბაიერნს" წელსაც გაამწარებს?**

- „დორტმუნდი" არის გუნდი, რომელსაც თავისი საკუთარი საფეხბურთო ფილოსოფია და თამაშის განსაკუთრებული სტილი აქვს. ორი წელია, BVB „ბაიერნს" ყველგან და ყოველთვის უგებს და რატომ ვერ უნდა გავამწაროთ რეკორდმაისტერი წელსაც? ცხადია, რომ „ბაიერნი" უფრო ძლიერი იქნება, მაგრამ არც ჩვენ ვართ სუსტები. თუმცა, შვებულებაში ყოფნისას წავიკითხე, რომ ჩემი ახალი თანაგუნდელები მიზნად ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას ისახავენ და მათ მეც ვეთანხმები. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ისევ აუცილებლად ჩემპიონები უნდა გავხდეთ, რადგან ტიტულის ზედიზედ მეორედ შენარჩუნება უკვე მართლა ძალიან ძნელია – მით უმეტეს ბუნდესლიგაში.

**- რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის „შალკესთან" დუელებს?**

- დორტმუნდში გავიზარდე, ჩემი ოჯახი აქ ცხოვრობს და რა თქმა უნდა, ვიცი, რასაც ნიშნავს აქაურებისთვის რურის დერბი. „შალკესთან" თამაშებს ახლა უკვე მოუთმენლად ველი.

**- წინა სეზონში „ბორუსიამ" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახა, რაც ფანებს გულში ხინჯად აქვთ ჩარჩენილი. როგორ ფიქრობთ, „დორტმუნდი" ამჯერად ჯგუფშიც „დაიქუხებს"?**

- ჩემი აზრით, „დორტმუნდმა" ჩემპიონთა ლიგაში საკმაოდ კარგად ითამაშა და ჯგუფში არც ერთ მეტოქეზე უარესად არ გამოიყურებოდა, რამდენიმე მატჩში კი აშკარად არ გაუმართლა. თუმცა ეს ალიბად არ გამოდგება, რადგან გერმანიის ჩემპიონი ევროსარბიელზე გაცილებით უკეთესად უნდა გამოიყურებოდეს. ვფიქრობ, ამჯერად გაცილებით უკეთ ვითამაშებთ და ჯგუფურ ეტაპსაც აუცილებლად გადავლახავთ, რადგან ბიჭები უფრო გამოცდილები არიან. მთავარია, მოვახერხოთ და ჩემპიონთა ლიგაშიც „ბორუსიასთვის" დამახასიათებელი ფეხბურთი ვითამაშოთ. ასეთ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, მინიმუმ მეოთხედფინალში გავალთ.

**- „დორტმუნდმა" „გლადბახს" თქვენ სანაცვლოდ 17 მილიონი ევრო გადაუხადა. წნეხს გრძნობთ?**

- არა! იმიტომ, რომ ვიცი, ამდენი ვღირდი. თანაც, მშობლებმა ისე აღმზარდეს, რომ თავში ავარდნა არ მჩვევია – ყოველთვის მიწაზე ვარ და ცაში არ დავფრინავ.


სანამ როისი გლადბახში თამაშობდა, კლოპი ასე ეფერებოდა

ბაიერნი

# ზამერის პირველი ფიასკო?

## ლევერკუზენელები ბენდერს მიუნხენში არ უშვებენ, რეკორდმაისტერი არ ნებდება


ლარს ბენდერს (მარცხნივ) ბაიერნში არ უშვებენ. მათიას ზამერს პირველივე ტრანსფერში ხელი მოეცარა?

გუშინ „ბაიერნმა" ჩინური ტურნე დაიწყო და ბავარიელთა მთავარი სალაპარაკო თემა პეკინშიც **ლარს ბენდერია**. როგორც იცით, მიუნხენელებს 23 წლის საყრდენი ნახევარმცველის გადაბირება მას მერე სურთ, რაც **ხავი მარტინესის** ტრანსფერი არარეალური გახდა, მაგრამ დიდი შანსია, რომ რეკორდმაისტერის ახალმა სპორტულმა დირექტორმა **მათიას ზამერმა** პირველი ფიასკო სწორედ ლევერკუზენელისთვის ბრძოლაში იწვნიოს.

გუშინდელ ნომერში „ლევერკუზენის" შეფ **ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერისა** და „ბაიერნის" მწვრთნელ **იუპ ჰაინკესის** დაპირისპირებაზე ვწერდით – როგორც იცით, „ბაიერის" ბოსი იუპს იმის გამო გაუნაწყენდა, რომ მიუხედავად კლუბების შეთანხმებისა, ამ უკანასკნელმა მაინც გათქვა ის, რომ „ბაიერნს" ბენდერის გადაბირება უნდა.

გუშინ ამ თემას „ლევერკუზენის" სპორტული დირექტორი **რუდი ფიოლერიც** გამოეხმაურა – ჩემმა ბაიერნელმა კოლეგამ (ანუ, ზამერმა – ავტ.) ძალიან კარგად იცის, რომ ლარს ბენდერს ვერ მიიღებსო. ამ განცხადებიდანაც ჩანს, რომ „ბაიერნისა" და „ლევერკუზენის" ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობა ახლა უკიდურესად დაძაბულია. გასაკვირი არც ისაა, რომ მიუნხენელებმა ლევერკუზენელთა პირველი (თუნდაც ასეთი ცივი) უარი არად ჩააგდეს და ბენდერისთვის ბრძოლას აგრძელებენ.

*„ზამერი „ბაიერნში" გაცილებით მძიმე წნეხის ქვეშაა, ვიდრე გერმანიის საფეხბურთო კავშირში იყო და ლოგიკურია ის, რომ უკვე რაღაც-რაღაცებს ცდილობს"*, - ესეც ფიოლერის სიტყვებია.

არადა, ლარს ბენდერი რეკორდმაისტერისთვის ახლა მართლაც იდეალური გამოსავალი იქნებოდა - ჯერ ერთი, მისი ყიდვის შემთხვევაში მიუნხენელები ხავი მარტინესს საბოლოოდ დაივიწყებდნენ და მეორეც: ტყუპისცალს მარჯვენა მცველის პოზიციაზეც შეუძლია თამაში, რაც იმას ნიშნავს, რომ **რაფინიას** და **დავიდ ალაბას** ტრავმების შემდეგ, იუპ ჰაინკესს ფლანგის ახალი მცველის ძებნა აღარ მოუწევდა – **ფილიპ ლამს** მარცხნივ გადასწევდა, მარჯვნივ კი ბენდერს გაამწესებდა.

ზამერს გუშინ „შპორტ აინსის" ჟურნალისტმა ზამერს უთხრა, ეს ყველაფერი ალბათ იმას ნიშნავს, რომ ბენდერი „ბაიერნში" არ გადმოვა და უმჯობესია, ფანებმა მალე დაივიწყონო. *„ეს არაფერსაც არ ნიშნავს!"* - ასეთი იყო ზამერის პასუხი.

გუშინვე, „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** ჩვენს გერმანელ კოლეგებს უთხრა, ყველა ფეხბურთელს აქვს თავისი ფასი, რომლის გადახდის შემთხვევაში სხვა გუნდს მისი ყიდვა შეუძლიაო. ერთი სიტყვით, „ბაიერნი" არ ნებდება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### ბაიერნმა დე იონგი გაიხსენა


ნაიჯელ დე იონგი

ამასობაში, „ბაიერნის" ხელმძღვანელები ლარს ბენდერის ალტერნატივაზე დაფიქრდნენ და ჩვენი ჰოლანდიელი კოლეგების ინფორმაციით, მიზანი „მანჩესტერ სიტის" საყრდენი ნახევარმცველისკენ, **ნაიჯელ დე იონგისკენ** მიმართეს.

ჰოლანდიური გაზეთი „დე ტელეგრააფი" წერს, რომ მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელები უკვე დაუკავშირდნენ მანჩესტერელ კოლეგებს და 27 წლის ფეხბურთელზე სიტყვა ჩამოუგდეს. ნაიჯელ დე იონგს ბუნდესლიგაში თამაშის გამოცდილება აქვს: 2006-დან 2009 წლამდე „ჰამბურგის" ღირსებას იცავდა. მას გაისად „სიტისთან" კონტრაქტი უმთავრდება და თუ მანჩესტერელები ჰოლანდიელს ახლავე დათმობენ, მის სანაცვლოდ გარკვეული თანხის მიღების შანსი აქვთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ინტერვიუ. ნიკი ბატი

# დიდი ოჯახის შვილი

**ნიკი ბატმა "მანჩესტერ იუნაიტედში" საერთო ჯამში 12 წელიწადი გაატარა და მიუხედავად იმისა, რომ "ოლდ ტრეფორდიდან" წასვლის შემდეგ ფეხბურთს კიდევ 7 წელიწადი თამაშობდა, მისი სახელი დღემდე "ეშმაკებთან" ასოცირდება. ის "იუნაიტედის" 90-იანების სკოლის გამოშვებაა, რომელმაც მსოფლიო ფეხბურთს დევიდ ბექჰემი, გარი და ფილ ნევილები, საიმონ დევისი, რაიან გიგზი, კიტ გილესპი, რობი სევიჯი, პოლ სქოულზი და მრავალი სხვა სახელგანთქმული ფეხბურთელი აჩუქა. "ბოსისგან (სერ ალექსი. რედ) დღემდე ვიღებ საშობაო საჩუქრებს, მე და ჩემი ოჯახი დღემდე ვართ ხოლმე კლუბის მიერ დაგეგმილი შეხვედრების სტუმრების სიაში, ბაზაზე მისვლაც მაშინ შემიძლია, როცა მოვისურვებ. მოკლედ, აქ ერთი დიდი ოჯახია. ზოგიერთი ფეხბურთელი მანჩესტერში საცხოვრებლად მხოლოდ იმიტომ რჩება, რომ კლუბთან ახლოს იყოს," – აცხადებს ნიკი ბატი. მაშ ასე, გთავაზობთ ინტერვიუს 37 წლის ვეტერანთან.**



ნიკი ბატი მანჩესტერ იუნაიტედს ბევრ რამეს უმადლის

**- "იუნაიტედმა" რა გავლენა მოახდინა თქვენს განვითარებაზე?**

- თვე არ გავიდოდა, ერიკ ჰარისონს ("იუნაიტედის" აკადემიის ყოფილი ხელმძღვანელი. რედ.) თავისთან არ დავებარებინეთ და ჩვენთვის ლექცია არ ჩაეტარებინა. ის მთხოვდა, ბრაიან რობსონისა და როი კინის თამაშს დავკვირვებოდი, გნებავთ, თავდასხმაში, გნებავთ დაცვაში.

**- ჰარისონი ალბათ გრძნობდა, რომ იმ თაობიდან პირველი თქვენ მომწიფდებოდით პირველ გუნდში სათამაშოდ.**

- კონკრეტულ ასაკამდე ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებდი, რომ რაღაცით სხვებზე უკეთესი ვიყავი. ფიზიკურად სხვებივით მსუბუქი გახლდით და თანაგუნდელებს ალბათ ხასიათის სიმტკიცით ვაჯობე. მენეჯერი სხვებზე უკეთ გრძნობდა, როდის იყო ამა თუ იმ ფეხბურთელის თამაშში ჩართვის დრო. შენ შეიძლება იფიქრო, რომ გახვალ მოედანზე და ყველაფერს გასწვდები და რომ მხოლოდ შანსი გჭირდება. მახსოვს, ჩემპიონთა ლიგაში "ბარსელონასთან" 0:4 წავაგეთ, მაშინ აბსოლუტურად მოუმზადებელი ვიყავი ასეთი თამაშისთვის. მოედანზე კი იმიტომ აღმოვჩნდი, რომ მაშინ ლეგიონერებზე ლიმიტი არსებობდა. რამდენადაც კარგი უნდა გეგონოს შენი თავი, მთავარია, მოთმინებით ალიჭურვო და მიხვდე, რომ შემადგენლობის დაყენება მწვრთნელის საქმეა.

**- 1992 წლის კლასმა რა გავლენა იქონია გამოშვებული ფეხბურთელების ბედზე?**

- იმ გამოშვებამ მსოფლიოს უამრავი ბრწყინვალე ფეხბურთელი აჩუქა. ეს ბიჭები კლუბს დღემდე არ შორდებიან და ეს მშვენიერია. მთელი ჩემი ოჯახი "იუნაიტედის" თავგადაკლული ფანია. ეს კლუბი ჩემს გულში სამუდამოდ დარჩება. ხომ ხედავთ, გიგზი და სქოულზი დღემდე კლუბში არიან და ახალი თაობის აღზრდაში თავის როლს თამაშობენ. პატარა ბიჭებს ისინი კლუბის ფილოსოფიას ასწავლიან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ვიხსენებ იმ პერიოდს, როცა მათი ტოლი ვიყავი და წარმოვიდგენ, რაიანისა და პოლის მსგავს ადამიანებთან მუშაობა რამხელა სიამოვნება იქნება.

**- ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ბევრმა თქვენგანმა სამწვრთნელო კარიერა უნდა დაიწყოს?**

- სქოულზს ამისთვის მშვენიერი მონაცემები აქვს. ის ყოველდღიური საწვრთნელი პროცესისგან სიამოვნებას იღებს და ამიტომაც არის, ფეხბურთს ამდენი ხანი რომ თამაშობს. გიგზიც ამ საქმისთვის დაბადებული მგონია. უბრალოდ არ ვიცი, კიდევ რამდენი ხანს ითამაშებს ფეხბურთს. ამ გზას ადგას გარი ნევილიც, მაგრამ მას "სქაისთან" 3-წლიანი კონტრაქტი აქვს და საკლუბო ფეხბურთში მისი დასაქმება უახლოესი პერსპექტივა არ არის. არავინ იცის, რა მოხდება მომავალში. განა ვინმე წარმოიდგენდა, რომ მარკ ჰიუზი მწვრთნელობას მოინდომებდა? ასე რომ, მზად უნდა ვიყოთ მოვლენათა მსგავსი განვითარებისთვის.

**- "იუნაიტედში" ყველაზე მეტად რა გენატრებათ?**

- ის ატმოსფერო, რაც გასახდელში სუფევდა. ბიჭები კლუბის სიმბოლოები იყვნენ. პოლი ნამდვილი პროფესიონალი და მშვიდი კაცი იყო, გიგზი და კინი გუნდის დიდ სულს განასახიერებდნენ. შემადგენლობაში ასეთი ფეხბურთელების ყოლა აუცილებელია, თუკი წარმატებებს გეგმავთ.

არსენალი

# დედლაინი: 18 აგვისტო

"არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა **არსენ ვენგერმა** გულშემატკივარს საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა – **რობინ ვან პერსის** ბედი 18 აგვისტომდე, ანუ პრემიერლიგის დაწყებამდე აუცილებლად გადაწყდება. ახალი ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის შემდეგ ჰოლანდიელი ვარსკვლავი კლუბის ხელმძღვანელობას კიდევ ერთხელ შეხვდა, თუმცა მხარეთა დიალოგმა შედეგი ვერც ამჯერად გამოიღო. რობინი რამდენიმე არსენალელთან ერთად ლონდონში დარჩა და ბაზაზე ფიზმომზადების მწვრთნელების მეთვალყურეობით ვარჯიშობს. არაოფიციალურად ცნობილია, რომ ლონდონელებს სამი შეთავაზება აქვთ აღნიშნულ ტრანსფერთან დაკავშირებით – მანჩესტერული გრანდები და "იუვენტუსი". თუმცა ჯერჯერობით არც ერთი მათგანი არ განხილულა. აი, რას ამბობს ვენგერი: *"მოგეხსენებათ, ვან პერსის ხელშეკრულებაში ერთი წელიწადი რჩება. მართალია, ძალიან გვინდა მასთან თანამშრომლობა, მაგრამ პირველ რიგში ვალდებულნი ვართ, "არსენალის" ინტერესებიდან გამოვიდეთ. ინტერპრეტაცია, თუ რას ნიშნავს ეს ფრაზა, თქვენთვის მომინდვია. მართალია, სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტოს იხურება, მაგრამ ჩვენ ჩვენს დედლაინს ვაწესებთ – ესაა 18 აგვისტო, პრემიერლიგის სტარტი".*



არსენ ვენგერი

ფრანგი სპეციალისტის მტკიცებით, "არსენალი" **იან მ'ვილას** გადაბირებას აღარ გეგმავს. არადა, 2011/12 წლების სეზონის დასრულების შემდეგ ფრანგული პრესა ამ ამბავს პრაქტიკულად გადაწყვეტილად მიიჩნევდა. ვენგერის თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ მას ამ პოზიციაზე უკვე ჰყავს **აარონ რემსი, ალექს სონგი, ფრანსის კოკლენი, აბუ დიაბი** და **ჯერ უილშირი,** მეხუთე ფეხბურთელის შეძენა ზედმეტად მიაჩნია. ინტერესი 21 წლის ფრანგის მიმართ კი თავის დროზე იმით იყო გამოწვეული, რომ გუნდიდან წასვლას ალექს სონგი გეგმავდა. არსენის თქმით, სიტუაცია მხოლოდ ტრავმათა ახალმა ეპიდემიამ შეიძლება შეცვალოს.

ამხანაგური მატჩი

# ევროგრანდები ამერიკაში

**ჩელსი–პარი სენ-ჟერმენი 1:1**

**ჩელსი:** ჩეხი (ტერნბული 63), ჰატჩინსონი (ჩალობა 63), კეჰილი (ტერი 63), ლუისი (ივანოვიჩი 45), ფერეირა (კოული 63), მიკელი (მაკეხრანი 63), ლემპარდი (ესიენი 45), კაკუტა (რამირესი 45), აზარი (მალუდა 63), დე ბრუინი (მარინი 45), ლუკაკუ (პიაზონი 63)

**პარი სენ-ჟერმენი:** დუშე (არეოლა 63), ჟალე (ბიშევაცი 45), ალექსი (ლუგანო 45), სახო (კამარა 45), არმანი (ტიენე 45), ბოდმერი (მაქსველი 45), შანტომი (ადრიენი 63), პასტორე (ვერატი 45), ნენე (45), გამეირო (ოარო 45), ლავესი (ლუინდულა 45)

**გოლები:** 0:1 ნენე (30), 1:1 პიაზონი (82)



გუნდები მოედანზე ერთმანეთისგან განსხვავებული შემადგენლობებით გამოვიდნენ. ფრანგების ძირითადში არც ერთი ფეხბურთელი არ იყო სარეზერვო შემადგენლობიდან. რაც შეეხებათ ინგლისელებს, ისინი შერეული გუნდით გამოვიდნენ. რეზერვისტთა გვერდით "ლურჯების" მეგავარსკვლავებიც იყვნენ. მატჩი პსჟ-ის შეტევებით დაიწყო, თუმცა მის შეტევებს "ჩელსის" ცენტრალური მცველები **გარი კეჰილი** და **დავიდ ლუისი** მშვიდად უმკლავდებოდნენ. აღსანიშნავი იყო, რომ **ლავესის ჰატჩინსონის** წინააღმდეგ თამაში გაუჭირდა. საიმედოდ თამაშობდა **პეტრ ჩეხიც**. ოსტატობის დემონსტრირება მას ერთხელ მოუხდა. 30-ე წუთზე **ხავიერ პასტორე** იოლად გაუმკლავდა ერთბაშად სამ მეტოქეს და კარში დაარტყა. ბურთი ძელს მოხვდა, თუმცა იქვე **ნენე** გაჩნდა, ვინც ლუისის მცდელობის მიუხედავად მაინც შეაგდო. პირველი ტაიმი ასევე დასრულდა.

**რობერტო დი მატეომ** მეორე ნახევარში უფრო გამოცდილი შემადგენლობა გამოიყვანა მინდორზე. ლონდონელები თავის სტილში ამოქმედნენ. პარიზელები იძულებულნი გახდნენ, ტოტალურ თავდაცვაზე გადასულიყვნენ. განსაკუთრებით აქტიურები იყვნენ **ედენ აზარის** შეცვლის შემდეგ მარცხენა ფლანგზე გადასროლილი **მარკო მარინი** და **ეშლი კოული.** მშვენიერი შანსი გაანიავა **ფლორან მალუდამ**, ვისაც 19 წლის ფილიპინელი მეკარე **ალფონს არეოლა** აღუდგა წინ. 82-ე წუთზე **რამირესისა** და **ლუკას პიაზონის** კომბინაციის შემდეგ წონასწორობა აღდგა. საფინალო სასტვენამდე "ჩელსის" კიდევ შეეძლო გატანა, მაგრამ...

ამბები



ვოიცეხ შჩესნი

## ბოულდი შედეგიანად ამუშავდა

"არსენალის" 22 წლის კარის დარაჯმა **ვოიცეხ შჩესნიმ** იმ სიახლეებზე ილაპარაკა, რაც გუნდის მზადებაში **სტივ ბოულდის** დანიშვნის შემდეგ დამკვიდრდა: "სტივი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს დაცვის ხაზის მუშაობას, რაც ჩვენს მზადებაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს. მე და ჩემი თანაგუნდელები ვაპირებთ, რომ წელს ბევრად ცოტა გოლი გავუშვათ, ვიდრე შარშან. წინა სეზონში ტრავმების მხრივ ძალიან არ გვიმართლებდა. იმედია, წელს მაინც ველირსებით უმრავლეს მატჩებში დაცვის ერთი და იმავე ოთხეულით თამაშს. თუკი ამ პრობლემას ავცდით, სათადარიგოთა სკამიც გაძლიერდება და რა თქმა უნდა უფრო სტაბილურად შევძლებთ თამაშს".

## შკრტელი არ იყიდება

"მანჩესტერ სიტი" ყველას ეპოტინება, ვინც ფეხბურთის თამაში კარგად იცის. ერთ-ერთი ასეთი "ლივერპულის" ცენტრალური მცველი **მარტინ შკრტელია.** 27 წლის სლოვაკი აცხადებს, რომ "ენფილდიდან" აბარგებას არ აპირებს, მაგრამ პრესას ეს ხმები ვერ აშოშმინებს. მოვლენათა ამგვარი განვითარება კატეგორიულად გამორიცხა **ბრენდან როჯერსმაც:** *"მარტინს ჩვენთან ყველაფერი მოსწონს. ჩემი მხრივ მისი იმედი მაქვს, ასე რომ, გამორიცხეთ, რომ ის უბრძოლველად დავთმოთ. მის გარშემო მხოლოდ ჭორები ვრცელდება. არანაირი კონკრეტული წინადადება არ მიგვიღია".*

## ვიდიჩი დაბრუნდა

"სქაი სპორტსის" ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედის" 30 წლის კაპიტანმა **ნემანია ვიდიჩმა** გუშინ ძირითად გუნდთან ერთად ივარჯიშა და არანაირი დისკომფორტი არ უგრძნია. შეგახსენებთ, რომ სერბი 2011 წლის დეკემბრის შემდეგ ჯვარედინი იოგების განწყვეტის გამო იყო ჩამოშორებული ფეხბურთს. გამორიცხული არ არის, რომ მან პრემიერლიგის პირველ ტურამდეც კი მოახერხოს სათამაშო კონდიციების აღდგენა.

## ლიონს პარიზელები აინტერესებს

"ლიონის" პრეზიდენტის **ჟან-მიშელ ოლას** თქმით, ის პირადად დაუკავშირდა "პარი სენ-ჟერმენის" ხელმძღვანელობას და **მამადუ სახოსა** და **კლემან შანტომის** იჯარით დათმობა სთხოვა. დედაქალაქელთა პასუხი ჯერჯერობით უცნობია.

## მარსელი ველოდრომს მიღმა

მოგეხსენებათ, მარსელის "ველოდრომზე" სერიოზული სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიდის, რომელიც ლიგა 1-ის I ტურისთვის უნდა მოესწროს. ამის გამო უეფამ "მარსელს" ნება მისცა, რომ ევროპა ლიგის მატჩი ისტრის "პარმესენზე" ჩაატაროს. პროვანსელთა მეტოქე ჯერ არ გარკვეულა, მაგრამ ცნობილია, რომ მატჩები 2 და 9 აგვისტოს შედგება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ინტერვიუ ანტონიო კონტესთან

# იუვემ ევროპაში უნდა გაიბრძოლოს

## ანტონიო კონტემ, მილანი დასუსტდა

**სერია A-ს 2011-2012 წლების გათამაშება "იუვენტუსმა" ტრიუმფით დაასრულა და ამ წარმატების მთავარი შემოქმედი ანტონიო კონტე გახლავთ. ახალგაზრდა მწვრთნელმა ახალი გუნდის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი და შედეგი იმაზე უფრო სწრაფად მოიმკა, ვიდრე ეს ბევრს წარმოედგინა. "იუვეს" მესვეურები სატრანსფერო ბაზარზეც აქტიურობენ, რაც იმის მომასწავებელია, რომ "ბიანკონერი" მომდევნო სეზონში კიდევ უფრო ძლიერი იქნება. "კორიერე დელო სპორტში" "ვეკია სენიორას" მთავარი მწვრთნელის, ანტონიო კონტეს ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელსაც მცირედი შემოკლებით გთავაზობთ...**

**- რამდენად კმაყოფილი ხართ მოსამზადებელი ეტაპით?**

- ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან თითოეული ფეხბურთელი ბოლომდე იხარჯება და შესაძლებლობის ზღვარზე ვარჯიშობს. როდესაც ამას ვუყურებ, ოპტიმიზმი მიღრმავდება, რადგან წარმატების მთავარი საიდუმლო პროფესიონალიზმში და საქმისადმი სწორ მიდგომაშია. ჯერჯერობით, ფიზიკური კონდიციის გაუმჯობესებაზე ვაკეთებთ აქცენტს, აგვისტოდან კი ბურთსაც ჩავრთავთ საქმეში. თუმცა, უკვე ჩავატარეთ რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა და თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ნამდვილად არ დავრჩენილვარ.

**- სერია A-ს გასული გათამაშება დაუმარცხებლად ჩაამთავრეთ და ჩემპიონი გახდით; მოტივაციასთან დაკავშირებით პრობლემები ხომ არ გაქვთ?**

- ფეხბურთელებზე უკვე გითხარით, რომ თითოეულ ვარჯიშზე ბოლომდე იხარჯებიან და შესაბამისად, მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები მათ ნამდვილად არ შექმნიათ. იგივე შემიძლია ვთქვა თავზე, უდიდესი ენთუზიაზმი მამოძრავებს და ამ მხრივ, პრობლემებს არ ვუჩივი. ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს მოსაგები და ერთი სკუდეტოთი ვერ დავკმაყოფილდებით. ისიც კარგად ვიცით, რომ ჩვენ წინააღმდეგ თითოეული მეტოქე გაორმაგებული ენერგიით ითამაშებს და ეს დამატებითი მოტივაციაა ჩვენთვის.

**- თანაც, "იუვენტუსს" დიდი ხანია ევროარენაზე არ გაუბრწყინია...**

- ჩვენი სიტყვა ევროპული მასშტაბით გვაქვს სათქმელი და ამას მომდევნო სეზონშივე ვაპირებთ. ჩემპიონთა ლიგაზე კონტინენტის უძლიერესი გუნდები ასპარეზობენ და კარგად მესმის, რომ ეს იოლი არ იქნება, მაგრამ განწყობა მაინც ოპტიმისტური მაქვს. "იუვეს" შესწევს იმის ძალა, რომ ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე წარმატებით იასპარეზოს.

**- რამდენად კმაყოფილი ხართ კლუბის სატრანსფერო პოლიტიკით?**

- უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ მაქვს, რადგან კლუბის მესვეურები ყველანაირად ცდილობენ სასურველი ტრანსფერები გაჩარხონ. მაგალითად, კვადვო ასამოასა და ლუსიოს სახით ძალიან ძლიერი ფეხბურთელები დავიმატეთ. დარწმუნებული ვარ, რომ გუნდს მნიშვნელოვნად გააძლიერებენ. რაც შეეხება წინა ხაზს, ერთი ექსტრა-კლასის ფორვარდის გადაბირებაზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდით და ვნახოთ, ყველაფერი აგვისტოში გამოჩნდება.

**- ამბობენ, რომ თქვენი მთავარი სამიზნე რობინ ვან პერსია...**



ანტონიო კონტე

- ბრწყინვალე ფორვარდია, მაგრამ არა მგონია, რომ "იუვენტუსში" გადმოვიდეს. რამდენჯერმე განაცხადა, რომ იტალიაში თამაშის სურვილი არ აქვს და თუ ასეა, სადაც არის, წარმატებებს ვუსურვებ. ვან პერსის გადაბირების სურვილი ნამდვილად გვაქვს, მაგრამ ეს საკითხი დღის წესრიგში აღარ დგას.

**- გასულ სეზონში, ძირითადად 3-5-2 ტაქტიკას იყენებდით; შეცვლით საბაზო სქემას?**

- ამის არავითარი საფუძველი არ მაქვს და 3-5-2-ს ისევე ხშირად გამოვიყენებთ, როგორც გასულ სეზონში. აღნიშნული ტაქტიკა ძალიან მომწონს, რადგან შეტევით ფაზაში ხუთი ნახევარმცველი გყავს, დაცვის დროს კი ამდენივე მცველი. ვფიქრობ, ფეხბურთელებიც ისეთი ყაიდის გვყავს, რომ ამ სქემას იოლად ერგებიან. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ტაქტიკურ მონახაზს არ გამოვიყენებთ; მაგალითად, "ბარიში" მუშაობის დროს, მუდმივად 4-4-2-ს ვიყენებდი და ეს სქემა ძალიან კარგად მაქვს დაცდილი.

> „იბრაჰიმოვიჩის სრულფასოვანი შეცვლა მილანელებს ძალიან გაუჭირდებათ"

**- გასულ სეზონში, მთავარ კონკურენტად "მილანი" გყავდათ, რომელიც ამ ზაფხულს უამრავმა ფეხბურთელმა დატოვა. ეს თქვენს წისქვილზე ასხამს წყალს...**

- თქმა არ სჭირდება, რომ ზლატან იბრაჰიმოვიჩის სრულფასოვანი შეცვლა მილანელებს ძალიან გაუჭირდებათ; ეს ის მოთამაშეა, რომელსაც სეზონში 25-ზე მეტი გოლი გააქვს, რაც ფანტასტიკური მაჩვენებელია. გამომდინარე აქედან, უნდა დაგეთანხმოთ, რომ "მილანი" ამ მომენტისთვის დასუსტებულია. თუმცა, წინ აგვისტოა და დარწმუნებული ვარ, რომ ლომბარდიელები რამდენიმე უმაღლესი კლასის ფეხბურთელს დაიმატებენ. ნებისმიერ შემთხვევაში, "როსონერი" ისევ იბრძოლებს სკუდეტოსთვის, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

**- კიდევ ერთ მთავარ კონკურენტზე, "ინტერზე" რას იტყვით?**

- "ინტერში" ძალიან საინტერესო ცვლილებები ხდება და როგორ აისახება ეს გუნდზე, დრო გვიჩვენებს. დღეს, ძალიან რთულია რაიმე პროგნოზების გაკეთება და ვარაუდების გამოთქმა. "ინტერი" დიდი გუნდია, ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის და ალბათ, ასე იქნება მომდევნო სეზონშიც. დანარჩენს დრო გვიჩვენებს და ნუ გავუსწრებთ წინ მოვლენებს.

**- დიდი ვნებათაღელვაა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი ვარსკვლავი უნდა ეხატოს მაისურზე "იუვენტუსს", თქვენ რა პოზიცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით?**

- ჩემი პოზიცია ისეთივეა, როგორიც "იუვენტუსის" ნებისმიერი წევრის: მაისურზე სამი ვარსკვლავი უნდა იყოს, მაგრამ რადგან ამის საშუალებას არ გვაძლევენ, მაშინ არც ერთი არ დავიხატეთ. ვფიქრობ, ეს გონივრული გადაწყვეტილება იყო, რომელიც გულშემატკივრებმაც მოიწონეს. მოვა დრო და "იუვეს" ჩამორთმეულ სკუდეტოებს დაუბრუნებენ; ეს აუცილებლად მოხდება და არ აქვს მნიშვნელობა, იმ მომენტში სად ვიქნები მე.

უდინეზე

# ფრიული განახლდება

## პოცო: ტიფოზები ტრიბუნებზე უნდა დავაბრუნოთ

ახალი სტადიონის აშენება, ან ძველის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია არაერთ იტალიურ კლუბს სურს, თუმცა სიტყვიდან საქმეზე მხოლოდ "იუვენტუსი" გადავიდა. როგორც ჩანს, ტურინელთა გზას მალე "უდინეზე" დაადგება, რომელიც "სტადიო ფრიულიზე" ასპარეზობს და დიდი ხანია, გულშემატკივართა სიმცირეს უჩივის. კლუბის მესვეურებს იმედი აქვთ, რომ სტადიონის რეკონსტრუქციის შემდეგ, ამ მხრივ მდგომარეობა მკვეთრად გამოსწორდება. გუშინ უდინეში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც ჟურნალისტთა წინაშე "უდინეზეს" პრეზიდენტი **ჯამპაოლო პოცო** წარსდგა – მოვუსმინოთ მას:

*"სტატისტიკის თანახმად, "უდინეზეს" გულშემატკივართა 75% გუნდის თამაშებს ტელეეთერით ადევნებს თვალს, რასაც აქვს თავისი ობიექტური მიზეზი. "სტადიო ფრიული" მოძველებულია, არაკომფორტულია და იქ მისვლას ისევ თამაშის ტელევიზიით ცქერა ურჩევნიათ. გულშემატკივრები სტადიონზე უნდა დავაბრუნოთ და ამ მიმართილებით ძალიან დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ. ქალაქის მუნიციპალიტეტთან შეთანხმებას მივაღწიეთ და სტადიონის საფუძვლიან რეკონსტრუქციას ერთობლივი ძალებით ვაპირებთ. რეკონსტრუქციის შემდეგ, არენა 25 000 გულშემატკივარს დაიტევს, მთლიანად გადაიხურება და სარბენი ბილიკიც მოიხსნება, რათა ტრიბუნები მინდორთან მაქსიმალურად ახლოს იყოს. განახლებული "ფრიული" ულამაზესი, ძალიან კომფორტული იქნება და ამაში ყველა დამეთანხმება, ვინც მაკეტი ნახა. ბოლო წლებში, "უდინეზეს" თამაშებს საშუალოდ 14 000 ადამიანი ესწრებოდა, სტადიონის განახლების შემდეგ კი დარწმუნებული ვარ, რომ მუდმივად ანშლაგი გვექმება. ეს ყველაფერი კლუბის ბიუჯეტსაც მნიშვნელოვნად გაზრდის და დამიჯერეთ, თანხები ძირითადად ტრანსფერებს მოხმარდება. მოკლედ, წინ დიდი გეგმები გვაქვს".*

ბოლოს, დავძინოთ, რომ სტადიონის რეკონსტრუქცია 2013 წლის მარტში დაიწყება და სავარაუდოდ, 6 თვეში დასრულდება.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაური**

განახლებული "ფრიული" ასეთი იქნება






## უცხოური ფეხბურთი

მილანი

# ბარსელონამ ხმა აიმაღლა

## მილანს ბარსას ვალი აქვს

2011 წლის ზაფხულში, "მილანმა" "ბარსელონადან" **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** გამოისყიდა, თუმცა თანხა მთლიანად არ გადაუხდია და 8 მილიონი ევრო ვალად დაიდო. მას შემდეგ, ერთი წელი გავიდა და კატალონიელებმა დარჩენილი თანხის დაფარვა მოითხოვეს – ეს არც არის გასაკვირი, რადგან იბრა უკვე ფრანგული პსჟ-ს წევრია, "მილანმა" კი პარიზული კლუბისგან სოლიდური თანხა მიიღო. მოკლედ, "ბარსა" თავისას ითხოვს და ამის შესახებ განცხადება კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **ხავიერ ფაუსმა** გააკეთა:




ზლატან იბრაჰიმოვიჩი ბარსელონაში ასპარეზობისას

*"ევროპულ ფეხბურთში მალე ფინანსური ფეარ პლეის პრინციპი ამოქმედდება და თუ ასე გავაგრძელეთ, სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით. რამდენიმე კლუბს ჩვენი ვალი აქვს და სასურველია, რომ ეს თანხები ამ ზაფხულს დაიფაროს. მაგალითად, "მილანს" 8 მილიონი ევრო აქვს გადმოსარიცხი და ეს საკითხი აუცილებლად უნდა დავაყენოთ დღის წესრიგში. სხვა შემთხვევაში, სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით".*

კატალონიელთა შეშფოთება სრულიად გასაგებია, რადგან ამ დროისთვის "ბარსელონას" ვალების საერთო რაოდენობა 335 მილიონ ევროს შეადგენს; ბუნებრივია, კატალონიურ გრანდს დებიტორებიც ჰყავს და როგორც გავიგეთ, ერთ-ერთი მათგანი "მილანი" ყოფილა.

**ლაშა ნიკლაური**

ბარსელონა



კარლეს პუიოლი უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს

# კაპიტანი დაბრუნდა, კაპიტანი მოანწერს

## დღეს ბლაუგრანა გერმანიას ეწვევა

გუშინ „სიუტატ ესპორტივაზე" „ბარსელონას" ბანაკში შევსება მიიღეს, თანაც როგორი - ორთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ გუნდის კაპიტანმა **კარლეს პუიოლმა** ივარჯიშა. ეს პირველად მოხდა მას მერე, რაც პუიოლს მაისში მუხლის ოპერაცია დასჭირდა, რის გამოც „ფურია როხა" კარლესის გარეშე გახდა ევროპის ჩემპიონი. გუშინდელი დილის ვარჯიში ბოლოსწინა იყო გუნდის გერმანიაში გამგზავრების წინ. დღეს „ბარსელონა" პირველ წინასასეზონო სპარინგს გამართავს „ჰამბურგთან". კაპიტანმა ჯერჯერობით გუნდისგან განცალკევებით ივარჯიშა.

პუიოლმა მუხლის ტკივილი 5 მაისს „ესპანიოლთან" მატჩის შემდეგ იგრძნო, ტესტების შემდეგ მან გადაწყვიტა ოპერაციის გაკეთება. პუიოლი არჩევანის წინაშე იდგა, ის ან ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებდა, ან ახალ სეზონს ვერ შეხვდებოდა მწყობრში, კარლესმა ევრო გაწირა.

პუიოლი, რა თქმა უნდა, არ ითამაშებს გერმანიაში, კაპიტანს მორიგი ტესტირება ორშაბათს ელის, იმ დღეს, როცა „ბარსელონას" ევროპის ჩემპიონატზე მონაწილე ფეხბურთელები უბრუდებიან შვებულებიდან. სწორედ იმ ტესტების შემდეგ გაეცემა პასუხი, როდის ივარჯიშებს პუიოლი უკვე გუნდთან ერთად.

### 13 ფეხბურთელი სარეზერვოდან

მთავარ გუნდთან ერთად 13 ფეხბურთელი ვარჯიშობს სარეზერვო შემადგენლობიდან, მათ შორის **კიკო ფემენია**, რომელმაც კუნთის დაჭიმვის გამო რამდენიმე ვარჯიში გააცდინა. შვებულებიდან დაბრუნდა **ჟერარდ დეულოფეუ**, ვინც ესპანეთის 19-წლამდელთა ნაკრების წარმატების (გუნდი ევროპის ჩემპიონი გახდა) ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო.

### ახალი საფარი

კვირას „კამპ ნოუზე" ძველი საფარი აილეს და ახლის დაგება დაიწყეს. ახალი მინდორი მზად აგვისტოს პირველ რიცხვებში უნდა იყოს. სტადიონზე მოზიდეს 9 ტონა ქვიშა, ორი ტონა ნუტრიენტები და 8 ათასი კვადრატული მეტრი „ბორდოს ბალახი". 18 ან 19 აგვისტოს, როცა „ბარსა" პირველ მატჩს ითამაშებს ლა ლიგაში, საფარი იდეალურ მდგომარეობაში უნდა იყოს. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ძველი საფარის სისტემა ველარ შეძლებდა მინდვრის იდეალურ მდგომარეობაში დატოვებას, რისი მიზეზიც უმთავრესად კატალონიური ხვატია. კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება კი ერთსულოვანი იყო - „ბარსას" შემტევ სტილს იდეალური მინდორი სჭირდება.

### აბიდალი ითამაშებს

ყოველ შემთხვევაში ასეთ თამამ განცხადებას აკეთებს ესპანელი ექიმი **ხუან კარლოს გარსია-ვალდეკასასი.** მართალია, 32 წლის ფრანგმა ორგანო გადაინერგა, მაგრამ იმდენად მონდომებულია და ბეჯითად ასრულებს ექიმთა მითითებებს, რომ მას სპორტული კარიერის აღდგენის შანსი აქვს. *„ითამაშებს თუ არა აბიდალი? მოდი, ასე ვიტყვი - მას აქვს შანსი. არასპორტული აქტივობის აღდგენას ერთ წლამდე პერიოდი უნდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი პირველი სამი-ექვსი თვეა აღდგენითი პროცესის. მე აღფრთოვანებული ვარ აბიდალის პიროვნებით, მან ათას უბედურებას გაუძლო და მაინც მტკიცედ დგას, თან მას მეგობრები ამხნევებენ"*, - განაცხადა ექიმმა.

### ახალი კონტრაქტი?

„ბარსელონას" ხელმძღვანელობა მზადაა კარლეს პუიოლთან ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებები დაიწყოს. ცენტრალური მცველის ახლანდელ კონტრაქტს ვადა ამ სეზონის ბოლოს უსრულდება, მაგრამ „სპორტი" წერს, რომ კატალონიურ გრანდს პუიოლის შენარჩუნება ამის მერეც სურს. **ანდონი სუბისარეტამ** უკვე დაადასტურა, რომ 34 წლის მცველთან მოლაპარაკებების დაწყებას აპირებენ და ეს ივლისის ბოლომდე უნდა მოხდეს. კლუბი პუიოლს 1+1-წლიან ხელშეკრულებას შესთავაზებს. პუიოლს უკვე არაერთხელ უთქვამს, რომ **პაოლო მალდინის** დარად, 40 წლის ასაკამდე სურს ფეხბურთის თამაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კამპ ნოუ დღეს



## ქართული სპორტი

ლონდონი 2012

# საქართველოს პრეზიდენტმა ქართველი ოლიმპიელები მიიღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პრეზიდენტმა, ლონდონში გამგზავრების წინ, საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრები სასახლეში მიიღო და სპორტულ თამაშებში წარმატებები უსურვა.

*„წინ დიდი შეჯიბრება გაქვთ, ჩვენ კი თქვენი გამარჯვების დიდი ემოციები. ქართველი კაცი ის მებრძოლია, რომელიც გამარჯვების იმედს, ყველაზე გამოუვალ და რთულ სიტუაციაშიც კი არ კარგავს, გამარჯვების შანსი ყველა სახეობაში გვაქვს, მთავარია ვიბრძოლოთ. დღეს მსოფლიოში ბევრი აღიარებს, რომ მრავალი პრობლემის მიუხედავად, საქართველო პირველ პოზიციებს იკავებს. ასე უნდა ვიყოთ სპორტში"* - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა ოლიმპიელებთან მიმართვისას.

საქართველოს სახელით, ეროვნულ ნაკრებში, ქვეყნის ღირსებისთვის წელს წარმოშობით პოლონელი მძლეოსანი **მასიეჯ როსიევიჩი** იასპარეზებს.

წლევანდელ ოლიმპიადაზე სპორტის 12 სახეობაში 35 ქართველი სპორტსმენი იასპარეზებს. გუნდის მედროშე და კაპიტანი ტყვიის მსროლელი **ნინო სალუქვაძე** იქნება.

www.president.gov.ge



# ოლიმპიელებმა დაიფიცეს

გუშინ ოლიმპიურ კომიტეტში ოლიმპიური ფიცის დადების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა, რომელსაც ოლიმპიური გუნდი ლამის სრული შემადგენლობით ესწრებოდა. არ იყვნენ მხოლოდ მედროშე, ტყვიის სროლაში ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** და მშვილდოსნობაში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა** - ისინი უკვე ლონდონში არიან და მომავალი თამაშებისთვის ადგილზე ემზადებიან. სამაგიეროდ, საგანგებოდ ამ დღისთვის თბილისში ჩამოვიდნენ ჩოგბურთელები - **ანა ტატიშვილი** და **მაკა ჩახნაშვილი**, რომლებიც გადატვირთული გრაფიკის გამო იშვიათად სტუმრობენ სამშობლოს. აგრეთვე - პოლონელი მძლეოსანი **მასიეჟ როსიევიჩი**, რომელიც ლონდონში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავს.

შეკრებილებს მისასალმებელი სიტყვით სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** მიმართა, რომელმაც კიდევ ერთხელ შეახსენა სპორტსმენებს, ოლიმპიური თამაშები რაოდენ მნიშვნელოვანი მოვლენაა ნებისმიერი ქვეყნის ცხოვრებაში, რამდენად პრესტიჟულია მასში მონაწილეობა თავად სპორტსმენებისთვის და იქ წარმატება ქვეყნის როგორი ეფექტური რეკლამაა. ათლეტთა სახელით ოლიმპიური ფიცი ძიუდოისტმა **ვალერი ლიპარტელიანმა** წაიკითხა.

ოლიმპიური კომიტეტიდან სპორტსმენებმა პრეზიდენტის რეზიდენციაში გადაინაცვლეს, სადაც ისინი **მიხეილ სააკაშვილმა** მიიღო. ქვეყნის პრეზიდენტმა წარმატება უსურვა სპორტსმენებს და გზა დაულოცა ლონდონში მიმავალთ.

**ირაკლი თავაძე**

საუნივერსიტეტო სპორტი

# სტუ-ს ოქრო, თსუ-ს ბრინჯაო

ესპანურ კორდობაში, როგორც გაუწყეთ, ევროპის პირველ საუნივერსიტეტო თამაშებზე საქართველო ორი გუნდით იყო წარდგენილი. ხელბურთში ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა (**ირაკლი ჩიქოვანი, შოთა თევზაძე, აკაკი ტალახაძე, უჩა მაისურაძე, ვლადიმერ რუსია, გიგა ტორონჯაძე, რევაზ ჭანტურია, გიორგი გვაზავა, სერგო დათუკიშვილი, რატი მსხვილაძე, ილია გოგალაძე, ლევან ბერძენიშვილი, რობერტ ბეჟანიშვილი, უჩა გამზარდია,** მთავარი მწვრთნელი **ირაკლი კეკელიძე,** მწვრთნელი **ბექარ ორჯონიკიძე**) ფინალში ხორვატიის „ოსიეკს" 37:24 სძლია და ჩემპიონობა მოიპოვა.

ფუტსალში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელები იცავდნენ. ნახევარფინალი ჩვენებმა ციმბირის უნივერსიტეტის გუნდთან დათმეს, მე-3 ადგილისთვის პაექრობაში კი კორდობის უნივერსიტეტელები 7:5 დაამარცხეს და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. ფინალში ციმბირელებმა პორტუგალიელებს 3:1 აჯობეს.

**ვაჟა დანელია**

### მილოცვა

**საქართველოს ხელბურთის ფედერაციას და სტუდენტ ხელბურთელთა ნაკრებს ვულოცავ ევროპის უნივერსიადაზე ბრწყინვალე გამარჯვებას.**

იმედო ფხაკაძე
ვეტერანი ხელბურთელი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

პარალიმპიზმი



# პირველი ფესტივალი ცხრა სახეობით

გუშინ კუს ტბის სპორტულ კომპლექსში საქართველოს ეროვნული პარალიმპური კომიტეტის ორგანიზებითა და სპორტის სამინისტროს პატრონატით პირველი პარალიმპური ფესტივალი ჩატარდა, რომლის პროგრამითაც შეჯიბრებები გაიმართა მინი-ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, მკლავჭიდში, ძალოსნობაში (წოლჭიმი), მშვილდოსნობაში, ტყვიის სროლაში, ნარდში, შაშსა და ჭადრაკში. ფესტივალში საქართველოს ყველა კუთხის 300-მდე პარალიმპელი მონაწილეობდა, მათ შორის - ლონდონის პარალიმპური თამაშების ლიცენზიატი **შოთა ომარაშვილი** (ძალოსნობა).

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ვლადიმერ ვარძელაშვილმა** გამარჯვებულებს მედლები და თასები გადასცა. დაჯილდოების შემდეგ გაიმართა კონცერტი. **ნინი ბადურაშვილმა** თავისივე დაწერილი პარალიმპური ჰიმნი შეასრულა.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# თურქებმა ქართველებსაც უხმეს

სხვადასხვა ქალაქისა და უმაღლესი სასწავლებლის 14 საჭადრაკო კლუბი მონაწილეობდა წრიული სისტემით თურქეთის გუნდურ ჩემპიონატში, რომელსაც კონიამ უმასპინძლა. თითოეულ კოლექტივში სხვადასხვა ასაკისა და ცენზის 10-10 ქალ-ვაჟი გამოდიოდა. თურქებმა შემადგენლობები უძლიერესი უცხოელი დიდოსტატებით გააძლიერეს. საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდნენ აზერბაიჯანელი შაჰრიარ მამედიაროვი (2726), ინგლისელი ნაიჯელ შორტი (2728), უნგრელი იუდით პოლგარი (2709), ფიდეს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი, უზბეკი რუსტამ კასიმჟანოვი (2690), რუსები - ვლადიმირ მალახოვი (2712) და ერნესტო ინარკიევი (2707), ქალებში ევროპის ჩემპიონები - ეკატერინა ატალიკი (თურქეთი, 2431), ვალენტინა გუნინ (რუსეთი, 2530), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 25089), ასევე, გერმანელი ელიზაბეტ პეტცი (2491), უკრაინელი ანა უშენინა (2454) და სხვები. თურქულმა კლუბებმა ქართველებსაც უხმეს. კერძოდ, **მიხეილ მჭედლიშვილი** (2656), **მერაბ გაგუნაშვილი** (2570), **ლუკა პაიჭაძე** (24809) და **ქეთი ნაწალაშვილი** (2286) „ტარსუს ზეკას“ ღირსებას იცავდნენ, საქართველოს ჩემპიონი **ბელა ხოტენაშვილი** (2500) სტამბოლის „პერა სფორის“ შემადგენლობაში გამოდიოდა, **ლევან ფანცულაია** 2581) - სტამბოლის „ისეკში“, **ნაზი პაიკიძე** (2384) - „მანიშაში“, **სოფიკო გურამიშვილი** (2408) - „დენიზლი პამუკალში“ ცდიდა ძალებს.

ჩემპიონატი შესანიშნავად განვლო სტამბოლის „ბეშიქთაშმა“, რომელმაც 13-დან 12 შეხვედრა მოიგო, ერთი ფრედ დაამთავრა და 25 ქულით (მოჭადრაკეთა საერთო მონაგარი 89 ქულა) ჩემპიონობა მოიპოვა, გამარჯვებულს 3 ქულით ჩამორჩა სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი (81). 18 ქულით (73,5) მესამე ადგილი „ანკარა გაზი უნივერსიტეტმა“ დაიკავა.

ქართველთა გუნდებიდან სხვებზე უკეთ ბელა ხოტენაშვილის „პერა სფორმა“ ითამაშა - 16 ქულით (72,5) მე-5 ადგილზე გავიდა. არადა, ბოლო ტურში „ქეიხან ბელედიესთან“ პაექრობისას ხოტენაშვილმა გუნინას აჯობა, მაგრამ თანაგუნდელებმა ჩვენებურს მხარი ვერ აუბეს და 4:6 წააგეს. რომ არა ეს მარცხი, ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეეძლოთ.

შვიდი ტურის შემდეგ მესამე ადგილზე იყო ქართველთა კვარტეტის „ტარსუს ზეკა“, მაგრამ ტურნირის მეორე ნახევარში ტემპს ვერ გაუძლო და საბოლოოდ 12 ქულით (66) მე-8 ადგილს დასჯერდა. ასპარეზობის დაწყებამდე ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევდნენ ლევან ფანცულაიას „ისეკს“ (სტამბოლი), რომლის შემადგენლობაშიც ქართველთან ერთად გამოდიოდნენ მაიკლ ადამსი, იუდით პოლგარი, რუსტამ კასიმჟანოვი, ეკატერინა ატალიკი, გუნდმა კი საბოლოოდ მხოლოდ 10 ქულას (61,5) მოუყარა თავი, რაც მე-11 ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი. ნაზი პაიკიძის „მანიშა“ (12 ქულით (62,5) მე-9 იყო, ხოლო სოფიკო გურამიშვილის „დენიზლი პამუკალმა“ 5 ქულით (53,5) ბოლოსწინა ადგილი დაიკავა.

საბოლოოდ ქართველთა მონაგარი ასეთია: ლევან ფანცულაია - 8,5 ქულა (10 პარტიიდან, რეიტინგისთვის 16 პუნქტიც დაიმსახურა, ნაზი პაიკიძე - 7 (9, +13), სოფიკო გურამიშვილი - 8 (11, +10), ლუკა პაიჭაძე - 5 (7, +9), ბელა ხოტენაშვილი - 9,5 (13, +8), მიხეილ მჭედლიშვილი - 7 (12, +2), მერაბ გაგუნაშვილი - 6 (12, 0), ქეთი ნაწალაშვილი - 3,5 (8, -7).

**ვაჟა დანელია**

# შანავა ქულით ჩამორჩა

პარდუბიცეს (ჩეხეთი) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალის მე-3 ტური ქართველი დიდოსტატ **კონსტანტინე შანავასთვის** უიღბლო აღმოჩნდა - ზედიზედ ორი მოგების შემდეგ იგი პოლონელ საერთაშორისო ოსტატ კასპერ პიორუნს დანებდა. სამაგიეროდ, წარმატებით ითამაშა თბილისელმა დიდოსტატმა **დავით არუთინიანმა**, რომელმაც რუს გრიგორი ოპარინს აჯობა და 3 ქულას მოუყარა თავი, ისევე, როგორც ლივიუ-დიტერ ნისიპიანუმ (რუმინეთი), ალექსეი გავრილოვმა (რუსეთი), თამირ ნაბათიმ (ისრაელი), იშტვან შიპოშმა (უნგრეთი), კირილ სტუპაკმა (ბელარუსი), ვოითეჰ როიჩეკმა (ჩეხეთი), მიხაილ ზასლავსკიმ (ისრაელი), სრინათ ნარაიანანმა და ჰარიკა დრონავალიმ (ორივე - ინდოეთი).

მე-4 ტურში არუთინიანი მიხაილ ზასლავსკის შეხვდება, შანავა კი ირი ნუნს (ჩეხეთი) დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

ჭიდაობა, ჩვენი, ქართული...

# კოკაურმა ხვედურეთშიც იფალავნა

ქარელის რაიონის სოფელ ზემო ხვედურეთს ქართული ჭიდაობის სიყვარულის დიდი ტრადიცია აქვს და აქაურ ნახერხმოყრილ არენაზე ხშირად ტარდება შეჯიბრებები. აქ გაიზარდა საქართველოს ფალავანი და სამბოში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ჯემალ მჭედლიშვილი.** სწორედ მისი სახელობისა იყო ტურნირი, რომელიც შიდა ქართლის რაიონების მოჭიდავეთა მონაწილეობით ზემო ხვედურეთში გასულ შაბათს გაიმართა 12 წონით კატეგორიაში.

ორგანიზატორებმა (მთავარი მსაჯი ქარელის სასპორტო სკოლის დირექტორი **ჟორა მარჯანიძე)** გამარჯვებულებს პრიზები და ფულადი ჯილდო გადასცეს. მოჭიდავეების მატერიალურ წახალისებაში თავისი წვლილი შეიტანა თავად ჯემალ მჭედლიშვილმა. აღსანიშნავია, რომ აბსოლიტურ წონაში, ისევე როგორც ამას წინათ, ბებნისში, კვლავ ვარიანელმა **უშანგი კოკაურმა** იმარჯვა. ფინალში მან რუისელი **პაატა ღვინიაშვილი** დაამარცხა - 2:0.

წარმოგიდგენთ სხვა გამარჯვებულებს: **გიორგი ლურსმანაშვილი** (26კგ, აბისი), **ბექა გაზაშვილი** (30, ქვენაფლავი), **იოსებ ყეენაშვილი** (35, ზემო ხვედურეთი), **შალვა გაზაშვილი** (40, ქვენაფლავი), **ვაჟა მარჯანიძე** (45), **გურამ ზაქუტაშვილი** (50, ორივე - ქარელი), **თემურ მულაძე** (55, ხაშური), **ლაშა გიუნაშვილი** (60, ძლევისჯვარი), **ზაზა სიმონიშვილი** (66, ბებნისი), **გიორგი პაპუნაშვილი** (73, გორი), **პაატა ღვინიაშვილი** (81, რუისი).

*„ზემო ხვედურეთში საჭიდაოდ ჩვენი რეგიონის ცნობილი ფალავნები ჩამოვიდნენ და ამიტომ შეჯიბრებაც საინტერესო გამოდგა. მაყურებელიც მრავლად შეიკრიბა. ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების ინიციატივით წლეულს ეს მეორე ტურნირი იყო ქართულ ჭიდაობაში. შემდეგ ჯერზე, 5 აგვისტოს რუისში ვიწვევთ მოჭიდავეებს, აგვისტოს ბოლოს კი ფცაში ტრადიციულად უფრო მასშტაბური და წარმომადგენლობითი ტურნირი ჩატარდება“* - გვითხრა შეჯიბრების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა **კახა ხარატიშვილმა.**

**ვასილ ბალახაძე**



უშანგი კოკაური

ძიუდო

# ლერი ნაკანის მემორიალი ოდესაში

**გორის და თბილისის ძიუდოს კლუბების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული უმცროსი ასაკის (1998-99 დაბ.) ჭაბუკ ძიუდოისტთა გუნდი გამარჯვებული დაბრუნდა უკრაინიდან, სადაც ოდესასა და ოჩაკოვოში გამართულ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობდა მწვრთნელ გია თენაძის ხელმძღვანელობით.**

ოდესის ტურნირი 80-იანი წლების ცნობილი ქართველი ფალავანის ლერი ნაკანის ხსოვნას ეძღვნება და მისი ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ პირადი მწვრთნელის, **ივან ჩერტოვის** ინიციატივით მეხუთე წელიწადია ტარდება. ნაკანმა კარიერის დიდი ნაწილი სწორედ უკრაინის ამ ქალაქში გაატარა. იყო ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი, თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, სსრკ ჩემპიონი. შეჯიბრებაზე უკრაინელ და ქართველ ყმაწვილ სპორტსმენთა გარდა, რუსეთიდან და მოლდოვადანაც იყვნენ მონაწილენი. ქართველებმა ორივე ტურნირის გუნდური პირველობა მოიგეს. შემადგენლობა კი ასეთი იყო: **ალეკო მამიაშვილი, რობინზონ ბეგლარიშვილი, ვანო მახათაძე, ჯაბა ქარელიშვილი, რეზო თაბუკაშვილი** (ყველა - გორი), **დავით მარგიანი, გოგა გოგაშვილი, ნუგზარ ტაბლიაშვილი, დავით შერაზადიშვილი** (ყველა - თბილისი).

*„გუნდები საუკეთესო რჩეული სპორტსმენებით მონაწილეობდნენ და სასიამოვნოა, რომ ჩვენი ძიუდოისტები მათზე ერთი თავით მაღლა იდგნენ. ამ ბიჭებს, რომლებიც ახლა უკრაინაში გვყავდა, 2015 წელს თბილისის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში მოუწევთ მონაწილეობა. უკრაინის ტატამზე მათმა შემართებამ განგვიმტკიცა იმედი, რომ 2015 წლის ფესტივალზე ძიუდოში წარმატებას უთუოდ მივაღწევთ“* - თქვა გია თენაძემ.

**ვასილ ბალახაძე**



„1979 წელი. საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრები. მარცხნიდან: წინა რიგში - დავით თევდორაძე, რობერტ ლომთაძე, ნიკოლოზ მარტაშვილი, დავით სოსიაშვილი, დავით მარტყოფლიშვილი; დგანან - ბიძინა მაზიაშვილი, ალექსანდრე ხაჩიძე, აკაკი კიბორძალიძე, ლერი ნაკანი, ბორის ფირცხელანი, ანზორ მარტყოფლიშვილი.“

ტრაგედიის გამოძახილი



საციგაო ტრასა სიგულდაში

# ახსოვთ, არც ივიწყებენ

### რას ჰყვება ცნობილი ლატვიელი სპეციალისტი ნოდარ ქუმარიტაშვილზე?

**ლატვიის ქალაქი სიგულდა დიდი ხანია ცნობილია მთელ მსოფლიოში, როგორც სპორტის ზამთრის სახეობების ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი და თანამედროვე ცენტრი. აქ არის ბობსლეის მოდერნიზებული ტრასა, სადაც ზამთარში სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენები, მათ შორის რუსეთის ნაკრები ვარჯიშობს.**

სიგულდაში ადგილობრივებმა გვითხრეს, რომ კარგად ახსოვთ კანადაში ტრაგიკულად დაღუპული სახელოვანი ქართველი სპორტსმენი **ნოდარ ქუმარიტაშვილი.** მას იცნობდა მთელი სიგულდა. ხშირად ჩადიოდა სავარჯიშოდ. ამიტომ, ჩვენ მივაკითხეთ ბობსლეის აქაურ ტრასას. ბაზაზე დაგვხვდა ამ სპორტული ცენტრის ტექნიკური სამსახურის წამყვანი და სტაჟიანი სპეციალისტი, **მარექს მეზენცევსი.** ის 15 წელიწადია მუშაობს ამ ტრასაზე. მან გვითხრა - *„ნოდარის კარგად ვიცნობდი, ის ძალიან ნიჭიერი სპორტსმენი და ძალიან თბილი ადამიანი იყო. ხშირად ჩამოდიოდა აქ სავარჯიშოდ. მისი დაღუპვა კანადაში დიდი ტრაგედია იყო ჩემთვის და მთლიანად სიგულდისთვისაც. მას კარგად იცნობდნენ ქალაქში“.*

ბობსლეის ტრასის დირექტორმა, მსოფლიოში ცნობილმა სპეციალისტმა **დაინის დუკურსმა** კი თათბირი შეწყვიტა, საქართველოდან ჩასულ სტუმარზე რომ შეიტყო. დაინის დუკურსი, როგორც ლატვიის დელეგაციის წევრი იმყოფებოდა კანადაში 2010 წლის ოლიმპიადაზე. ის იხსენებს: *„მე კარგად ვიცნობდი ნოდარს და უფრო დიდი ხანია ვიცნობ მის ბიძას, ცნობილ სპორტსმენს და მწვრთნელს ფელიქს ქუმარიტაშვილს. ვანკუვერში იმ ტრაგედიამდე ერთი დღით ადრე მე ვნახე ის ტრასა და ვუთხარი ჩემს შვილებს ლატვიის ნაკრების წევრებს, მარტინს და თომას, არ მომწონს ერთ-ერთი მონაკვეთი და იყავით ფრთხილად. ეს ნოდარმაც იცოდა, მაგრამ არავინ ფიქრობდა ასეთი ტრაგედია თუ დატრიალდებოდა. ნოდარის სიკვდილის შემდეგ მე და ჩემი შვილები შოკში დიდხანს ვიყავით, ნოდარი ჩემთვის შვილივით იყო“.* დავძენთ, რომ მარტინს დუკურსი ვანკუვერის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი გახდა სკელეტონში.

*„ნოდარის გარდაცვალება ლატვიაში უფრო მძიმედ გადაიტანეს, ვიდრე სხვაგან, რადგან ის აქ ძალიან უყვარდათ. ჩვენ მას არასოდეს დავივიწყებთ“,* - დასძინა ცნობილმა ლატვიელმა სპეციალისტმა.



დაინის დუკურსი

**თენგიზ პაქკორია,**
**ქ. სიგულდა, ლატვია**
ხათუნა გაბიტაშვილის ფოტოები

## ჩოგბურთი




# ტატიშვილი თერთმეტი საფეხურით ჩამოქვეითდა

გასულ კვირას ზოგიერთმა ქართველმა ჩოგბურთელმა ქალმა საერთაშორისო ტურნირებში მაინცდამაინც ხეირიანად ვერ ითამაშა, ზოგს კი გარკვეული წარმატებებიც ჰქონდა, რამაც ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) განახლებულ რეიტინგში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიატი **ანა ტატიშვილი** 11 საფეხურით ჩამოქვეითდა და დღეს 84-ე (იყო 73-ე) პოზიციაზეა, რასაც, ცხადია, კატასტროფა არ ეთქმის, მაგრამ მოახლოებული თამაშების წინ მთლად სასურველი მაინც ვერ არის, რადგან „ლონდონი 2012"-ის წილისყრისას (26 ივლისს) განთესვა 23 ივლისის კლასიფიკაციით მოხდება.

როგორც აღვნიშნეთ, ანა 792 ქულით 84-ეა. პოზიციები დათმო მეორე ლიცენზიატმა **მარგალიტა ჩახნაშვილმაც** - 240 ქულით 225-ედან 234-ე ადგილზე გადაინაცვლა. დანარჩენ ქართველ ჩოგბურთელთა სარეიტინგო მაჩვენებლები ასეთია: 349 (353). **სოფიო შაფათავა** - 121 ქულა; 384 (388). **სოფო ქვაცაბაია** - 101; 537 (500). **ეკატერინე გორგოძე** - 52; 622 (458). **თათია მიქაძე** - 39; 672 (692). **ნათია გეგია** - 32; 679 (684). **ოქსანა კალაშნიკოვა** - 31; 971 (975). **ანი გოგვაძე** - 11 ქულა.

ეს კვირაც საინტერესო შეჯიბრებებით იქნება დატვირთული. ბაქოს 220-000-იან ტურნირში (დირექტორი - საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლეილა მესხი**) ვერ ითამაშებს ანა ტატიშვილი, რადგან იგი ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება. აზერბაიჯანის დედაქალაქში „ველური ბარათითაა" დაშვებული ეკატერინე გორგოძე.

ყაზახეთის დედაქალაქი ასტანა 100.00-იან ტურნირს მასპინძლობს. იქ საკვალიფიკაციოდან აილო სტარტი სოფიო შაფათავამ, რომელიც მე-6 ნომრად იყო განთესილი. პირველ წრეში რუს საბინა კურბანოვას სძლია - 6:2, 6:2, შემდეგ იაპონელი მაკოტო ნინომია ჩამოიშორა გზიდან - 6:2, 6:0, ფინალში კი მე-3 ნომრად განთესილ ნადია კიჩენოკის დასამარცხებლად სამი სეტი დასჭირდა - 5:7, 6:1, 6:4. ძირითად ბადეში იგი მე-5 ნომრად განთესილ კურუმი ნარას (იაპონია) დაუპირისპირდება.

პირდაპირ ძირითად ბადეში დაუშვეს თბილისელი ოქსანა კალაშნიკოვა. იგი I წრეში თურქ კაგლა ბუიუკაკჩაის გაუწევს მეტოქეობას. წყვილთა შეჯიბრებაში ოქსანა რუს მარტა სიროტკინასთან ერთად ჩაება და პირველ წრეში ეკატერინა კლიუევას და ანასტასია ეპიშინას (ორივე - ყაზახეთი) დუეტს აჯობა - 6:2, 6:1. ოქსანასა და მარტას მეოთხედფინალშიც ანა დანილინას და ზალინა ხაირუტდინოვას ყაზახური წყვილი ელოდება.

იზმირის (თურქეთი) 10.000-იანი ტურნირის კვალიფიკაციაში ჩაება თამარ ჭალაგანიძე, რომელმაც პირველ წრეში მასპინძელი ისილ ილერი დაამარცხა - 6:1. 6:2, მეორეშიც თურქ სენა ლარა ნურალის სძლია - 6:0, 6:1 და ძირითად ბადეში მოხვდა, სადაც ბელგიელ კატერინა ჩანტრაისთან გაარკვევს ურთიერთობას, ნათია გეგია კი მე-8 ნომრად განთესილ იტალიელ ლინდა მაირს შეხვდება.

ვაჟა დანელია

## კალათბურთი

● ინტერვიუ კახა შენგელიასთან

# თორნიკეს 54-ე ნომრად არჩევა შეცდომა იყო

**თორნიკე შენგელია** „ბრუკლინ ნეთსში" ჩაირიცხა. იგი მშვიდად მოემზადება ახალი სეზონისთვის, თუმცა ორწლიანი კონტრაქტის გაფორმებამდე იყო უამრავი ვარაუდი, ემოცია და საფიქრალი. იყო წინასწარმეტყველებაც: 2007 წლის ზაფხულში **ჯამლეტ ხუხაშვილმა** რადიო „ჯაკოს" სტუდიაში **კახა შენგელიას** უთხრა, ხუთი წლის შემდეგ შენი ვაჟის NBA-ში გადასვლით გავიხარებთო. 20 წლის ახალგაზრდა 2012 წლის დრაფტზე „ფილადელფიამ" აიყვანა და „ბრუკლინს" დაუთმო. თორნიკეს ამერიკაში ახლდა მამამისი, ამჟამად „სამედიცინოს" თავკაცი კახა შენგელია, რომელსაც ოკეანისგაღმური ამბების გახსენება ვთხოვეთ.

**- თორნიკე ამჟამად ამერიკაშია?**

- იგი ბრუკლინშია, გუნდის დარბაზში ვარჯიშობს და სანაკრებოდ ემზადება. ეროვნულ გუნდს მალე შეუერთდება და მასთან ერთად ჩამოვა თბილისში საერთაშორისო ტურნირის ჩასატარებლად.

**- „ბრუკლინი" უკვე შეუდგა ახალი სეზონისთვის მზადებას?**

- თორნიკე ინდივიდუალურად ემზადება, თუმცა იქაური მწვრთნელების მეთვალყურეობის ქვეშაა. კარგია, გუნდთან კონტრაქტი აქამდე რომ გაფორმდა, საფიქრალი აღარ აქვს და მთლიანად ნაკრებზეა კონცენტრირებული. „ბრუკლინ ნეთსს" ეროვნული გუნდის თამაშების დასრულების შემდეგ შეუერთდება. მართალია, NBA-ში ფეხის მოკიდება იოლი არ იქნება, მაგრამ ახლა ყველაფერი თორნიკესა და მის შრომისმოყვარეობაზეა დამოკიდებული.

**- 28 ივნისის დრაფტს როგორ გაიხსენებთ?**

- ბევრი ვინერვიულეთ. „ნიუ ორლეანის" ხელმძღვანელობას ნათქვამი ჰქონდა - შენგელიას ავიყვანთო, მაგრამ ორლეანელებმა სხვა ამჯობინეს. ამის გამო კიდევ უფრო დავიძაბეთ, თუმცა 54-ე ნომრად „ფილადელფიამ" რომ აირჩია, ძალიან გაგვეხარდა. სწორედ მაშინ მიიღო თორნიკეს აგენტმა მესიჯი „დალასის" წარმომადგენლებისგან, „ფილადელფიამ" მცირედით დაგვასწრო, შენგელია ჩვენ გვინდოდაო. რამდენიმე წუთში სიტუაცია კიდევ ერთხელ შეიცვალა - თორნიკე „ბრუკლინ ნეთსმა" გამოისყიდა, რისთვისაც სოლიდური თანხა გადაიხადა.

**- „ნიუ ორლეანმა" რატომ არ აიყვანა, ხომ არ უთქვამთ?**







- ეს ჩემთვის დღესაც უცნობია. მთავარია, რომ თორნიკე აირჩიეს და მოხვდა იქ, სადაც სურდა.

**- „ბრუკლინის" მწვრთნელმა ეივერი ჯონსონმა საინტერესო რამ თქვა - შენგელიას დრაფტამდე არ ვიცნობდიო...**

- მისი თამაში „ბრუკლინის" წარმომადგენლებს ტრევიზოს საზაფხულო ლიგაზე ექნებოდათ ნანახი. დრაფტის შემდეგ კი ყველა დარწმუნდა, რომ თორნიკე არჩევას იმსახურებდა. ერთმა ამერიკულმა გაზეთმა ისიც დაწერა, მისი 54-ე ნომრად აყვანა შეცდომა იყო, უფრო ადრე უნდა აერჩიათ, ახალწვეულთა საუკეთესო ათეულში შეყვანას იმსახურებსო.

**- ამას ორლანდოს საზაფხულო კემპზე ნაჩვენებ შედეგებზე დაყრდნობით ამბობენ. თორნიკე ლიგაზე მართლაც გამორჩეული იყო.**

- როგორც სპეციალისტმა, მინდა ვთქვა, რომ ტრევიზოსა და ორლანდოს კემპებზე თორნიკე თანდათან უმატებდა. მან პირველი თამაში ვერც ევროპაში ჩაატარა სათანადოდ, ვერც ამერიკაში, თუმცა მალევე აუღო ალღო სათამაშო სტილს, სიტუაციებს და ორივე კემპზე სპეციალისტების მოწონება დაიმსახურა. საზაფხულო ლიგებზე ყველა ინივიდუალურად თამაშობს, პასს არავისგან უნდა ელოდე, თუმცა ამის ფონზე ნამდვილად კარგად გამოიყურებოდა, ცდილობდა მხოლოდ საკუთარ თავზე კი არა, გუნდზეც ეფიქრა. ამას მწვრთნელები თავის წიგნაკებში ინიშნავდნენ და ალბათ, ამიტომაც გაუფორმეს კონტრაქტი.

**- აკლიმატიზაცია ხომ არ გასჭირვებია?**

- ამერიკაში პირველად 1987 წელს ჩავედი და სამი დღე თავს კარგად ვერ ვგრძნობდი. ეს ჩვეულებრივი ამბავია. თორნიკე ადრე გაემგზავრა და ზაზა ფაჩულიასთან ერთად „ატლანტას" დარბაზში ვარჯიშობდა. ცხადია, ღირებულ რჩევა-დარიგებებსაც იღებდა. ასე რომ, კემპის დაწყებამდე მას აკლიმატიზაცია გავლილი ჰქონდა. აქვე მინდა ხაზი გავუსვა ზაზას ფაქტორს. იგი მუდმივად ჩვენს გვერდში იყო და ყველამ იცოდა, რომ თორნიკე ფაჩულიას კაცი იყო. ზაზას ამერიკაში როგორ პატივსაც სცემენ, თავად მოგეხსენებათ. მას მადლობა წამოსვლამდეც გადავუხადე და გუშინაც... ფაჩულიას გარდა ჩვენს გვერდით იყვნენ და გვგულშემატკივრობდნენ ამერიკაში მეგობრები: შიო ხეცურიანი, ნიკა ვეფხვაძე, შოთა მაჭარაძე, კახა ლომაია...

**- „სამედიცინოზეც" ვთქვათ. როგორი გუნდი იქნება მომავალ სეზონში?**

- ახალგაზრდული შემადგენლობა გვეყოლება. „სამედიცინო" რამდენიმე წამყვანმა კალათბურთელმა დატოვა, კოკა ტომარაძემ, მიხეილ ჭოჭუამ... დავიმატეთ გიორგი ფერიაშვილი, გიორგი რევაზაშვილი. გვსურს გიგა კვეტენაძის დატოვება, ველით მის პასუხს. დარჩა ირაკლი გაბისონია. მათ გვერდით კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა დავიმატეთ.

**- „სამედიცინო" საბოლოოდ როდის დაკომპლექტდება?**

- დასაწყისისთვის შემადგენლობაში 12-13 კალათბურთელი გვეყოლება. ამ მოთამაშეებთან კონტრაქტები მალე გაფორმდება და თქვენც შეიტყობთ.

ვაჟა სიმონიშვილი

● საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები

# ექსიუგებს ვერც ამჯერად გავცდით

| 23 ივლისი | |
|---|---|
| საქართველო-ჩერნოგორია | 48:73 |

15:15, 14:21, 4:19, 15:18

**საქართველო:** ბობილევი (25 წთ, 10ქ, 5მ, 2პ), ისიანი (19 წთ, 2ქ, 5მ), გოგალაძე (21 წთ, 2ქ), გუგეშაშვილი (21 წთ, 5ქ, 4მ, 3პ), ცინცაძე (6 წთ, 2ჩ), რევაზაშვილი (14 წთ, 4ქ, 4მ), ზაქრაძე (21 წთ, 2ქ, 3პ), პეტრიაშვილი (12 წთ, 1ქ, 3ჩ), გოგობერიშვილი (13 წთ, 6ქ), ლომიძე (17 წთ, 5ქ), მაჭავარიანი (22 წთ, 11ქ), მასხულია (8 წთ).

**ჩერნოგორია:** ანდელიჩი (3ქ), ნოვოსელი (16ქ), პავიჩევიჩი (4ქ), ვუკსანოვიჩი (2ქ), პოპოვიჩი (15ქ), კნეზევიჩი (10ქ, 9მ), რადუნოვიჩი (10ქ), ნიკოლიჩი (1ქ, 9მ), დოზიჩი (12ქ, 10მ).

| რუმინეთი-ესტონეთი | 59:53 |
|---|---|

C ჯგუფი

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩერნოგორია | 4 | 4 | 0 | 315/224 | 8 |
| 2. ბოსნია | 4 | 2 | 2 | 317/294 | 6 |
| 3. საქართველო | 4 | 2 | 2 | 214/258 | 6 |
| 4. რუმინეთი | 4 | 1 | 3 | 229/249 | 5 |
| 5. ესტონეთი | 4 | 1 | 3 | 233/283 | 5 |

IX-XVI ადგილები

H ჯგუფი

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 1 | 1 | 0 | 55/51 | 2 |
| 2. შვეიცარია | 1 | 1 | 0 | 66/55 | 2 |
| 3. რუმინეთი | 1 | 0 | 1 | 51/55 | 1 |
| 4. ჰოლანდია | 1 | 0 | 1 | 55/66 | 1 |

H ჯგუფის კალენდარი

| 25 ივლისი | |
|---|---|
| 17:00 | საქართველო-ჰოლანდია |
| 19:15 | რუმინეთი-შვეიცარია |
| **26 ივლისი** | |
| 19:15 | საქართველო-შვეიცარია |
| 21:30 | რუმინეთი-ჰოლანდია |

იმედიანად ველოდით ქართველი კადეტების გადამწყვეტ თამაშს ჩერნოგორიასთან. სწორედ გუშინ უნდა გარკვეულიყო, ჩვენი 16-წლამდელები B დივიზიონის საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას განაგრძობდნენ თუ მეცხრე-მეთექვსმეტე ადგილების განაწილებისთვის მოუწევდათ თამაში.

მეტოქე შეჯიბრების ფავორიტი იყო - ჩერნოგორია. საწყის 18 წუთში **გია კაზანჯიანის** შეგირდებმა დაგვანახეს, რომ ნებისმიერ გუნდთან თანაბრად შეუძლიათ თამაში. გუნდური გარჯისა და მწყობრი დაცვის ხარჯზე ქართველები ჩერნოგორიელებს რიგ ეპიზოდებში სჯობდნენ კიდეც. თუმცა მატჩის მე-18 წუთიდან ექსიუგოსლავიურმა სკოლამ გადაწონა და მესამე პერიოდის ბოლოსთვის მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. ჩერნოგორიამ ეს 10-წუთიანი მონაკვეთი 19:4 მოიგო.

ასე და ამგვარად, საქართველოს კადეტთა ნაკრებმა პირველი ჯგუფური ეტაპი 2-2 მოგება-წაგებით დაასრულა.



ზუსტად ასეთი შედეგი აღმოაჩნდა ბოსნიას, რომელთანაც ჩვენმა გუნდმა ურთიერთშეხვედრა დათმო. ამ გარემოებამ კი ჯგუფიდან გამსვლელ მეორე ადგილზე ბოსნიელები აანაცვლა. სწორედ ისინი და ჩერნოგორიელები აგრძელებენ ბრძოლას ელიტის საგზურებისთვის.

ბოლო ტურში ბევრისთვის მოულოდნელად აუტსაიდერმა რუმინეთმა ესტონეთს აჯობა და ჯგუფში მეოთხე ადგილი დაიკავა. ოთხი ჯგუფის მესამე-მეოთხეები ორად გაიყვნენ და მეცხრე-მეთექვსმეტე ადგილებისთვის იბრძოლებენ. საქართველოს H ჯგუფში რუმინეთთან პირველ ეტაპზე თამაშის შედეგი გადაჰყვა და შვეიცარიასთან ერთად მეორე ეტაპს 2 ქულით იწყებს.

ვაჟა სიმონიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ფოტოს ისტორია



ერიკა როუს თვიქნემიდან მიაცილებენ

# ერიკა – წიგნის მაღაზიიდან კარტოფილის ფერმამდე

**ოფლიოს რაგბიში არაერთი დიდი მატჩი გამართულა. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა ლონდონში, „თვიქნემზე“ 1982 წლის 2 იანვარს ჩატარდა. ინგლისის ნაკრებმა ავსტრალიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და საშინელ ...ადში 15:11 მოუგო.**

მოედანზე დძაბული უშელავათო ბრძოლა ქალბატონის, **ერიკა როუს** თამამმა საქციელმა გაანელა. პირველი ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა სამხრეთის ტრიბუნასთან ჩოჩქოლი ატყდა. 60 ათასი მაყურებელი კიდევ უფრო აჟრიამულდა, როცა ერიკა მოედანზე წელს ზემოთ შიშველი გამოვარდა. ცხადია, ის პოლიციამ დაიჭირა და მოედნიდან გაყვანისას მკერდს ქუდით უფარავდა.

ერიკა, რომელიც წიგნის მაღაზიის თანამშრომელი იყო, მეორე დღეს სამსახურიდან დაითხოვეს. მისი დირექტორი გაოგნებული დაჰყურებდა გაზეთების პირველ გვერდებს, რომლებსაც მისი თითქმის შიშველი ხელქვეითის ფოტოები ამშვენებდა. არადა წინადღეს, ავადმყოფობა მოიმიზეზა და ერთი დღით გათავისუფლება სთხოვა.

სიცრუის გამო ერიკა უმუშევარი დარჩა, თუმცა დროებით. მალე მაღაზიის მეპატრონემ მას დანაშაული აპატია და სამსახურში აღადგინა. მოგვიანებით ერიკა როუ რამდენიმე სატელევიზიო ფილმში გადაიღეს. მერე კი პორტუგალიაში გადაბარგდა საცხოვრებლად და ახლა ფერმაში კარტოფილი მოჰყავს.

რაც შეეხება თვით თამაშს, იმ დღეს საშინლად ციოდა და წვიმიანი, ნამდვილი ბრიტანული ამინდი იდგა. ინგლისელებმა უმძიმეს ბრძოლაში გაიმარჯვეს. „პომების“ კაპიტანი კი **ბილ ბომონტი** გახლდათ, რომელიც ახლა რაგბის საერთაშორისო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ქვიშის რაგბი

# ბიარიცში მეექვსე ადგილზე

**საქართველოს ქვიშის რაგბის ნაკრებმა საფრანგეთის ზღვისპირა ქალაქ ბიარიცში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა. ეს ტურნირი მეორედ ტარდება და პირველ გათამაშებაში ჩვენი მორაგბეები მეშვიდე ადგილს დასჯერდნენ.**

ამჯერად საქართველოს ნაკრებმა, რომელიც ძირითადად ახლგაზრდა მორაგბეებით იყო დაკომპლექტებული, ერთი საფეხურით წინ წაიწია და მეექვსე ადგილი დაიკავა.

ევროპის ჩემპიონის ტიტული კი მასპინძლებმა, ფრანგმა მორაგბეებმა მოიპოვეს, რომლებმაც ფინალში რუსეთის ნაკრებს სძლიეს. ბრინჯაოს მედლები იტალიელებს ერგოთ. ამ ქვეყნების ნაკრებების გარდა ევროპის საუკეთესო გუნდის ტიტულისთვის იბრძოდნენ: პორტუგალია, ინგლისი, რუმინეთი, ესპანეთი, ბელგია, უკრაინა.

**საბოლოო მდგომარეობა**

1. საფრანგეთი, 2. რუსეთი, 3. იტალია, 4. პორტუგალია, 5. ინგლისი, 6. საქართველო, 7. რუმინეთი, 8. ესპანეთი, 9. ბელგია, 10. უკრაინა.

**ქვიშის რაგბის ნაკრები**

გიორგი ფრუიძე (აია), მურაზ გიორგაძე (პატარძეული), რევაზ ბროძელი (არმაზი), გიორგი ნათელაშვილი, ვაჟა ხუციშვილი (ორივე-ხარები), გიორგი აფციაური (არმია), დევი დევსურაშვილი (ხულიგანა), ილია მელაძე (აკადემია).

**ბესიკ ჯანგავაძე**

რაგბი ჯარში

# ალგეთი – საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩემპიონი რაგბიში

რაგბიში საქართველოს შეიარაღებული ძალების მეოთხე გუნდური პირველობა დასრულდა. ტურნირი გაერთიანებული შტაბის ორგანიზებით ბათუმში გაიმართა.

ჩემპიონატში მონაწილეობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების ქვეითი და საარტილერიო ბრიგადები, ეროვნული სასწავლო ცენტრი „კრწანისი“ და ცალკეული სამთო-სადაზვერვო ბატალიონების გუნდი „ალგეთი“.

პირველ ადგილზე გავიდა „ალგეთი“. მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად I და III ქვეით ბრიგადებს შორის განაწილდა.

პრიზიორ გუნდებს სიგელები და მედლები გადაეცათ, ჩემპიონს - თასი.

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური**

ზე რაგბი

# სამხრეთი აფრიკა და ახალი ზელანდია დაწყვილდა

**ზე რაგბის გათამაშების ნახევარფინალის შესარჩევი მატჩები საინტერესო, უშელავათო ბრძოლაში წარიმართა. ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა ბრისბენის „რედსმა“ შინ წააგო დურბანის „ნატალ შარქსთან“ - 17:30. ხოლო ზე რაგბის გათამაშების ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზმა“ საკუთარ მოედანზე ბოლო წლების პრინციპულ მეტოქეს, პრეტორიის „ბლუ ბულზს“ მოუგო - 28:13.**



ზაკ გილფორდის ლელო

ქრაისთჩერჩელებმა შეხვედრა უაღრესად ყურადღებით, მაქსიმალურად მობილიზებულებმა წარმართეს. მასპინძლები „ბლუ ბულზისაგან“ განსხვავებით იშვიათად ცდებოდნენ. პრეტორიელებს ტაიმ-ნახევარი თითქმის არაფერი გამოსდიოდათ. ძლიერი მხარე, მძლავრი შერკინება „ჯვაროსნებმა“ სწრაფი და, რაც მთავარია, გამართული თამაშის წყალობით მთლიანად გაანეიტრალეს.

სამხრეთაფრიკულ გუნდს სტუმრად „კრუსეიდერზისთვის“ არასდროს მოუგია და მათთვის ეს უსიამოვნო ტრადიცია გაგრძელდა. მასპინძლებმა მატჩის დასაწყისშივე გამოიყენეს მეტოქის შეცდომები და **დენ კარტერმა** ორი საჯარიმო გაიტანა - 6:0.

წინდაწინ უნდა ითქვას, რომ „ჯვაროსნების“ მგეზავი მატჩში საუკეთესო იყო. მან გუნდს 23 ქულა მოუტანა (ექვსი საჯარიმო, ერთი გარდასახვა და ერთი არეკნი). 24-ე წუთზე ქრაისთჩერჩელთა გარემარბმა **ზაკ გილფორდმა** ლელო მიითვალა და მასპინძლები 13 ქულით დაწინაურდნენ - 13:0

პრეტორიელებმა მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს ერთი საჯარიმოს გატანა, თუმცა „ბლუ ბულზის“ მგეზავის **მორნი სტეინის** ზუსტ დარტყმას, კარტერმა ასევე ზუსტი საჯარიმოთი უპასუხა - 16:3. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

მეორე ნახევარში სტუმრებმა თამაშის ტემპს უმატეს, თუმცა უპირატესობის მოპოვება მხოლოდ მე-60 წუთის შემდეგ შეძლეს, მაშინ, როცა ანგარიშში სხვაობა 19 ქულა იყო. კარტერმა მონაგარს კიდევ ორი ზუსტი საჯარიმო შემატა - 22:3.

„ბლუ ბულზმა“ მალე მოლის დაყენება მოახერხა და **დიუვალ პოთხიტერმა** 62-ე წუთზე ლელო გაიტანა, სტეინმა ვერ გარდასახა - 8:22. სამაგიეროდ კარტერმა ისევ ორი საჯარიმო უწია მიზანს და მატჩის მიწურულს, სტუმართა შუამარბის, **ვინანდ ულიფიეს** ლელოს ალარაფრის შეცვლა შეეძლო - 13:28.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე, როგორც უკვე ვთქვით, დენ კარტერი იყო, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვეულებისამებრ შესანიშნავად ირჯებოდა „კრუსეიდერზის“ კაპიტანი **რიჩი მაქოა.** მან დაამტკიცა, რომ ისევ ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბეა პლანეტაზე.

„კრუსეიდერზი“ ნახევარფინალურ შეხვედრას სტუმრად, ჰემილთონში გამართავს ერთი კვირის თავზე. „ჯვაროსნების“ მეტოქე „ჩიფსი“ იქნება, რომელმაც რეგულარული გათამაშება მე-2 ადგილზე დაასრულა.

ნახევარფინალის შესარჩევ მეორე მატჩში გამარჯვება სტუმრებს დარჩათ. დურბანის „ნატალ შარქსმა“ ბრისბენის „რედსს“ ტიტული დაათმობინა. მგეზავის **ქუადე კუპერის** არყოფნა „წითლებს“ ძალიან დაეტყოთ. „ზვიგენებმა“ ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდეს და 23-ე წუთისთვის 17:0 იგებდნენ.

ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა მდგომარეობის ოდნავ გამოკეთება შეძლეს და ანგარიშში სხვაობა ათ ქულამდე შეამცირეს - 10:20. ასე დასრულდა პირელი ტაიმი.

„ნატალ შარქსმა“ მეორე ტაიმის დასაწყისშივე მონაგარს კიდევ ათი ქულა შესძინა - 30:10 შესანიშნავად გაისარჯა დურბანელების ფრანგი ლეგიონერი **ფრედერიკ მიშალაკი,** რომელმაც სამი გარდასახვა, ორი საჯარიმო და ერთი არეკნი გაიტანა (15 ქულა). მასპინძლებმა მატჩის გადასარჩენად ყველაფერი ილონეს, თუმცა მხოლოდ ანგარიშის 13 ქულამდე შემცირება შეძლეს - 17:30.

„ნატალ შარქსის“ მეტოქე ნახევარფინალში კეიპთაუნი „სტორმერზი“ იქნება. ერთი კვირისთავზე დურბანელები სტუმრად ითამაშებენ.



ბურთით სკოტ ჰიგინბოთამი

**რედსი-ნატალ შარქსი 17:30**

რედსი: 15. ლუკ მორანი, 14. დომ შიპერლი, 13. ანტონი ფაინგაა, 12. მაიკ ჰარისი, 11. დიგბი იოანი, 10. ბენ ლუკასი, 9. სკოტ ჰიგინბოთამი. 1. გრეგ ჰოლმსი, 2. საია ფაინგაა, 3. ჯეიმზ ჰისლიპი, 4. რობ საიმონსი, 5. ადამ ვოლესი, 6. ჯეკ შაცი, 7. ლიამ გილი, 8. სკოტ ჰიგინბოთამი.

16. ჯეიმზ ჰენსონი, 17. ბენ დეილი, 18. რადეკი სამო, 19. ჯერად ბატლერი, 20. ბო რობინსონი, 21. ნიკ ფრისბი, 22. ბენ ტაპუაი.

2ლ: გენია, სამო. 2გ,ს: ჰარისი

ნატალ შარქსი: 15. ლუის ლუდიკი, 14. ჯეი პი პიტერსენი, 13. პაულ ჯორდანი, 12. ტიმ ვაითჰიდი, 11. ლუაზი მვოვო, 10. ფედერიკ მიშალაკი, 9. კარლ მაკლოიდი. 1. ტენდაი მთავარირა, 2. ბისმარკ დუ პლესი, 3. იანი დუ პლესი, 4. ვილიამ ალბერტსი, 5. ენტონი ბრესლერი, 6. კიგან დენიელი, 7. მარსელ კუცია, 8. რაიან კანკოვსკი.

16. კრეიგ ბაურდენი, 17. ვინან ჰერბცი, 18. სტივენ საიქსი, 19. ჟაკ ბოთა, 20. კობუს რეინა, 21. მეიერ ბოსმანი, 22. ოდვა ნდუნგანე.

3ლ: პიტერსენი, იორდანი, მაკლოიდი. 3გ,2ს,ა: მიშალაკი.

**კრუსეიდერზი-ბლუ ბულზი 28:13**

კრუსეიდერზი: 15. იზრაელ დაგი, 14. ადამ ვაითლოქი, 13. რობი ფრუნი, 12. რაიან კროტი, 11. ზაკ გილფორდი, 10. დენ კარტერი, 9. ენდი ელისი. 1. ვუაით კრიკეტი, 2. ქორი ფლინი, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ლუკ რომანო, 5. სამუელ ვაითლოქი, 6. ჯორჯ ვაითლოქი, 7. მეთ ტოდი, 8. რიჩი მაქოა.

16. ქუენტინ მაკდონალდი, 17. ბენ ფრენქსი, 18. ტომ დონელი, 19. ლუკ ვაითლოქი, 20. ვილი ჰეინცი, 21. ტომ ტეილორი, 22. შონ მეთ;ენდი.

ლ: გილფორდი. 6ს,გ,ა: კარტერი.

ბლუ ბულზი: 15. ზან კირხნერი, 14. აკონა ნდუნგანე, 13. ჯეი ჯეი ენგელბერტი, 12. ვინანდ ულიფიე, 11. ბიორნ ბესონი, 10. მორნი სტეინი, 9. ფრანსუა ჰუგარი. 1. დენ გრეილინგი, 2. ჩილობოი რელეპელე, 3. ვერნერ კრუხერი, 4. ფლიპ ფან დერ მერვე, 5. ივანედრ კრუხერი, 6. დიუვალ პოთხიტერი, 7. ჟაკ პოთხიტერი, 8. პიერ სპისი.

16. ვილი ვიპენერი, 17. ფრიკ ჯირსტენი, 18. დეონ სტიგმანი, 19. ვილემ სტენკამპი, 20. იანო ვერმაკი, 21. ლუის ფუშე, 22. ფრანსუა ვენტერი.

2ლ: პოთხითერი, ულიფიე. ს: სტეინი.

**ნახევარფინალი**

**სტორმერზი-ნატალ შარქსი**
**ჩიფსი-კრუსეიდერზი**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ოლიმპიზმი. ლონდონი 2012


კრის ჰოი

# მონფილსი ლონდონში ვერ მიდის

## ფედერერის უარი და ბრიტანელთა მედროშე

ფრანგული ჩოგბურთის ერთ-ერთმა ლიდერმა **გაელ მონფილსმა** ბოლო მომენტში გადაწყვიტა, რომ ჯერ მზად არ არის სერიოზული დატვირთვებისთვის, ამიტომაც გადაიფიქრა ლონდონის ოლიმპიადაზე თამაში.

შეგახსენებთ, რომ მუხლებთან დაკავშირებული ქრონიკული პრობლემების გამო, გაელს როლან გაროსისა და უიმბლდონის გამოტოვებამ მოუწია, ახლა კი ოლიმპიადაზე გამოსვლაც ვერ შეძლო.

მონფილსის ადგილი ფრანგების გუნდში **ჟულიან ბენეტომ** დაიკავა, რომელიც **ჟო-ვილფრიდ ცონგას, ჟილ სიმონსა** და **რიშარ გასკეს** შეუერთდა.

■ ■ ■

ლეგენდარულმა შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა **როჯერ ფედერერმა** უარი განაცხადა ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური გუნდის მედროშეობაზე. შეგახსენებთ, ბოლო ორ ოლიმპიადაზე ეს მისია სწორედ მსოფლიოს პირველ ჩოგანს ჰქონდა დაკისრებული, მაგრამ ზედიზედ მესამედ ამ როლის შესრულებაზე უარი განაცხადა: *„დადგა დრო, ეს პატივი სხვა ათლეტს გადაეცეს“.*

ამიტომაც შვეიცარიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა გახსნის ცერემონიაზე ქვეყნის დროშა ასევე ჩოგბურთელ **სტანისლას ვავრინკას** ჩააბაროს.

როგორც იცით, ოთხი წლის წინ, პეკინის ოლიმპიადაზე ფედერერმა და ვავრინკამ წყვილთა თანრიგში მოიპოვეს ოქროს მედლები.

■ ■ ■

როგორც ჩანს, გაირკვა ბრიტანეთის ნაკრების მედროშეც. ეს საპატიო მისი დაეკისრება ველოტრეკზე ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონ **კრის ჰოის**.

ამის შესახებ ცნობილი გახდა მასპინძელი ქვეყნის ოლიმპიური გუნდის 542 წევრის ანონიმური კენჭისყრის შემდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ სერ კრის ჰოი ზედიზედ მეორე ოლიმპიადაზე ჩაიბარებს ბრიტანეთის დროშას.

ჰოის გარდა, ბრიტანელთა გუნდის მედროშეობაზე პრეტენდენტები არიან: კანოისტი **ტიმ ბრაბანტსი**, ტყვიის მსროლელი **რიჩარდ ფაულტსი**, მოცურავე **კერი-ენ პეინი**, ტაეკვანდოელი **სარა სტივენსონი**, მშვილდოსანი **ელისონ უილიამსონი** და ნიჩბოსანი **კეტრინ გრეინჯერი**.

■ ■ ■

ლონდონის „ჰითროუს“ აეროპორტის სასაზღვრო კონტროლის სამსახურმა ყალბი ოლიმპიური სუვენირები ამოიღო. ეს პარტია დაახლოებით ათი ათასი ოლიმპიური ალმისგან შედგებოდა.

ეს პროდუქცია ბრიტანეთში ჩინეთიდან შეიტანეს. მისი სავარაუდო ღირებულება დაახლოებით 156 ათას დოლარს უდრის.

*„ყალბი პროდუქციის დამზადება - სულაც არ არის უწყინარი დანაშაული. ეს უმსხვილესი ბიზნესია, რომელიც ბრიტანეთს წელიწადში დაახლოებით 1.3 მილიარდი ფუნტი უჯდება“*, - განაცხადა „ჰითროუს“ აეროპორტის სასაზღვრო სამსახურის უფროსმა **მარკ ოუენმა**.

ოლიმპიზმი. ლონდონი 2012

# გახსნაზე გლოვა არ იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა


ჟაკ როგე

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** უარყო პოლიტიკოსთა მოწოდებები იმის თაობაზე, რომ ლონდონის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე წუთიერი დუმილით მიეგოთ პატივი 1972 წლის თამაშებზე დაღუპული ისრაელელი სპორტსმენების ხსოვნისთვის. შეგახსენებთ, რომ იმ ოლიმპიადაზე პალესტინელმა ბოევიკებმა ტერაქტი მოაწყვეს, რომლის მსხვერპლი გახდა ისრაელის დელეგაციის 11 წევრი და ერთი გერმანელი პოლიციელი. ეს 1972 წლის 5 სექტემბერს მოხდა. ამ ტრაგედიის 40 წლისთავზე აშშ-ის, ისრაელისა და გერმანიის პოლიტიკოსებმა მოუწოდეს ოლიმპიურ კომიტეტს, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ დაღუპულთა ხსოვნისთვის.

*„ჩვენ მიგვაჩნია, რომ თამაშების გახსნის ატმოსფერო სრულიად არ არის შესაფერისი იმისთვის, რომ ეს ტრაგიკული მომენტი გავიხსენოთ“*, - განაცხადა როგემ. ამასთან, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მონაწილეობას მიიღებს ცერემონიაში, რომელიც სექტემბერში გერმანიაში გაიმართება და ის 1972 წლის მოვლენებს მიეძღვნება. ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ლონდონის თამაშების დროსაც აპირებს სპეციალური მიღების ორგანიზებას.

■ ■ ■

თავის ინტერვიუში როგემ საკუთარი ორგანიზაციის წარმატებად მიიჩნია ის, რომ ყველა ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში ქალი სპორტსმენი ირიცხება.

*„თანასწორუფლებიანობა - უმნიშვნელოვანესი ასპექტია ჩვენს მოძრაობაში*, - ამბობს როგე. - *მოხარული ვარ, რომ ქალებს ყველა გუნდში ვხედავთ, რომლებიც ლონდონში ჩამოვიდნენ. მაგრამ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი ამ მიმართულებით. შემდგომშიც განვავითარებთ თანაბარ შესაძლებლობებს ორივე სქესისთვის“.*

პრეზიდენტმა ადეკვატური უწოდა ლონდონის ქუჩებში მიღებულ უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებს.

*„იმას, რომ ლონდონის ქუჩებში ბევრ ჯარისკაცს ვხედავთ, აბსოლუტურად ნორმალურია*, - განაცხადა ოლიმპიური კომიტეტის შეფმა. - *უსაფრთხოება - თამაშების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ასეთია რეალობა და ჩვენ მას უნდა შევეგუოთ. ჩემი აზრით, ეს ზომები არანაირ დისკომფორტს არ უქმნის სტუმრებსა და სპორტსმენებს“.*

რაც შეეხება ლონდონის მზადყოფნას თამაშებისთვის, როგე ჯერ თავს იკავებს შეფასებისგან: *„ბრიტანეთმა უდიდესი სამუშაო გასწია, მაგრამ არ მინდა ვიჩქარო შეფასებებში. ჩემი აზრით, ჯერჯერობით ყველაფერი სწორედ ისე მიდის, როგორც საჭიროა. სხვანაირად არც უნდა ყოფილიყო. ბოლოს და ბოლოს, სწორედ ინგლისელებმა მოიგონეს სპორტი იმ სახით, როგორსაც ჩვენ ვიცნობთ. მოხარული ვარ, რომ თამაშები სწორედ აქ ტარდება“.*

# დრიმ თიმს სამხრეთამერიკელებთან უჭირს


დურანტი სკოლას წინააღმდეგ

ამერიკის საკალათბურთო ნაკრებმა ოლიმპიადისთვის მზადების ციკლში მორიგი მატჩი ჩაატარა. ამერიკელები იმ ქალაქში დაბრუნდნენ, სადაც ზუსტად ოცი წლის წინ – ლეგენდარული დრიმ თიმის დაბადება შედგა. ეს ქალაქია ბარსელონა.

**მაიკ კჟიჟევსკის** გუნდის მეტოქე ვეტერანების სავსე არგენტინის ნაკრები იყო. ამერიკას იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ, რადგან ორი დღის წინ, არგენტინამ 20 ქულით წააგო ამხანაგური მატჩი ესპანეთთან.

წინასამატჩო პროგნოზები შეხვედრის დებიუტმა გაამყარა - საწყის ოთხ წუთში ამერიკა 19:3 გავიდა წინ. არგენტინელები ვერაფერს უხერხებდნენ **კობი ბრაიანტსა** და **კევინ დურანტს**. ეს უკანასკნელი 27 ქულით საუკეთესო იყო თავის გუნდში.

საბოლოოდ, ფავორიტებმა პირველი მეოთხედი 15 ქულის სხვაობით მოიგეს და როგორც ჩანს, მოეშვნენ. არგენტინელებმა შესანიშნავად ჩაატარეს მეორე მეოთხედი და **მანუ ჯინობილის** მონდომებით, ხუთ ქულამდე შეამცირეს სხვაობა, დიდ შესვენებაზე კი შვიდქულიანი ჩამორჩენით გავიდნენ.

მესამე მეოთხედში ოდნავ უკეთ ამერიკა გამოიყურებოდა. ეს ათწუთიანი მონაკვეთი მან ოთხი ქულით მოიგო და 11 ქულამდე გაზარდა უპირატესობა. მაგრამ თამაშის ბედი მაინც არ იყო გადაწყვეტილი. თამაშის კულმინაცია ფინიშამდე 3 წუთით ადრე დადგა, როცა ჯინობილის სამქულიანით სხვაობა ოთხ ქულამდე შემცირდა. და სწორედ აქ გადაწყვიტა მატჩის ბედი კევინ დურანტმა – მან და **კრის პოლმა** უმნიშვნელოვანესი სამქულიანები ჩააგდეს და განაპირობეს ამერიკის ექვსქულიანი გამარჯვება – 86:80.

დურანტის გარდა, ამერიკაში სამმა კალათბურთელმა გადალახა 10-ქულიანი ზღვარი – ბრაიანტმა 18 ქულა დააგროვა, 15 და 13 ქულა იყო **ლებრონ ჯეიმსისა** და **რასელ უესტბრუკის** ანგარიშზე.

არგენტინელთა რიგებში სამა კალათბურთელმა გაიბრწყინა - მანუ ჯინობილიმ 23 ქულა დააგროვა, 15 ქულა იყო **კარლოს დელფინოს** ანგარიშზე, **ლუის სკოლამ** 14 ქულა მიითვალა. სხვათა შორის ამერიკელებმა საშინლად ისროლეს საჯარიმოები – სიზუსტის პროცენტი 57-ს უდრიდა.

შეგახსენებთ, რომ ამერიკელებს ცოტა ხნის წინ, ბრაზილიის დამარცხებაც გაუჭირდათ, როცა მატჩის მსვლელობისას 10-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილებამ მოუწიათ.

წლევანდელი დრიმ თიმის მზადყოფნას ორ დღეში შევამოწმებთ, როცა ის ოლიმპიადაზე თავის მთავარ კონკურენტს – ესპანეთს შეხვდება.

| აშშ–არგენტინა | 86:80 |
| --- | --- |

ა: დურანტი (27), ბრაიანტი (18), ჯეიმსი (15+7 მოხსნა+5 პასი), უესტბრუკი (13).

ა: ჯინობილი (23), დელფინო (15), სკოლა (14+7 მოხსნა), პრიჯიონი (8+5 მოხსნა).

ფორმულა 1

# მაკლარენის მსოფლიოს რეკორდი

როგორც ცნობილია, ამ სეზონში „მაკლარენის“ პილოტებმა არაერთხელ გამოთქვეს უკმაყოფილება პიტ-სტოპების დროს ინჟინრების მიერ დაშვებული შეცდომების გამო. როგორც ჩანს, გუნდის ხელმძღვანელობამ სერიოზულად იმუშავა ამ პრობლემაზე და ამან შედეგი გერმანიის გრან-პრიზე გამოიღო.

„ჰოკენჰაიმრინგზე“ **ჯენსონ ბატონის** ბოლიდზე ოთხი საბურავის შეცვლას ბრიტანული საჯინიბოს ინჟინრებმა მხოლოდ 2.31 წამი მოანდომეს, რაც მსოფლიოს ახალი რეკორდია.

*„დიახ, ადრე ჩვენ გვქონდა პრობლემები პიტ-სტოპებთან დაკავშირებით. მაგრამ ამჯერად, ბიჭებმა შესანიშნავი სამუშაო ჩაატარეს. ჩემი ყველაზე სწრაფი პიტ-სტოპი 2.31 წამს უტოლდება, რაც ახალი რეკორდია“*, - ამბობს ბატონი.

სხვათა შორის, სწორედ ამ პიტ-სტოპის წყალობით გაუსწრო ჯენსონმა ბოქსებიდან **სებასტიან ფეტელს**.


სარეკორდო პიტ-სტოპი

კალათბურთი

## სპურსი მაკალებით დაინტერესდა

ვებგვერდი Sportando.net წერს, რომ „სან ანტონიო სპურსი“ დაინტერესებულია „მონტეპასკისა“ და მაკედონიის ნაკრების გამთამაშებლის **ბო მაკალების** შეძენით.

იტალიური კალათბურთის გრანდი მზად არის შეელიოს თავის ლიდერს, რომლის გადაბირებით აგრეთვე დაინტერესებულია ყაზანის უნიქსი და თურქეთის „ფენერბაჰჩე“. ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მაკალების მთხოვნელი კლუბი ღირსეულ კომპენსაციას გადაიხდის კონტრაქტის ნაადრევად გაწყვეტისთვის. თუმცა არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც თავად კალათბურთელი გამოისყიდის საკუთარ კონტრაქტს იმისთვის, რომ NBA-ში გააგრძელოს კარიერა.

## კალათბურთშიც მსოფლიოს თასი იქნება

2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოყოლებული, რომელიც ესპანეთში გაიმართება, კალათბურთში პლანეტის პირველობას ოფიციალურად ახალი სახელი მიენიჭება - FIBA-ის მსოფლიოს თასი.

*„ახალმა სახელმა უნდა იმოქმედოს ტურნირის პრესტიჟზე. ეს ნიშნავს, რომ მსოფლიოს თასი გაუთანაბრდება საფეხბურთო, სარაგბო და კრიკეტის მსოფლიოს ჩემპიონატებს“*, - ამბობს კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი **პატრიკ ბაუმანი**.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# მონაკო ათიანებში შევიდა

გასულ კვირას ATP-სა და WTA-ის ტურნირების განრიგი საკმაოდ მჭიდრო იყო - კალენდარმა მამაკაცთა სამი და ქალების ორი შეჯიბრება დაიტია. ორი მათგანი ამერიკულ ჰარდზე გაიმართა, სამი - ევროპულ გრუნტზე. საპრიზო ფონდის მიხედვით, ყველაზე პრესტიჟული ჰამბურგის ტურნირი იყო, რომელსაც 2009 წლამდე მასტერსის სტატუსი ჰქონდა და მაისში იმართებოდა.

ტურნირის შემადგენლობა საკმაოდ ძლიერი იყო - პირველ ნომრად მსოფლიო რეიტინგის მეათე ნომერი - ესპანელი **ნიკოლას ალმაგრო** იყო განთესილი, გარდა ამისა, განთესვაში მოხვედრილი ყველა ჩოგბურთელი (**ვიქტორ ტროიცკის** გარდა) კლასიფიკაციის TOP 25-ს წარმოადგენდა.



ხუან მონაკო

საბოლოოდ, ალმაგრომ ნახევარფინალს მიაღწია, სადაც მას გზა გადაუღობა **ხუან მონაკომ**. ამ უკანასკნელმა წინა კვირას შტუტგარტის ფინალს მიაღწია და იქ გადამწყვეტი მატჩი **იანკო ტიპსარევიჩთან** წააგო. არგენტინელს ჰამბურგში რთული სტარტი გამოუვიდა - გერმანელი **სედრიკ-მარსელ შტებე** მესამე სეტს 5:3-ს უგებდა, მაგრამ შემდეგ, არგენტინელმა ზედიზედ ოთხი გეიმი აიღო. მომდევნო ეტაპებზე მონაკო კარგად ათამაშდა, ნახევარფინალი ალმაგროს კი სამ სეტში მოუგო - 3:6, 6:3, 6:4.

ბადის მეორე ნახევარიდან ფინალში უაილდ-ქარდით მოთამაშე **ტომი ჰაასი** გავიდა. 34 წლის ვეტერანმა ამ ზაფხულს უკვე მოახდინა სენსაცია, როცა ჰალეში ტოპათეულის ორ მოთამაშეს მოუგო (**ფედერერსა** და ბერდიხს) და ტიტული მოიპოვა. თუმცა ეს ყველაფერი ბალახზე მოხდა, გრუნტზე კი ჰაასი იშვიათად აღწევს წარმატებას. მან გააუმჯობესა ამ საფარზე წელს თავისი საუკეთესო შედეგი (ნახევარფინალი მიუნხენში) და პირველად ბოლო ათი წლის განმავლობაში, გრუნტზე ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. გადამწყვეტ მატჩამდე გერმანელმა სამი განთესილი ჩოგბურთელი ჩამოიცილა გზიდან - **ჟილ სიმონი, ფლორიან მაიერი** და **მარინ ჩილიჩი**, თან მათთვის ჯამში ერთი სეტი გაიმეტა.

მაგრამ ფინალისთვის ჰაასს ძალები არ ეყო. მან უკეთ დაიწყო მატჩი და ბრეიკით წაიყვანა ანგარიში, მაგრამ თანდათან ხუანმა თამაში მისთვის სასურველ ტემპში გადაიყვანა და პირველი პარტია დაძაბულ ბრძოლაში მოიგო - 7:5. მეორე სეტში ტომიმ ისევ პირველმა გააკეთა ბრეიკი, მაგრამ არგენტინელმა დიდი ხანი არ აცალა ლიდერის რანგში ყოფნა - მან ზედიზედ ორი ბრეიკი გააკეთა და მეორე სეტი 6:4 აიღო.

მონაკომ კარიერაში პირველად მოიგო „500" სერიის ტურნირი და რაც მთავარია, ასევე პირველად შევიდა რეიტინგის საუკეთესო ათეულში - მან იქ ალმაგრო შეავიწროვა.

■ ■ ■

შვეიცარიის გშტაადში პირველ ნომრად იანკო ტიპსარევიჩი იყო განთესილი, რომელიც ახლო იყო ბოლო ორი კვირაში მეორე ტურნირის მოგებასთან. სტარტზე მას რთული მატჩი ჰქონდა ავსტრიელ **მარტინ ფიშერთან** (4:6, 7:6, 6:3), მაგრამ შემდეგ ფინალამდე დამაჯერებლად დაამარცხა **ჰერნიხი** და **მატიო**.

ბადის ქვედა მხარეს ვერც ერთი განთესილი ვერ გავიდა მეოთხედფინალზე შორს, რის გამოც, ფინალში გასასვლელად **ტომაშ ბელუჩი გრიგორ დიმიტროვს** ხვდებოდა. ბულგარელი კარიერაში პირველად გავიდა გრუნტის ტურნირის ნახევარფინალში და ბრაზილიელს სერიოზული ბრძოლა გაუმართა, თუმცა ორივე ტაი-ბრეიკი წააგო - 6:7(3), 6:7(5).

ფინალისტებმა - ბელუჩიმ და ტიპსარევიჩმა წინა კვირას შტუტგარტის ტურნირის ნახევარფინალში ითამაშეს და მაშინ სერბმა მოიგო, ამჯერად კი უფრო ძლიერი ბრაზილიელი აღმოჩნდა. მან პირველი სეტის ტაი-ბრეიკზე ხუთმაგი სეტბოლი ვერ გამოიყენა და მე-13 გეიმი 1:6-დან წააგო, მაგრამ ფსიქოლოგიურად არ გატყდა და მაინც მოიპოვა გამარჯვება - 6:7(6), 6:4, 6:2.

■ ■ ■

შვედეთის ქალაქ ბაშტადში ქალების ტურნირზე მოულოდნელად დაიცვა შარშან მოპოვებული ტიტული **პოლონა ჰერცოგმა**, არადა, ბოლო მატჩი მას WTA-ის დონეზე აპრილში ჰქონდა მოგებული. სლოვენიელი ვერაფრით ახერხებდა ფორმაში შესვლას და ახლა, ისევ სკანდინავიაში „გაისროლა". მან ტურნირი **ალექსანდრა პანოვას** დამარცხებით დაიწყო, რის შემდეგაც ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა **იულია გორგესი, ცვეტანა პირონკოვა** და **მონა ბარტელი**, ფინალში კი 0:6 წაგებული პირველი სეტის შემდეგ შემოაბრუნა მატჩის ბედი - 0:6, 6:4, 7:5.

**ATP**

**German Tennis Championships**

ჰამბურგი (გერმანია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 1 129 140 დოლარი

**ფინალი**

**ხუან მონაკო (არგ, 3)**-ტომი ჰაასი (გერ) 7:5, 6:4.

**Suisse Open**

გშტაადი (შვეიცარია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 449 680 დოლარი

**ფინალი**

**ტომაშ ბელუჩი (ბრა)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 1) 6:7(6), 6:4, 6:2.

**WTA**

**Swedish Open**

ბაშტადი (შვედეთი). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**ფინალი**

**პოლონა ჰერცოგი (სლოვენ)**-მატილდა იოჰანსონი (საფ) 0:6, 6:4, 7:5.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ნაპოლი-გროსეტო | 3:0 |
| ბაროუ-მორეკამბი | 0:1 |
| **დანია** | |
| აგფ ორჰუსი-ესბერგი | 0:0 |
| **ნორვეგია** | |
| რუსენბორგი-ლილესტრიომი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ულ კისა-სტრომენი | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| გაის-მალმიო | 2:3 |
| ნორჩოპინგი-იურგორდენი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ბრაგე-ვარნამო | 1:1 |
| ჰამარბიუ-იონჩოპინგი | 2:2 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ბელინცონა-ლუგანო | 3:1 |
| **ისლანდია** | |
| ვესტმანაიეარი-სელფოსი | 1:0 |
| აკრანესი-ბრეიდაბლიკი | 1:1 |
| კეფლავიკი-ფილკირი | 0:2 |
| ვალური-ფრამი | 0:2 |
| **რუსეთი** | |
| კრასნოდარი-რუბინი | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ენისეი-პეტროტრესტი | 1:1 |
| ტომი-სიბირი | 2:0 |
| სალუტი-ბალტიკა | 2:2 |
| ნალჩიკი-ნეფტეხიმიკი | 1:3 |
| **რუმინეთი** | |
| ვიიტორული-ბრაშოვი | 2:2 |
| სტიაუა-კონკორდია | 1:0 |
| **ესტონეთი** | |
| კალევი-ლევადია | 0:6 |
| **კალათბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| სერბეთი-ლატვია | 91:68 |
| საფრანგეთი-ავსტრალია | 67:69 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. კიცბუელი** | |
| ვეიჩი-**კავჩიჩი** | 6:1, 6:2 |
| ჯანეზი-**ვოლანდრი** | 6:1, 4:6, 3:6 |
| ფიშერი-**ბალაში** | 3:6, 6:1, 6:7 |
| **კლიჟანი**-ტიემი | 6:1, 3:6, 7:5 |
| გარსია ლორპესი-**ცოპი** | 1:6, 3:6 |
| **WTA. ბაკუ** | |
| **მინელა**-ვანგი | 6:2, 5:7, 6:3 |
| ფინკი-**ტანასუგარნი** | 6:3, 3:6, 2:6 |
| ფარჰადი-**კუდრიავცევა** | 1:6, 0:6 |
| **კრუნიჩი**-ჰლავაჩკოვა | 6:1, 6:7, 6:4 |
| **სოლოვიოვა**-სავჩუკი | 1:6, 6:3 ,7:6 |

## TV პროგრამა

**24 ივლისი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. შემაჯამებელი მიმოხილვა.
11:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ფიორენტინა.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მონპელიე-სოშო.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-ტვენტე.
20:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ბილბაო.
22:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ლიონი.
23:30 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ასტონ ვილა.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ნიუ იორკი-დეტროიტი.
14:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-დორტმუნდი.
17:00 რაგბი. ევროპის სუპერლიგა. არლეკინსი-კონახტი.
18:50 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ჩელსი.
21:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
22:15 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ნიუ იორკი-დეტროიტი.
00:00 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. შემაჯამებელი მიმოხილვა. ჰამბურგი. გერმანია.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
13:30 სპორტ-NEWS.
14:00 რაგბი. ჰეინეკენის თასი. გლაზგო უორიორზი-ბეტი.
16:00 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
17:40 სპორტ-NEWS.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ინტერი.
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. მაკაბი-ბარსელონა.
22:00 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. ვაშინგტონი. აშშ.
00:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 18 | 35 | (მზე) |
| ქუთაისი | 27 | 38 | (მზე) |
| ბათუმი | 25 | 33 | (მზე) |
| ფოთი | 26 | 33 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 26 | 37 | (მზე) |
| გორი | 20 | 35 | (მზე) |
| თელავი | 19 | 34 | (მზე) |
| სიღნაღი | 19 | 33 | (მზე) |
| ქობულეთი | 24 | 35 | (მზე) |
| ბაკურიანი | 12 | 28 | (მზე) |
| ბორჯომი | 14 | 34 | (მზე) |
| მესტია | 16 | 29 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0110 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6591 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5779 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1245 |


დომინიკა ციბულკოვა

# როდიკი ლონდონს ფორმაში ხვდება

ამერიკაში თანდათან ხურდება იქაური საჰარდო სეზონი - გასულ კვირას იქ ორი ტურნირი გაიმართა: მამაკაცები ატლანტაში თამაშობდნენ, ქალები - კარლსბადში.

ატლანტაში ერთ-ერთ ფავორიტად **მერდი ფიში** მიიჩნეოდა, მაგრამ მან პირველი წრის მატჩი ვერ დაასრულა. არადა, ამერიკელმა საწყისი სეტი მოუგო **ჟილ მიულერს** და მეორე პარტიაშიც თანაბარი ბრძოლა მიდიოდა. საბოლოოდ, ლუქსემბურგელს ფინალისკენ გაეხსნა გზა - მიულერმა მომდევნო სამ მატჩში 38 ეისი ჩაანოდა.

ჟილმა კარიერაში მესამედ გააღწია ATP-ის ტურნირის ფინალში (ყოველთვის ამერიკულ ჰარდზე), მაგრამ ტურნირის მოგების წინა ორი ცდა უშედეგო აღმოჩნდა. ლუქსემბურგელს შეეძლო პირველი ჩოგბურთელი გამხდარიყო **უეინ არტურსის** შემდეგ, რომელიც 29 წლის (ან მეტი) ასაკში მოიპოვებდა მთავარ პრიზს.

მაგრამ ამჯერად მას წინ გადაელობა **ენდი როდიკი**. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის მატჩი **ჯონ ისნერის** წინააღმდეგ ერთ-ერთი საუკეთესო იყო ტურნირზე. ისნერი უკეთ აწვდიდა, მაგრამ როდიკი ზუსტად მოქმედებდა უკანახაზზე. საბოლოოდ, 26-მა ეისმა ჯონს ვერ უშველა და სამ სეტში წააგო - 4:6, 7:6(5), 4:6.

გადამწყვეტ მატჩში როდიკი ფავორიტი იყო, რადგან მიულერისთვის ოთხიდან სამი მატჩი ჰქონდა მოგებული. ენდის მოტივაციაც საკმარისი უნდა ჰქონოდა, რადგან 2005 წლის ამერიკის ღია პირველობაზე ლუქსემბურგელმა შოკში ჩააგდო როდიკი, როცა ის პირველ წრეში სამი ტაი-ბრეიკით დაამარცხა, თანაც ენდის დაბადების დღეზე.

გუშინდელ ფინალში როდიკმა ჩააგდო პირველი სეტი - 33 წუთში მხოლოდ ერთი გეიმი აიღო. მეორე სეტში თანაბარი ბრძოლა წავიდა. 6:5-ზე ამერიკელმა ოთხი სეტბოლი გაანიავა, მაგრამ თავისი უპირატესობა ტაი-ბრეიკზე დაამტკიცა. გადამწყვეტ სეტში ბრძოლა თითქმის არ ყოფილა - მასპინძელმა ორი ბრეიკით მოიგო - 1:6, 7:6(2), 6:2. ეს როდიკისთვის წელს მეორე და კარიერაში 32-ე ტიტული გახლავთ. გარდა ამისა, ენდიმ ბოლო 12 მატჩიდან 11 მოიგო და კარგ ფორმაში ხვდება ოლიმპიურ თამაშებს, რომელიც მისთვის საყვარელ უიმბლდონის კორტებზე გაიმართება.

■ ■ ■

ცნობილია, რომ საფრანგეთის ქალთა ჩოგბურთის პირველი ნომერი **მარიონ ბარტოლი** ლონდონის ოლიმპიადაზე არ ითამაშებს, ამიტომაც ის ამერიკაში იმყოფება და იქ ემზადება აშშ-ის ღია პირველობისთვის. ბუნებრივია, კარლსბადში მარიონი ფავორიტი იყო და ფინალამდეც მიაღწია, თუმცა ეს მეტად არადამაჯერებლად გააკეთა. ყველა მატჩში მას მესამე სეტის ჩატარება უწევდა და სამი თამაშის განმავლობაში კორტზე 8 საათი და 19 წუთი გაატარა. ყველაზე „იოლი" იყო ნახევარფინალი **იუნ-იან ჩანთან**, რომელიც „მხოლოდ" 2 საათი და 17 წუთი გაგრძელდა. სხვათა შორის ჩანმა მანამდე ბრძოლას გამოთიშა **ელენა იანკოვიჩი**.

ბადის ქვედა ნახევარში ფავორიტი რუსი **ნადია პეტროვა** იყო, მაგრამ მან ვერ გადალახა ნახევარფინალში სლოვაკი **დომინიკა ციბულკოვას** ბარიერი. დაძაბული პირველი სეტისა და ტაი-ბრეიკის (10:8) წაგების შემდეგ, პეტროვამ მეორე სეტში ძალა ვერ იპოვა ბრძოლის გასაგრძელებლად - 1:6.

ფინალში ორი საუკეთესო მეგობარი იდგა კორტის სხვადასხვა მხარეს. ბარტოლიმ პატიოსნად აღიარა, რომ გაუხარდებოდა დომინიკას წარმატება. ასეც მოხდა - 6:1, 7:5. აღვნიშნავთ, რომ ბარტოლი ძალიან ცუდად ასრულებდა პირველ მოწოდებას, გარდა ამისა, ფრანგი ბევრს ცდებოდა მნიშვნელოვან ბურთებზე და მხოლოდ ორი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა ცხრა შესაძლებლიდან.

**ATP**

**Tennis Championships**

ატლანტა (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 790 000 დოლარი

**ფინალი**

**ენდი როდიკი (აშშ, 4)**-ჟილ მიულერი (ლუქ) 1:6, 7:6(2), 6:2.

**WTA**

**Mercury Insurance Open**

კარლსბადი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**ფინალი**

**დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 2)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 1) 6:1, 7:5.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არაპრესტიჟული ტურნირი?..

ოლიმპიურ თამაშებზე სპორტის არაერთი სახეობაა, გულშემატკივართა განსაკუთრებულ ინტერესს რომ იწვევს; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პლანეტის საუკეთესო კალათბურთელების, ჩოგბურთელების, მძლეოსნებისა და მოჭიდავეების ასპარეზობისთვის თვალის მიდევნება რად ღირს. სამწუხაროდ, ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირმა პრესტიჟულობა (გნებავთ, პოპულარობა) ვერაფრით მოიხვეჭა და ამის უამრავი მიზეზი არსებობს. უპირველეს ყოვლისა, მართლაც არანორმალურად გადატვირთული კალენდარი უნდა ვახსენოთ: ქვეყნის ჩემპიონატში, თასზე და საერთაშორისო ასპარეზზე (საკლუბო და სანაკრებო დონეზე) ფეხბურთელებს ერთი სეზონის განმავლობაში 60-70-მდე ოფიციალური მატჩის ჩატარება უწევს! ამას გარდა, ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირებზე, როგორც წესი, გარკვეული შეზღუდვებიც მოქმედებს: მაგალითად, ადრე მხოლოდ იმ ფეხბურთელებს შეეძლოთ ოლიმპიადაზე მონაწილეობა, რომლებთაც კონტინენტისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე არ ჰქონდათ ნათამაშები (გამონაკლისი იყო 1968 და 1972 წლის ოლიმპიადები); მოგვიანებით კი ასაკობრივი ცენზი დაწესდა: ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირზე მონაწილეთა ასაკი 23 წელს არ უნდა აღემატებოდეს. თუმცა, თითოეულ გუნდს (ნაკრებს) უფლება აქვს განაცხადში შეიყვანოს 23 წელს გადაცილებული სამი ფეხბურთელი - ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირების პრესტიჟი მცირედით მაინც გაზრდილიყო.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირებს გამორჩეული მოთამაშეები თითქმის არასდროს აკლდა (ისე როგორც - წლევანდელ გათამაშებას); უფრო ხშირად იყო ისეთი შემთხვევები, როცა სწორედ ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირზე წარმოჩენილა იმ დროისათვის ბევრისთვის უცნობი ფეხბურთელი, მომავალში მსოფლიოს დონის ვარსკვლავი რომ გამხდარა. ამის დასტურად ქვემოთ მოყვანილი ფაქტებიც გამოდგება და იმედი დავიტოვოთ, რომ ლონდონის ოლიმპიადაზეც ვიხილავთ ახალ-ახალ „გამონათებებს".

დაბოლოს, კიდევ ერთ დეტალზეც: მსოფლიოს წამყვანი კლუბების ხელმძღვანელები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან თავიანთი ვარსკვლავების ოლიმპიადაზე გამგზავრებას და ხშირად საქმე საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟამდეც მისულა; მაგრამ, ასევე ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ვარსკვლავს დაჟინებით მოუთხოვია ოლიმპიურ თამაშებზე საკუთარი ქვეყნის პრესტიჟის დაცვა და ოლიმპიადაზე მიღწეული წარმატებით არანაკლებ გაუხარია, ვიდრე საკლუბო დონეზე მოპოვებული გამარჯვებ(ებ)ით. ამ შემთხვევაში კი **ლეო მესის** მაგალითიც საკმარისი იქნებოდა...


2008 წლის ჩემპიონი არგენტინა

## გამორჩეული ფაქტები და პერსონები

ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის რეგლამენტი (ისე როგორც მონაწილეთა რაოდენობა) დროთა განმავლობაში იცვლებოდა; იყო შემთხვევები, რომ „არასაფეხბურთო" ქვეყნის ნაკრებს (კანადას) მოუგია ოლიმპიური ოქროს მედლები; 1952-1980 წლებში კი გამარჯვებულები... სოციალისტური ბანაკის ქვეყნები (უნგრეთი, სსრკ, იუგოსლავია, პოლონეთი, გდრ, ჩეხოსლოვაკია) ხდებოდნენ. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირებს არასდროს აკლდა გამორჩეული ვარსკვლავები: **ფერენც პუშკაში** (უნგრეთი), **ედუარდ სტრელცოვი** (სსრკ), **ფლორიან ალბერტი** (უნგრეთი), **ვლოძიმეჟ ლიუბანსკი** (პოლონეთი), **იურგენ კლინსმანი** (გფრ), **რომარიო, ბებეტო** (ორივე - ბრაზილია); გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან კი (უფრო ზუსტად, 1992 წლის ოლიმპიადიდან მოყოლებული) გამორჩეულ ფეხბურთელთა სია კიდევ უფრო გაიზარდა და ამაში თავად დარწმუნდებით. ბარსელონას ოლიმპიადაზე (1992 წელს) ესპანეთის ნაკრებმა დამსახურებულად მოიპოვა ოქროს მედლები და ამ გუნდში თამაშობდნენ: **სანტიაგო კანისარესი, ხოსეპ გვარდიოლა, ლუის ენრიკე, ალფონსო პერესი, კიკო ნარვაესი**; ბევრად უფრო შთამბეჭდავი და მართლაც გამორჩეული საფეხბურთო ტურნირი ჩატარდა 1996 წელს: ატლანტის ოლიმპიადაზე თითქმის ყველა გუნდში ერთი-მეორეზე უკეთესი ფეხბურთელები თამაშობდნენ. ბრაზილიის ნაკრებში იყვნენ: **დიდა, რობერტო კარლოსი, ალდაირი, რივალდო, ჟუნინიო, სავიო, ბებეტო** და... **რონალდო**! ამათ გარდა, ამ ოლიმპიადაზე არაერთი ახალგაზრდა ვარსკვლავი გამოჩნდა: **რაული** (ესპანეთი), **ნუნუ გომეში** (პორტუგალია), **მარკ ვიდუკა** (ავსტრალია), **რობერ პირესი** (საფრანგეთი). ოლიმპიადის ფინალში კი ტურნირის უპირობო ფავორიტი, არგენტინა და ნიგერია გავიდნენ. ნიგერიელებმა მანამდე მართლაც ხმაურიანი სენსაცია შემოგვთავაზეს, როცა ნახევარფინალში „ოქროს გოლის" წყალობით ბრაზილიელთა ვარსკვლავთკრებული დაამარცხეს. თუმცა, **ნვანკვუ კანუ, ჯეი-ჯეი ოკოჩა, ტიჯანი ბაბანგიდა, დანიელ ამოკაში, ემანუელ ამუნიკე, სელესტინ, ბაბაიარო, ვიქტორ იკპება, სანდი ოლისე, ტარიბო ვესტი** და კომპანია ამით არ დაკმაყოფილდნენ და არგენტინასაც მოუგეს ფინალში! არადა, არგენტინელებს მართლაც შთამბეჭდავი ნაკრები ჰყავდათ: **ხავიერ ძანეტი, ერნან კრესპო, არიელ ორტეგა, კლაუდიო ლოპესი, რობერტო აიალა, დიეგო სიმეონე, მატიას ალმეიდა, მარსელო გალიარდო, რობერტო სენსინი...**

ეს იყო აფრიკული გუნდების პირველი წარმატება ოლიმპიადაზე, თუმცა, ოთხი წლის მერეც იგივე განმეორდა: კამერუნის ნაკრებმა მეოთხედფინალში ბრაზილიას მოუგო, ნახევარფინალში - ჩილეს, ფინალში კი პენალტების სერიაში ესპანეთს აჯობა! კამერუნელთა წარმატებაში ლომის წილი შეიტანეს მეკარე **კარლოს კამენიმ** (იმ დროისათვის 16 წლის იყო) და, რაღა თქმა უნდა, 19 წლის **სამუელ ეტომ**. 2000 წლის ოლიმპიადაზე არაერთი ახალგაზრდა ვარსკვლავი გამოჩნდა: **რონალდინიო** (ბრაზილია), **ანდრეა პირლო** (იტალია), **მიგელ ანხელ ანგულო, რაულ ტამუდო** (ორივე - ესპანეთი); სიდნეის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირს თავისებური ხიბლი შემატა ჩილეს ნაკრების თავდამსხმელმა **ივან სამორანომ**; თუმცა, ცალკე გვინდა აღვნიშნოთ ფინალში დამარცხებული ესპანეთის ნაკრების ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი: **კარლეს პუიოლი** და **ჩავი**! პუიოლმა და ჩავიმ ამის მერე საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე, ფაქტობრივად, ყველაფერი მოიგეს. სამწუხაროდ, კამერუნთან ფინალში მარცხმა ამ ორ ჩინებულ ფეხბურთელს მართლაც უნიკალური რეკორდი ვერ დაამყარებინა, თორემ ფეხბურთის ისტორიაში შევიდოდნენ როგორც მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონები!

...2004 წლის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირს ერთი გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავდა და **მარსელო ბიელსას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე არგენტინის ნაკრებმაც ეს სტატუსი გაამართლა. 23 წელს გადაცილებული სამი ფეხბურთელი (**რობერტო აიალა, გაბრიელ ჰაინტე, კილი გონსალესი**) პლუს პერსპექტიული ახალგაზრდები (**ხავიერ მასკერანო, ანდრეს დალესანდრო, ლუჩო გონსალესი, ხავიერ სავიოლა**), - ამ გუნდმა უპრობლემოდ შეძლო ოლიმპიადაზე გამარჯვება და ასე მოიპოვა არგენტინის ნაკრებმა პირველი ოლიმპიური ოქრო. ცალკე უნდა აღვნიშნოთ არგენტინელთა ფორვარდის კარლოს ტევესის გარჯა, რომელიც 8 გატანილი გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

დიდი ბრიტანეთი, ურუგვაი, უნგრეთი - 2008 წლამდე მხოლოდ ამ სამმა ქვეყანამ შეძლო ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის ზედიზედ ორჯერ მოგება. და აი, ამ ქვეყნების რიცხვს არგენტინაც შეუერთდა: **სერხიო ბატისტას** გუნდმა პეკინის ოლიმპიადაზე მართლაც შთამბეჭდავი ფეხბურთი უჩვენა და ოქროს მედლებიც მოიპოვა. თუმცა, ეს ფაქტი არავის უნდა გაჰკვირვებოდა: არგენტინელთა შემადგენლობაში ხომ **ლეო მესი** ბრწყინავდა!..

...**რაიან გიგზი** და **კრეიგ ბელამი** (ორივე - დიდი ბრიტანეთი), **ნეიმარი** და **მარსელო** (ორივე - ბრაზილია), **ხუან მატა** და **ხავი მარტინესი** (ორივე - ესპანეთი), **ედინსონ კავანი** და **ლუის სუარესი** (ურუგვაი) - აი, ამ და სხვა გამორჩეულ მოთამაშეებს ვიხილავთ ლონდონის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირზე. ფავორიტებადაც, რაღა თქმა უნდა, მასპინძლები და ესპანელები მიიჩნევიან; ისე როგორც ბრაზილიის ნაკრები, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებისათვის, ოლიმპიადაზე გამარჯვება ხომ კვლავაც აუხდენელ ოცნებად რჩება...

**გია ტუხაშვილი**

### ყველა ფინალი

| | | |
|---|---|---|
| 1900 | დიდი ბრიტანეთი-საფრანგეთი | 4:0 |
| 1904 | კანადა-აშშ | 4:0 |
| 1908 | დიდი ბრიტანეთი-დანია | 2:0 |
| 1912 | დიდი ბრიტანეთი-დანია | 4:2 |
| 1920 | ბელგია-ესპანეთი | 2:0 |
| 1924 | ურუგვაი-შვეიცარია | 3:0 |
| 1928 | ურუგვაი-არგენტინა | 2:1 |
| 1936 | იტალია-ავსტრია | 2:1 (დ.დ.) |
| 1948 | შვედეთი-იუგოსლავია | 3:1 |
| 1952 | უნგრეთი-იუგოსლავია | 2:0 |
| 1956 | სსრკ-იუგოსლავია | 1:0 |
| 1960 | იუგოსლავია-დანია | 3:1 |
| 1964 | უნგრეთი-ჩეხოსლოვაკია | 2:1 |
| 1968 | უნგრეთი-ბულგარეთი | 4:1 |
| 1972 | პოლონეთი-უნგრეთი | 2:1 |
| 1976 | გდრ-პოლონეთი | 3:1 |
| 1980 | ჩეხოსლოვაკია-გდრ | 1:0 |
| 1984 | საფრანგეთი-ბრაზილია | 2:0 |
| 1988 | სსრკ-ბრაზილია | 2:1 (დ.დ.) |
| 1992 | ესპანეთი-პოლონეთი | 3:2 |
| 1996 | ნიგერია-არგენტინა | 3:2 |
| 2000 | კამერუნი-ესპანეთი | 2:2 (5:3, პენ.) |
| 2004 | არგენტინა-პარაგვაი | 1:0 |
| 2008 | არგენტინა-ნიგერია | 1:0 |

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:16
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608